

# ლევან ბრეგაძე

რომელ  
დავამარცხე  
ტანი

ღა სევა  
საზადრაპო  
ნოველაბი



ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

# ლევან ბრეგაძე

◊  
როგორ  
დავამარცხე  
ტალი

და  
სხვა  
საშადრაპო  
ნოველები



„ჩვენი მწერლობა“  
თბილისი  
2015

ეს წიგნი ჭადრაკზეა, ოღონდ სხვა საჭადრაკო წიგნებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი მწერლის მიერ არის დაწერილი და უნინარეს ყოვლისა ამით გახლავთ საყურადღებო. მისი ავტორი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი, უურნალისტი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, ორ ათეულზე მეტი წიგნისა და ოთხასამდე ლიტერატურულ-კრიტიკული და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, სიჭაბუკეში დიდად იყო გატაცებული ჭადრაკით და ამ უძველესი და ბრძნული თამაშისადმი სიყვარული დღემდე არ განელებია. ამ წიგნში იგი იმ თავგადასავლებს გვიამბობს, რაც მას გადახდენია ჭადრაკის დაფასთან, სახალისო ფორმით მოგვითხრობს თავის ნარმატებებსა თუ მარცხზე და იმაზეც, რაც სხვათა პარტიებში საგულისხმო და დასამახსოვრებელი შეუმჩნევია.

ავტორის მოსაზრებები საჭადრაკო ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, საჭადრაკო კომპოზიციის საკითხებზე, საჭადრაკო კომპიუტერულ პროგრამებზე სასარგებლო იქნება ახალბედა მოჭადრაკებისთვის.

**ISBN 978-9941-0-6721-1**

© ლევან ბრეგაძე, 2015



## როგორ ვერ მომიგო ალიოხინა

1962 წელია. მერვე კლასში ვარ. ჭადრაკზე ვგიუდები. გამოვაწერინე მამაჩემს ყოველგვარი საჭადრაკო პერიოდიკა. ყველაზე მეტად კი რიგაში მიხაილ ტალის რედაქტორობით გამომავალი, მაშინ ახალდაარსებული პანაწინა, კოხტა ჟურნალი მიყვარდა. მოუთმენლად ველოდი ყოველი ნომრის მოსვლას... აი, მორიგი, მეთოთხმეტე ნომერი (თვეში ორჯერ გამოდიოდა). ჩავხედე სარჩევს. მაშინვე მიიპყრო მზერა ერთი სტატიის სათაურმა – „ალიოხინი გვასწავლის“. ჭადრაკის ჯადოქრის ალექსანდრ ალიოხინის გაკვეთილები!

რა გაკვეთილებია ეს?

რა და – ემიგრაციაში მყოფი მსოფლიოს ჩემ-პიონი თურმე იმდროინდელ ესპანელ „ვუნდერ-კინდს“, შემდგომ უკვე ცნობილ დიდოსტატს, არტურო პომარს ამეცადინებდა, მერე მისი ეს ლექციები იქაურ პრესაშიც გამოქვეყნებულა, ჩემი საყვარელი ჟურნალის რედაქციას მოუძიებია ისინი, უთარგმნია და დაუბეჭდავს. მეტი რაღა უნდა ჭადრაკზე ფანატიკურად შეყვარებულ ყმაწვილს! აი, ალიოხინის გაკვეთილებიც მომივიდა ფოსტით!..

ჩავუჯექი... აგერ, კარო-კანის დაცვის წინა-ალმდეგ თამაშს ასწავლის დიდი მაესტრო პატარა არტურიტოს... იხსენებს თავის ცნობილ მინიატურას, 1940 წელს რომ მოუგო მადრიდში ნავაროს:



აქ ნავარომ 11. ... ♘e7 ითამაშა, ხოლო 12. ♘e4-ის შემდეგ მიხვდა, ლაზიერს რომ კარგავდა, და დანებდა. მაშ, ნავაროს მიერ მხედრით გაკეთებული მე-11 სვლა უხეში შეცდომა გამოდგა. რა უნდა ეთამაშათ შავებს მის ნაცვლად?

აქ ჩემი ყურადღება მიიქცია ალიოხინის შენიშვნამ:

**„არ ვარგა 11. ... 0-0-0 12. ♖g5!-ის გამო“.**

ეტყობა, არტურიტო დასჯერდა ამ განმარტებას, ანკი რატომ არ უნდა დასჯერებოდა, როცა თვით კომბინაციის ღმერთი – ალექსანდრ ალიოხინი ეუბნება ამას: თუ შავები

გრძელ როქს გააკეთებდნენ, კუს შენირვით მო-  
ვიგებდიო.

მე კი რაღაც ეშმაკი შემიჩნდა და უცებ ძალი-  
ან მომინდა შემემოწმებინა ალიოხინის ეს იდეა.

– ავიღებ მაგ კუს, ალექსანდრ ალექსანდ-  
რეს ძევ, – ვთქვი და **12. ... hg** ვითამაშე. –  
თქვენც **13. hg** უნდა ითამაშოთ – განა ეს არ  
გქონდათ ჩაფიქრებული, როცა კუს წირავდით?  
ამიტომ არ დაუსვით კუთი სვლას ძახილის ნი-  
შანი? ვიცი, ვიცი: ახლა თქვენ პაიკით ჩემს ლა-  
ზიერს ემუქრებით, ხოლო ეტლით – ჩემს ეტლს,  
მაგრამ ჯერ ჩემი სვლაა და ცოტა ხანს მადრო-  
ვეთ; აი მე ასეთ რამეს ვითამაშებ: **13. ... E:f4.**

ჩემი ლაზიერით, რომელიც პაიკით არის და-  
ცული, მის სრულიად დაუცველ ლაზიერს დავე-  
მუქრე. ალიოხინს სხვა გზა არა აქვს – ჯერ ლა-  
ზიერით ლაზიერი უნდა მოკლას – **14. E:f4.** მეც  
ავიყვან ლაზიერს პაიკით და თანაც ამავე პაი-  
კით მხედარს დავემუქრები – **14. ... ef.** ახლა კი,  
ბოლოს და ბოლოს, უნდა აიყვანოს ეტლით ეტ-  
ლი – **15. |:h8.** მე კი მხედარს ავიყვან – **15. ... fg.**

ამ წუთში ორი მხედარი მყავს ეტლში, რაც  
დიდებულია, მაგრამ ვინ შემარჩენს! ალიოხინის  
სვლაა და შეუძლია ერთი ჩემი მხედარი, რო-  
მელსაც მისი ეტლი მიჰეუტებია, „მიირთვას“ –  
**16. |:g8.** უკვე ხარისხი აქვს ზედმეტი, მაგრამ...  
აქ გამოჩენდა მხსნელი ქიში კუთი – **16. ... ¥b4+,**  
– და, როცა მსოფლიოს ჩემპიონი ამ ქიშისაგან

თავს დაიცავს **17. c3** სვლით, ავიყვან მის ეტლს  
ჩემი ეტლით, რომელსაც კუს წასვლის შემდეგ  
გზა გაეხსნა თავისი კოლეგისაკენ – **17. ... | :g8.**

ახლა ალიოხინმა კუ უნდა მოკლას – **18. cb.**  
და რა გაირკვა?

აღმოჩნდა, რომ თეთრებმა ვერაფერსაც ვერ  
მიაღწიეს – თანაბარი პოზიციაა. მართალია, ახ-  
ლა ალიოხინს ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ ეს  
დიდი არაფერი: დააკვირდით რა სუსტია მისი  
პაიკები.

დროა ყაიმზე შევთანხმდეთ.

ასე ვეთამაშე ალიოხინს მისი გარდაცვალე-  
ბიდან თექვსმეტი წლის შემდეგ, ყოველგვარი  
სპირიტუალისტური ხრიკების გარეშე, ვეთამა-  
შე და, როგორც ხედავთ, არცთუ ურიგოდ!

მოკლედ, ალიოხინის მიერ მე-12 სვლაზე შე-  
მოთავაზებული კუს შენირვის ამ გაბათილებას  
მე ჩემს თავს მასთან ყაიმით დამთავრებულ  
პარტიად ვუთვლი.

რა, – არა მაქვს ამისი უფლება?!

1991



## როგორ დავამარცხეთ ჭალი

გაზეთ „მშობლიური კერის“ 1991 წლის მე-13 ნომერში გამოვაქვეყნე საჭადრაკო ნოველა „როგორ ვერ მომიგო ალიოხინმა“. ცხადია, ეს ხუმრობა იყო, უფრო ზუსტად, ეს გახლავთ ალექსანდრ ალიოხინის მიერ შემოთავაზებული ერთი იდეის ჩემებული ანალიზი, გადმოცემული სახუმარო ფორმით. ამჯერად კი სულაც არ ვხუმრობ: მიხაილ ტალი მართლა დავამარცხე – 1965 წლის 5 დეკემბერს, ერთდროული თამაშის სეანსში, რომელიც მსოფლიოს ექსჩემპიონმა თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გამართა 22 დაფაზე (ინფორმაცია ამის შესახებ, შოთა ინწკირველის მიერ ხელმოწერილი, შეგიძლიათ იხილოთ გაზეთ „ლელოს“ 1965 წლის 8 დეკემბრის ნომერში).

მიხაილ ტალი საუცხოო სეანსიორია.\* სწორედ ერთდროული თამაშის სეანსში შექმნა მან ერთ-ერთი უბრნწყინვალესი კომბინაციათაგანი, რაც კი ოდესმე განხორციელებულა ჭადრა-

\* ანმყოფ დროს იმიტომ ვიყენებ, რომ 1991 წელს, როცა ამ ნოველის თავდაპირველი ვარიანტი გამოვაქვეყნე „მშობლიურ კერაში“, მიხაილ ტალი ცოცხალი იყო.

კის დაფაზე (შტუტგარტი, 1958), როცა ეტლისა და ლაზიერის უაღრესად ორიგინალური შენირვით მეტოქის პაიკებს შორის „სლალომის სტილით“ გაატარა თავისი პაიკი მეოთხედან მერვე ჰორიზონტალამდე.

მიხაილ ტალი წარმატებით ატარებს ერთდროული თამაშის სეანსებს დაფაზე დაუხედავადაც.

ილია მაიზელისის მშვენიერ სახელმძღვანელოში (მ., 1960), რომელიც სიყმანვილეში ჩემი „სამაგიდო წიგნი“ გახლდათ, მიხაილ ტალის თამაშის მანერა ასეა დახასიათებული:

„ტალი თამაშობს მსუბუქად, სწრაფად, შორს ითვლის ვარიანტებს. მუდამ შეტევისა და ინიციატივისაკენ ისწრაფის და ამ დროს არ ერიდება შესაძლო პოზიციურ და მატერიალურ მსხვერპლს. ქმნის უაღრესად მწვავე პოზიციებს. ბრძოლას ფსიქოლოგიური ხერხების გამოყენებით წარმართავს და უნარი შესწევს თავს მოახვიოს პარტინორს არასასურველი გართულებები. საერთო აზრია, რომ მისი სტილი ჰგავს ლასკერის სტილს, მაგრამ აჭარბებს ლასკერს უკიდურესად თამამი თამაშით, დებიუტების ცოდნით და ვარიანტების გათვლის სისწრაფით“.

თუკი ჭადრაკში წარმატების მიღწევის ერთერთი წინაპირობა მეტოქის თამაშის მანერის კარგი ცოდნაც არის (და, რა თქმა უნდა, არის!), მაშინ მე ამ მოთხოვნას ჩინებულად ვაკმაყოფილებდი. ალექსანდრ კობლენცის წიგნი ტალზე „დოროგამი შახმატნიხ სრაჟენი“ („საჭადრაკო

ბრძოლების გზებით“) თითქმის ზეპირად ვიცოდი.\* ტალს, მისი სტილის გამო, ვაღმერთებდი! ვაგროვებდი მის სტატიებს, ინტერვიუებს, ფოტოსურათებს, მეგობრულ შარჟებსა და, რაღა თქმა უნდა, პარტიებს...

და, აი, მასთან თამაშიც მეღირსა!

5 დეკემბრის საღამოს, ლექციების შემდეგ (პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, ტყიბულიდან თბილისში სამი თვის წინ გადმოსახლებული), ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შევიარე. ერთ მაგიდასთან ხალხი შეჯგუფებულიყო: თურმე მიხაილ ტალთან სეანსის მონაწილეთა სიას ადგენდნენ. ჩავენერე. ოცდაორი მსურველი აღმოჩნდა, რომელთა შორის ბევრი ძლიერი პირველთანრიგოსანი იყო (ელიზარ უბილავაც მონაწილეობდა, მანაც მოიგო. ბარემ აქვე ვიტყვი: დიდოსტატმა 13 პარტიაში გაიმარჯვა, 5 წააგო და 4 ყაიმით დაამთავრა). დაფებს მივუსხედით და მსოფლიოს ექსჩემპიონიც გამოჩნდა. ყველას ხელის ჩამორთმევით მოგვესალმა...

---

\* 1963 წელს რიგაში გამოცემული ეს წიგნი ძნელი საშოვნელი იყო. იგი 1964 წლის ზაფხულში მისახსოვრა თელაველმა მოჭადრაკემ ჯიმშერ ჯავახიამ, რომელიც წინა წელს გავიცანი მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე. 1964 წელს ჯიმშერმა ვეღარ მოახერხა სპარტაკიადაზე ჩამოსვლა (როგორც მახსოვს, სკოლას ამთავრებდა იმ წელს) და წიგნი სამახსოვრო წარწერით თელავის გუნდის ერთ-ერთ წევრს გამოატანა ჩემთვის გადმოსაცემად, რისთვისაც უზომოდ მაღლიერი ვარ მისი.

კარგად მესმოდა, რომ, თუ ჩემი მეტოქე ინიციატივას ჩაიგდებდა ხელთ, ვეღარაფერი მიხსნიდა.

ზემოთ მოყვანილი ი. მაიზელისისეული დახასიათება ტალის სტილისა, – მართლაც რომ თავზარდამცემი ამ უნიჭიერესი მოჭადრაკის ყოველი მეტოქისათვის, – „საბედნიეროდ“ ასეთი ფრაზით მთავრდება: „მაგრამ, ამავე დროს, ტალმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა თავისი სტილის პარმონიზება და ვერ გამოიმუშავა საჭირო უნივერსალობა“, რაც იმას ნიშნავს, რომ მ. ტალს არ უყვარს, არ სიამოვნებს (არ მინდა ვთქვა, უჭირს-მეთქი) ისეთი პოზიციების თამაში, სადაც ინიციატივას მოწინააღმდეგე ფლობს. აი, აქ უნდა მეძებნა წარმატების შანსი. და, მართლაც, მოვახერხე პარტიის ისე წარმართვა, რომ დიდოსტატის, როგორც იტყვიან, ხელის გატოკების საშუალება არ მიეცა. ინიციატივას მე ვფლობდი, ის კი იძულებული იყო თავი დაეცვა განუწყვეტელი კონკრეტული მუქარებისაგან.

ამაში დებიუტმაც შემიწყო ხელი. მეფის გაბიტის წინააღმდეგ, მსოფლიოს ექსჩემპიონმა რომ შემომთავაზა, მზად მქონდა იშვიათი გაგრძელება 3. ... ჩე, ბეკერის დაცვა, რომელსაც ვასილი პანოვის „დებიუტების კურსის“ 1958 წლის გამოცემაში ვერ იპოვით. ეს სისტემა კარგად მქონდა დამუშავებული საჭადრაკო ბიულეტენებში გამოქვეყნებული პარტიების შეს-

წავლის შედეგად. მისი გამოყენებით 1965 წლის იანვარში მოვუგე ჭაბუკ მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ქუთაისელ პირველთანრიგოსანს ო. ალფაიძეს (მკითხველს ვთხოვ მაშინდელ პირველთანრიგოსანს დღევანდელ პირველთანრიგოსანთან ნუ გაათანაბრებს: ოცდაათი წლის წინანდელ პირველთანრიგოსანს თამაშის ძალით ბევრი აღარაფერი უკლდა დღევანდელ საერთაშორისო ოსტატამდე). ამავე ვარიანტით ცოტა ხნის შემდეგ თბილისის პირველობის მეოთხედფინალში გალუსტოვთანაც გავიმარჯვე.

პირველ დიაგრამაზე აღბეჭდილი პოზიცია ერთობ ორიგინალურია: მე-16 სვლით კუ, რომელსაც f6-ზე მისთვის უჩვეულო პოზიცია ეჭირა (უჩვეულო პარტიის საწყისი სტადიის პირობაზე), კიდევ უფრო უჩვეულო და არატიპურ პოზიციას იკავებს h4 უჯრაზე – პაიკს ემუქრება და ამავე დროს საკუთარ თავსაც სთავაზობს მას.

წარმოიდგინეთ ამ დროს ჩემი ემოციური მდგომარეობა: ფიგურას ვწირავ თვით მიხაილ ტალს!

თუ თეთრები შეწირვას მიიღებენ, შავი ლაზიერი შეიჭრება მათ ბანაკში, მისი მხარდაჭერით ამოძრავდებიან გადაბმული გამსვლელი პაიკები და მოუგერიებელ შეტევას ვღებულობ. თეთრებს ძალიან ბორკავთ თავიანთივე კუ d3 უჯრაზე – იგი ლაზიერით დევნილ მეფეს გა-

საქცევს უქოლავს (უფრო ადრე კუს ამ შენირვისაგან იმიტომ ვიკავებდი თავს, რომ მეფე ძ3-ზე გარბოდა, რის შემდეგ თეთრები მოახერხებდნენ მსუბუქი ფიგურის საფასურად შავების გამსვლელი პაიკების განადგურებას, რასაც დაახლოებით თანაბარი თამაში მოჰყვებოდა).

მ. ტალმა, რა თქმა უნდა, არ მიიღო ეს „ძლვენი“. იმ პაიკის დაცვა, რომელსაც ჩემი კუ ემუქრება, მას ორნაირად შეეძლო – მხედრით და მეფით. მ. ტალმა პაიკის დაცვა მეფით ამჯობინა. მე-19 სვლაზე მხედრები რომ გაიცვალა, უკვე მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ შემეძლო მოგება.

მალე თეთრი გვირგვინოსანი შავი ფიგურებით ზურგგამაგრებული გადაბმული პაიკების მსხვერპლი შეიქნა.

მეფის გამბიტი  
**ტალი – ავტორი**  
ერთდროული თამაშის სეანსი 22 დაფაზე  
(თბილისი, 1965)

**1. e4 e5 2. f4 ef 3. ♜f3 h6 4. d4 g5 5. h4 ♖g7  
6. hg hg 7. ♔:h8 ♖:h8 8. g3 g4 9. ♜h4 (ჯობდა  
9. ♜h2) 9. ... f3 10. ♜c3 ♖f6 11. ♜f5 d6 12. ♜e3  
a6 13. ♜cd5 ♖d7 14. c3 ♜c6 15. ♖c4 ♜a5 16.  
♖d3 ♖h4!**



შეიძლება აქ შავებმა სხვა გაგრძელებაც აირჩიონ (მაგალითად, კომპიუტერულმა საჭადრაკი პროგრამამ „ფრიცმა“ 4 წუთი და 21 წამი იფიქრა და 16. ... ♦h4-ს 16. ... c5 ამჯობინა), მაგრამ მ. ტალს, რომელიც მიჩვეულია, რომ თვითონ შესწიროს მეტოქეს ფიგურები, არ სიამოვნებს, როცა იმავეს მისი მონინააღმდეგენი სჩადიან – ამ დროს ის თავის სტიქიაში ვერ გრძნობს თავს. ამიტომ შევამკე ძახილის ნიშნით ჩემი მე-16 სვლა.

**17. ♜f2 c6 18. ♜f4 ♦g5 19. ♜c4?** (დაფის ცენტრში მდგარი, ანუ აქტიური, მხედრის გაცვლა დაფის კიდეში მდგარ, ანუ პასიურ, მხედარში შეცდომაა. საჭირო იყო 19. ♕h1) **19. ... ♜:c4 20. ♦:c4 ♕f6 21. ♦e3 ♜e7 22. ♕h1 0-0-0 23. ♕f1 ♜h8 24. ♕g1 ♕h6 25. ♜d1 ♜g6 26. ♜e1 ♜:f4 27. ♜f4 28. ♦f2 ♜g8 29. e5 d5 30. ♦d3 g3**



ამ პოზიციაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა დანებების ნიშნად წააქცია თავისი მეფე. მიხაილ ტალისადმი მიძღვნილი მასალების ჩემს კოლექციას მასთან მოგებული პარტიის ჩანაწერიანი ბლანკიც შეემატა, მისივე ავტოგრაფითურთ.

\* \* \*

გთავაზობთ ზემოთ ნახსენებ იმ პარტიათა ჩანაწერებს, რომლებიც მ. ტალთან შეხვედრამ-დე მოვიგე შავებით მეფის გამბიტის ნინააღმ-დეგ 3. ... h6-ის (ბეკერის დაცვის) გამოყენებით.

### **ალფაიძე – ბრეგაძე**

ჭაბუკ მოჭადრაკეთა საქართველოს

ჩემპიონატის ნახევარფინალი.

(თბილისი, 1965 წ., იანვარი)

1. e4 e5 2. f4 ef 3. ♖f3 h6 4. ♕c4 g5 5. ♖c3 ♘g7 6. d4 ♖e7 7. h4 ♖g6 8. hg hg 9. ♗:h8 ♘:h8

**10. ♜e5 ♛:e5 11. de ♜:e5** (ჯობდა 11. ... ♜c6. ეგ პაიკი სად წავიდოდა, განვითარებაში ჩამორჩენა კი შავებს დასაძლევი აქვთ) **12. £h5 d6 13. £h8+ ♜d7 14. £g7 c6 15. g3 £e7 16. ♛f1 fg 17. ♜e2 ♜c7 18. ♜:g3 ♛e6 19. ♛e2 ♜bd7 20. ♛:g5 £f8 21. £:f8 | :f8 22. 0-0-0 | g8 23. ♛f4 ♛g4 24. | f1 ♛:e2 25. ♜:e2 | g4 26. ♜c3 ♜d8 27. ♛e3 b6 28. | g1 ♜f6 29. b3 ♜e7 30. | :g4 ♜e:g4 31. ♜d2 ♜e6 32. ♜d3 ♜:e3 33. ♜:e3 ♜e5 34. a3 d5! 35. ed ♜:d5+ 36. ♜:d5 ♜:d5 თეთრები დანებდნენ.**

### გალუსტოვი – ბრეგაძე

თბილისის ჩემპიონატის მეოთხედფინალი  
(1965 წ., ოქტომბერი)

**1. e4 e5 2. f4 ef 3. ♜f3 h6 4. d4 g5 5. h4 ♛g7 6. g3 g4 7. ♜h2 fg 8. ♜:g4 d6 9. c3 ♜f6 10. ♜:f6 £:f6 11. ♛e3 ♜c6 12. ♜d2 ♜e7 13. £h5 ♜g6 14. 0-0-0 ♛e6 15. ♛g2 0-0-0 16. | df1 £e7 17. | f3 ♛f6 18. d5 ♛d7 19. | hf1 ♜:h4**

აქ „ფრიც-12“-მა 19. ... ♜e5 ითამაშა, რასაც თავბრუდამხვევი ტაქტიკური შეხლა-შემოხლა და ურთულესი ედმპილი მოჰყვა: 20. | :f6 ♛g4 21. | :f7 £e8 22. | :c7+ ♜:c7 23. £:e8 | d:e8 24. | g1 | eg8 25. ♛f1 ♛d7 26. c4 b6 27. b4 | g4 28. ♛e2 | :h4 29. | :g3 ♛g4 30. ♛f1 | f8 31. c5 h5 32. | g1 bc 33. bc dc 34. ♜c2 ♜d6 35. ♜b3 | h2+ 36. ♜b1 | c8 37. ♛f4 | f2 38. ♛g3 ორმხრივი შანსებით.

**20.** | :f6 ♫:g2 **21.** ♩d4 | hg8 **22.** £h1? (გა-  
დამწყვეტი შეცდომა. საჭირო იყო 22. | :h6) **22.**  
... ♫e3 **23.** | :f7 £g5 **24.** | 1f4 ♫g4 **25.** ♫f3 £g6  
**26.** £g2 £h5 **27.** | e7 ♫h2 **28.** ♫h4 £g5 **29.** | ef7  
| df8 **30.** ♩c2 | :f7 **31.** | :f7 £:h4 **32.** e5 de **33.**  
♩:e5 £h5 **34.** | e7 £f3 თეთრები დანებდნენ.

\* \* \*

მიხაილ ტალმა არაერთი ბრწყინვალე კომ-  
ბინაცია განახორციელა ერთდროული თამა-  
შის სეანსებში. ერთი მათგანი, შტუტგარტში  
ნათამაშები პარტიიდან, ზემოთ ვახსენეთ. ეს  
არაჩვეულებრივი კომბინაცია შეგიძლიათ  
იხილოთ ამ წიგნში შესულ ნოველაში „სლა-  
ლომი“. რამდენიმეს კიდევ შემოგთავაზებთ.  
აქედან ერთი თბილისშია ნათამაშები 1965  
წელს, შეიძლება სწორედ იმ სეანსში, რომელ-  
შიც მე მას მოვუგე (რაღაც არ მაგონდება,  
რომ იმ წელს მას თბილისში სხვა ერთდროუ-  
ლი თამაშის სეანსიც ჩაეტარებინოს). იგი მ.  
ტალის რედაქტორობით მის მშობლიურ რიგა-  
ში გამომავალ ჟურნალ „შახმატის“ 1966 წლის  
მე-3 ნომერში ვიპოვე (გვ. 12): სტატიისათვის,  
რომელშიც დიდოსტატი ფსიქოლოგიური ხა-  
სიათის შეცდომებს აანალიზებს, მის მოწინა-  
აღმდეგებს და თვითონ მასაც რომ მოსვლია  
ოფიციალურ შეხვედრებში, მსოფლიოს ექს-  
ჩემპიონს შესავალივით ნაუმძღვარებია ორი

კომბინაცია რიგასა და თბილისში ჩატარებული სეანსებიდან. რისთვის დასჭირდა ეს?

მოვუსმინოთ:

„რაკი იმ მაგალითებში, რომლებსაც ამ სტატიაში განვიხილავ, „ნუნის“ პროცენტი ერთობ მაღალია, მკითხველს ვთხოვ უფლება მომცეს ცოტა წავიტრაბახო“ [ერთდროული თამაშის სეანსებში განხორციელებული მრავალსვლიანი კომბინაციების დემოსტრირებითო]. ანუ, არც ისეთი ფინაჩი ვარ, როგორც ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს ამ პარტიების გაცნობისას – მე მაგარ-მაგარი რამეებიც შემიძლია, თანაც მრავალ დაფაზე, მრავალ მონინაალმდეგეგსთან ერთდროულად თამაშის დროსაც კიო (მ. ტალი თავისი იუმორითაც იყო ცნობილი!), და უკომენტაროდ გვაცნობს ორ არაჩვეულებრივ კომბინაციას:

**ტალი – NN**  
ერთდროული თამაშის სეანსი  
(რიგა, 1958)



**17.  $\square : f7!$   $\diamond : f7$  18.  $\text{E} : e6+$   $\diamond : f8$  19.  $\text{Y} : c1$   $\text{Y} : f6$  20.  $\text{Y} : a3+$   $\text{I} : e7$  21.  $\text{I} : e4$   $\diamond : e8$  22.  $\text{Y} : e7$   $\square : e7$  23.  $d5$   $\text{Y} : b5$  24.  $d6$   $\text{Y} : d3$  25.  $d7+$   $\text{E} : d7$  26.  $\text{E} : g8x.$**

**ტალი – NN**  
 ერთდროული თამაშის სეანსი  
 (თბილისი, 1965)



**20.  $\square : f5+!$   $g : f$  21.  $\text{E} : f5$   $\text{E} : d8$  22.  $\text{I} : g3+$   $\diamond : f8$  23.  $\text{Y} : e6$   $\square : b7$  24.  $\text{I} : e3$   $\square : c5$  25.  $\text{I} : g8+!$   $\diamond : g8$  26.  $\text{E} : g6+$   $\text{C} : h8$  27.  $\text{E} : h6+$   $\square : h7$  28.  $\text{Y} : f5$  და შავები დანებდნენ.**

მინდოდა თხრობა ამ ჩინებული, შორს გათვ-ლილი კომბინაციით დამემთავრებინა, რომე-ლიც, შესაძლოა, სადღაც ჩემ სიახლოვეს დაი-ბადა თბილისის საჭადრაკო კლუბში, მაგრამ აგერ ახლა ვიპოვე ერთ გერმანულ წიგნში (ალ-ბინ პიოცში [Pötzsch], „კომბინაციური თამაშის ხალისი“, ბერლინი, 1986, გვ. 130) ტალის მიერ

ინგლისში ჩატარებული ერთდროული თამაშის სეანსში განხორციელებული უბრნყინვალესი კომბინაცია და მსურს ესეც ნახოთ, ანუ მინდა ნახოთ ის, რა სასწაულის მოხდენა შეეძლო მ. ტალს, თუკი ინიციატივას ჩაიგდებდა ხელში, გინდ ერთი პარტნიორის წინააღმდეგ ებრძოლა და გინდაც რამდენიმე ათეულ მეტოქესთან ერთდროულად.

**ტალი – რიპლეი**  
 ერთდროული თამაშის სეანსი,  
 (ლივერპული, 1979)  
 (კომენტარები გერმანელი ავტორისაა).



### 1. e5!

თეთრებს სურთ გზები გაუხსნან თავის ფიგურებს. მაგრამ პაიკის წინ გაჭრის ყველა შედეგი გათვალეს?

1. ...  $\text{¤c}4$

ისე ჩანს, თითქოს თეთრები მეტოქის წისქ-  
ვილზე ასხამენ წყალს.

## 2. **ef! ♘:d2+ 3. ♦:d2**

ახლა რა? f6 უჯრაზე პაიკის აყვანა შავებს,  
ცხადია, არ შეუძლიათ, მაგრამ როგორ გაგრ-  
ძელდება თამაში, თუ ისინი, უბრალოდ, ლოდი-  
ნის ტაქტიკას აირჩივენ?

## 3. ... | b7 4. ♠:h6!

ახლადა ხდება ცხადი რაოდენ ზუსტად გა-  
უთვლია ყველაფერი მრავალ დაფაზე მოასპა-  
რეზე სეანსიორს. შავებმა უნდა მიიღონ კუს შე-  
ნირვა, თორემ მუქარა არის 5. fg.

## 4. ... gh 5. g7 E:c4 6. gfE+ ♡:f8 7. |g1 |f7 8. |g4!

ტემპის მოგებით აწყვილებენ თეთრები ეტ-  
ლებს g ვერტიკალზე (8. ... Ee2 9. |dg1). შავები  
დანებდნენ. დაბოლოება, რომელიც ღირსია ერ-  
თდროული თამაშის სეანსის მარგალიტებს შო-  
რის დაიკავოს ადგილი!

(შეგახსენებთ: კომენტარები გერმანელი ავ-  
ტორისაა, ჩემი მხოლოდ თარგმანია).

და ერთი კომბინაციაც, ისევ ერთდროული  
თამაშის სეანსიდან, რომელიც ინტერნეტში  
შემხვდა,\* მანამდე კი უურნალ „64 – Шахматное  
обозрение“-ს 2011 წლის მე-3 ნომერში დაბეჭ-  
დილა:

---

\* [http://chesspro.ru/\\_events/2011/dvoretskii3.html](http://chesspro.ru/_events/2011/dvoretskii3.html)

**ტალი – მილერი**  
 ერთდრული თამაშის სეანსი (25-ე დაფა)  
 (ლოს-ანჯელესი, 1988)



**20. ♜b5! ♕e5 21. h4!! ♕g3 22. ♜d1! ♜f2 23. ♖:f2! ♘:f2 24. ♜:d5** და შევები დანებდნენ.

საერთაშორისი დიდოსტატი, ფიდეს დამსახურებული მწვრთნელი, უურნალისტი და მწერალი გენადი სოსონკო გვიამბობს ერთი თავისი ტესტის შესახებ, რომელსაც იგი ტალის ამკომბინაციის გამოყენებით ატარებდა:

„დიდოსტატებს ვთხოვდი ამ პოზიციაში (დიაგრამაზე გამოსახულ პოზიციას გულისხმობს. – ღ. ბ.) ნახევარი საათის განმავლობაში ეპოვათ თეთრებისთვის საუკეთესო სვლები და ყველა როდი ახერხებდა ამას. მიხაილ ტალმა კი ეს რთული ამოცანა მინიმუმ 25 პარტნიორთან ერთდროულად თამაშის პირობებში გადაჭრა, როცა არ ჰქონდა შესაძლებლობა დიდ ხანს ეფიქრა

სვლებზე და ზუსტად გაეთვალა ვარიანტები. ამრიგად, ჩვენ ვიხილეთ კიდევ ერთი გამოვლინება მისი გენიალური ინტუიციისა, რომელიც მსოფლიოს მერვე ჩემპიონს ეხმარებოდა შეუცდომლად განესაზღვრა რა მიმართულებით უნდა განევითარებინა შეტევა, წამში ეპოვა მიზნისკენ მიმავალი ეფექტური ვარიანტები“.

\* \* \*

საინტერნეტო საჭადრაკო ჟურნალ „e3e5“-ში 2005 წელს ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც მსოფლიოს მეთოთხმეტე ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი საერთაშორისო ოსტატის ვ. ბარსკის შეკითხვებს უპასუხებს და თავის წინამორბედებს, მსოფლიოს საჭადრაკო ტახტის ადრინდელ მფლობელებს ახასიათებს. ინტერვიუს სათაურია „შტაინიციდან კასპაროვამდე“. ვ. კრამნიკი მსოფლიოს ჩემპიონებს თავ-თავიანთი სტილის, თამაშის მანერის, შესატყვის მეტსახელებს არქმევს. ეს მეტსახელები ამა თუ იმ მსოფლიო ჩემპიონისადმი მიძღვნილ მონაკვეთებს ქვესათაურებად უძღვის: „**ვილჰელმ ექსპრიმენტატორი**“ (ვილჰელმ შტაინიცი), „**ემანუელ არაკატეგორიული**“ (ემანუელ ლასკერი), „**ხოსე რაულ გენიალური**“ (ხოსე რაულ კაპაბლანკა), „**ალექსანდრ დინამიკური**“ (ალექსანდრ ალიოხინი), „**მაქს უნივერსალური**“ (მაქს ეივე), „**მიხაილ კონცეპტუალური**“ (მიხაილ ბოტვინიკი), „**ვასილი ფილიგრანული**“ (ვა-

სილი სმისლოვი), „ტიგრან დაბალანსებული“ (ტიგრან პეტროსიანი), „ბორის მასშტაბური“ (ბორის სპასკი), „რობერტ ჯეიმს ენერგეტიკული“ (რობერტ ჯეიმს ფიშერი), „ანატოლი განსაცვიფრებელი“ (ანატოლი კარპოვი), „გარი სწრაფცვალებადი“ (გარი კასპაროვი).

მიხაილ ტალის კრამნიკისეული მეტსახელია „მიხაილ უცხოპლანეტელი“. მსოფლიოს მერვე ჩემპიონს იგი ასე ახასიათებს:

„ტალზე საუბარი ძნელია იმიტომ, რომ ის უჩვეულოა, მეტისმეტად კაშკაშაა, იგი ბუნების უცნაური მოვლენაა. სავსებით დარწმუნებული ვარ, ის სხვა სფეროებშიც მაღალ მწვერვალებს დაიპყრობდა. მას ბუნებით ჰქონდა მიმადლებული აზრის ფანტასტიკური სიმახვილე და ბრწყინვალება. მეცნიერი რომ ყოფილიყო, ნობელის პრემიის ლაურეატი გახდებოდა. ტალი ამქვეყნიური ადამიანი არ იყო. ბევრი, ვინც მას პირადად იცნობდა, ამბობს, რომ ტალს არაფერი ჰქონდა საერთო „პომო საპიენსთან“. ის უცხოპლანეტელს ჰგავდა! ამიტომ მისი თამაშიც „უცხოპლანეტური“ იყო. იმსჯელო ტალის თამაშის შესახებ, იგივეა, რომ იმსჯელო იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყურება უფალი ღმერთი“.

აი თურმე ვისთვის მომიგია!

1991-2012



## ეტიუდის დაგადება პრაქტიკული პარტიის სულიდან

ვიდრე მთავარ სათქმელს მივადგებოდე, ერთ ჩემს საჭადრაკო ნოველას გავიხსენებ, რომელიც 1992 წელს გამოვაქვეყნე გაზეთ „მშობლიურ კერაში“ სათაურით „ეტიუდის დაბადება“:

პირველ დიაგრამაზე გამოსახული პოზიცია შეიქმნა 1962 წელს საქართველოს მოსწავლეთა XIV რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გათამაშებულ პარტიაში. თეთრებით არის თბილისელი პირველთანრიგოსანი ვახტანგ პაპიაშვილი, შავებით – ამ სტრიქონების ავტორი, ტყიბულის მოსწავლეთა ნაკრების წევრი (მეორეთანრიგოსანი).

ძალიან მინდოდა ამ პარტიის მოგება. ბოლო ტური იყო (პირად-გუნდური ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით ტარდებოდა რვა ტურად). თუ გავიმარჯვებდი, რვიდან ხუთ ქულას ვაგროვებდი, რაც დედაქალაქში ჭადრაკის სათამაშოდ პირველად ჩამოსული 15 წლის ყმანვილისთვის ურიგო შედეგი არ იქნებოდა.

ერთობ მწვავე შეხლა-შემოხლის შემდეგ („ორი მხედრის დაცვა“) ეს პოზიცია მივიღეთ:



აქ მხედრით ქიში გამოვაცხადე (46. ... ♜f3+) და თუმცა ძლიერ ცაიტნოტში ვიყავი, ჩემი ფიქრით, ადვილად უნდა მომეგო. ამის იმედს ის მაძლევდა, რომ მეტოქის მეფე იძულებულია h1 უჯრაზე ჩავიდეს და ლაზიერისა და მხედრის ერთი შეხედვით მრისხანე ბატარეას შეუშვიროს თავი. რა მეგონა, თუ აქ გახსნილი ქიშით ვერაფერს გავხდებოდი! მაგრამ მოგება არ ჩანს! ბევრი ფიქრის დროც აღარ მქონდა, რამდენჯერმე გამოვაცხადე მხედრით გახსნილი ქიში სხვადასხვა უჯრიდან და მუდმივი ქიშით ყაიმს დავჯერდი.

30 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩავხედე ამ პარტიას და... ვიპოვე მოგების გზა. დიაგრამაზე გამოსახულ პოზიციაში მხედრით კი არ უნდა მეთქვა თურმე ქიში, არამედ ლაზიერით:

46. ... Ee5+! 47. ♜h1 Ed5+! 48. ♜h2

შავი ლაზიერი თითქოს ერთსაფეხურიანი კიბით ჩამოვიდა დაბლა („დაბლა“ შავების მხრიდან). ეს „კიბე“ იმისთვის დასჭირდა, რომ

d ვერტიკალზე მოხვედრილიყო. ახლა ვითამაშოთ 48. ... Ed2! და თეთრები უნდა დანებდნენ: ლაზიერების მათვის არახელსაყრელი გაცვლა გარდუვალია, რის შემდეგ შავი პაიკი ახალ ლაზიერად მოგვევლინება.

აი ასე ლამაზად შემეძლო თურმე დამემთავრებინა ტურნირის ბოლო პარტია! ეტიუდურ სტილში!

მაგრამ ამ პოზიციაში ნამდვილი ეტიუდიც იმალება. „კიბე“, რომელიც შავმა ლაზიერმა გამოიყენა, შეიძლება დაგრძელდეს. თუ ლაზიერს e4-დან a8 უჯრაზე გადავსვამთ, მაშინ მან „ალთქმულ“ d2 უჯრაზე მოსახვედრად უკვე ოთხსაფეხურიანი „კიბე“ უნდა აიაროს (პარტიაში ის ზემოდან დაეშვა, ახლა კი ქვემოდან ზემოთ მიემართება):

1. ... Eb8+ 2. Ch1 Eb7+ 3. Ch2 Ec7+ და ა. შ.

ახლა მოვაშოროთ დაფას რაც ზედმეტია. ასეთი გახლავთ თეთრების a2, c3, g4 და შავების g7, h6 პაიკები. შესავალ თამაშზეც ვიზრუნოთ: თუ შავ ლაზიერს a8 უჯრიდან a1 უჯრაზე გადავსვამთ, ხოლო თეთრ მეფეს h1-ზე, ეტიუდის ამოხსნა ერთი სვლით გაგრძელდება. თუ ლაზიერს კიდევ შევუცვლით ადგილს და h8-ზე დავსვამთ, თეთრ კუს კი h2-ზე გადავიყვანთ, კიდევ ერთ სვლას შევძენთ შესავალ თამაშს. ერთი გარემოების გამო (რაზედაც არ მინდა ახლა სიტყვა გავაგრძელო) საჭირო იქნება შავი მეფე h7-დან f7-ზე გადავიყვანოთ.

ახლა, როგორც ეტიუდს შეჰვერის, შავი ფიგურები (რაკი ისინი იგებენ) თეთრებით შევცვალოთ, თეთრები კი – შავებით, თანაც, რადგან პარტიაში თამაში მეფის ფრთაზე მიმდინარეობს, ეტიუდშიც მეფის ფრთაზე განვალაგოთ ფიგურები; საბოლოოდ ამგვარ რამეს მივიღებთ:



თეთრები ასე იგებენ:

1. Ea8+ ¥g8 2. Ea1+ Ch7

ლაზიერის ამ ორ უგრძეს სვლას ახლა უმოკლეს სვლათა გრძელი სერია მოჰყვება (კონტრასტი!):

3. Eb1+ Ch8 4. Eb2+ Ch7 5. Ec2+ Ch8 6. Ec3+ Ch7 7. Ed3+ Ch8 8. Ed4+ Ch7 9. Ed7 და თეთრები იგებენ.

გეთანხმებით! ფინალი ნაკლებ ეფექტურია, მაგრამ ამას რამდენადმე ანაზღაურებს ორი საინტერესო მცდარი კვალი, რომელთა მიუგნებლად ეტიუდი ამოხსნილად ვერ ჩაითვლება:

1) 1. Ea1+ Cf8 2. ♖f6+ Ch8!

ყველა სხვა სკორა აგებს, ასე კი ყაიმია, რადგან, როგორც ეტიუდის წინამორბედი პარტიიდან ვიცით, ლაზიერისა და მხედრის ბატარეა აქ უძლურია. ამ მცდარმა კვალმა უნდა გააწვალოს ამომხსნელი, როგორც მე გამაწვალა პარტიაში – ძნელი დასაჯერებელია, რომ გახსნილი ქიშით აქ ვერაფერი მიიღწევა!

2) 1. Ea1+ Cf8 2. Ea8+ Ef8 3. ♖f6+ Cf7 4. E:f8+ Cf:f8 5. ♖:h7 Cf7

თეთრებმა ფიგურა მოიგეს, მაგრამ ყაიმია, რადგან მხედარი ვერ მიდის g5-ზე.

აი ეს ამბავი მოვუთხრე მკითხველს 1992 წელს გაზეთ „მშობლიურ კერაში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ საჭადრაკო ნოველაში.

\* \* \*

ამ ნოველის გამოქვეყნებიდან კარგა ხნის შემდეგ, 2010 წელს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა საჭადრაკო კომპოზიციაში, ბატონმა დავით გურგენიძემ, რომელსაც მაშინ პირადად არ ვიცნობდი, დამირეკა და მითხრა, თქვენი ეტიუდი გადავამუშავე, და, თუ თანახმა იქნებით, რომელიმე კარგ კონკურსზე წარვადგინოთო.

როგორ არ ვიქნებოდი თანახმა!

ბატონ დავითს შთამბეჭდავი ფინალი მოუფიქრებია და საბოლოოდ ეტიუდმა ასეთი სახე მიიღო:



1.  $\text{Ea8+}$   $\text{Yg8}$  2.  $\text{Ea1+}$   $\text{Ch7}$  3.  $\text{Eb1+}$   $\text{Ch8}$  4.  $\text{Eb2+}$   $\text{Ch7}$  5.  $\text{Ec2+}$   $\text{Ch8}$  6.  $\text{Ec3+}$   $\text{Ch7}$  7.  $\text{Ed3+}$   $\text{Ch8}$  8.  $\text{Ed4+}$   $\text{Ch7}$  9.  $\text{Ed7}$   $\text{Yf7+!}$  10.  $\text{ef}$   $\text{Ed7}$  11.  $\text{f8}\text{x+}$   $\text{Ch8}$  12.  $\text{axd7}$   $\text{g3}$  13.  $\text{Cg6}$  (13.  $\text{axe5}$  მცდარი კვალია. მართალია, მხედარი აჩერებს გამსვლელ პაიკს, მაგრამ ასე მხოლოდ ყაიმი გამოდის) 13. ...  $\text{g2}$  14.  $\text{axe5}$   $\text{g1E}$  15.  $\text{af7+}$   $\text{Cg8}$  16.  $\text{h7+}$   $\text{Cf8}$  17.  $\text{h8E+}$  და თეთრები იგებენ (თუნდაც ასე: 17. ...  $\text{Ce7}$  18.  $\text{Ed8+}$   $\text{Ce6}$  19.  $\text{Ed6}$ ).

სამფაზიანი ეტიუდი გამოვიდა. პირველ ნაწილში უცვლელი დარჩა ლაზიერის „კიბე“ და კიბემდე მისასვლელი მანევრი ჩემი ეტიუდიდან; მეორე ფაზა შავების ეფექტურ თავდაცვას (9. ...  $\text{Yf7+!}$ ), თეთრი ლაზიერის დროებით შენირვასა და მხედრის გაცოცხლებით მისი დაბრუნების თემას შეიცავს; მესამე ფაზაში შავი გამსვლელი პაიკის თემაა წარმოდგენილი, რომელსაც თეთრები ხელს არ უშლიან ლაზიერად

გარდაქმნაში, ოღონდ ამასობაში საშამათო ქსელში ახვევენ შავ გვირგვინოსანს.

შარშან (2011 წ.), ნლის ბოლოს, სანკტ-პეტერბურგში გააგზავნა ბატონმა დავითმა ეტიუდი უგამოჩენილესი მოჭადრაკის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის, მიხაილ ბოტვინიკის დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც საჭადრაკო უურნალმა „ზადაჩი ი ეტიუდი“ გამოაცხადა, და... მაისის დამდეგს დამირეკა, ინტერნეტში შედი, კონკურსის შედეგებია გამოქვეყნებული, გავიმარჯვეთ, პირველი პრიზი მოგვანიჭესო!

102 ეტიუდი ყოფილა კონკურსზე წარმოდგენილი ოცი ქვეყნიდან (ავსტრიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, არგენტინიდან, ბელორუსიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, ისრაელიდან, იტალიიდან, ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, საქართველოდან, სერბიიდან, სლოვაკიიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, უნგრეთიდან, ყირგიზეთიდან და ჩეხეთიდან).

მემორიალური კონკურსი „მ. ბოტვინიკი-100“ ღირსი აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონის სახელისაო, – აცხადებენ კონკურსის ორგანიზატორები (მსაჯი – საერთაშორისო ოსტატი ლეონარდ კაცნელსონი) და იქვე ამასაც იუწყებიან: „გამოგზავნილ ეტიუდთა დონე ძალიან მაღალი იყო, რაც აისახა კიდეც პრიზების რაოდენობაზეო“.



დავით გურგენიძე (მარჯვნივ) და ლევან ბრეგაძე  
ფოტო ვაჟა დანელიასი

# ЗАДАЧИ И ЭТЮДЫ


сборник

№56

выпуск пятьдесят шестой

Леван Брегадзе и Давид Гургенидзе

2012



Выигрыш

2012

უურნალ „ზაფაჩი ი ეტიუდის“ ყდა, რომელზეც  
ლევან ბრეგაძისა და დავით გურგენიძის ეტიუდია  
გამოსახული, მიხაილ ბოტვინიკის საიუბილეო  
კონკურსში გამარჯვებული

შვიდი მთავარი პრიზი ასე განაწილებულა:

I პრიზი – ლევან ბრეგაძე და დავით გურგე-ნიძე (ორივე საქართველოდან);

II პრიზი – იოქანან აფევი (ისრაელი);

III-V პრიზები (თანაბარი უფლებით) – სერ-გეი დიდუხი (უკრაინა), ედუარდ ეილაზიანი (უკრაინა), იან ტიმანი\* (ნიდერლანდები);

VI პრიზი – ალბერტ ბელიავსკი (სანკტ-პეტერბურგი);

VII პრიზი – ედუარდო მ. ირიარტე (არგენტინა).

ჩვენი ეტიუდი უიურის ასე შეუფასებია:

„თეთრი ლაზიერის ფართო მანევრებს, რაც ზუსტი დანიშნულების მქონე კიბისებურ მოძ-რაობაში გადადის, მოსდევს ორმხრივი შენირ-ვები და პაიკის სუსტ ფიგურად გარდაქმნა. ეტი-უდის ფინალს ამშვენებს გაცოცხლებული მხედრის ძლიერი მცდარი კვალი. დიდებული ბა-ტალური ტილოა!“ (ბოლო წინადადება დედანში ასეა: „Роскошное батальное полотно!“).

\* \* \*

აი ასეთი მართლაც რომ ნოველური თავგა-დასავალი გადახდა ზუსტად ნახევარი საუკუ-ნის წინ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ნათამა-შებ პარტიაში ჩემ მიერ თავის დროზე მიუგნე-ბელ მანევრს!

---

\* ეს ის იან ტიმანია, რომელიც 70-80-იან წლებში მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო. იგი ცნობილი ეტიუდისტიც არის.

და ბოლოს: ამ პუბლიკაციის სათაურად ერთ დროს პოპულარული ფილოსოფოსის ცნობილი ნაშრომის სახელწოდების პერიფრაზი რომ გამოვიყენე, ალბათ მიხვდით.

1992-2012

პარტიის სრული ჩანაწერი:

ორი მხედრის დაცვა  
პაპიაშვილი (თბილისი) – ბრეგაძე (ტყიბული)  
მოსწავლეთა XIV რესპუბლიკური სპარტაკიადა.  
(თბილისი, 1962)

1. e4 e5 2. ♜f3 ♜c6 3. ♛c4 ♜f6 4. ♜g5 d5 5. ed ♜a5 6. ♛b5+ c6 7. dc bc 8. ♛e2 h6 9. ♜f3 e4  
10. ♜e5 ♛d6 11. d4 ♜c7 12. f4 0-0 13. 0-0 c5 14.  
c3 ♜d5 15. ♜h1 ♜e7 16. ♜a3 a6 17. ♜ac4 ♜b7  
18. ♜:d6 ♜:d6 19. ♛g4 ♜df5 20. d5 c4 21. ♜e2  
♜d6 22. ♛:c8 ♜a:c8 23. ♜h5 ♜e8 24. ♜d1 ♜f6  
25. ♜e2 ♜e:d5 26. ♜g4 ♜fe8 27. ♜:f6+ ♜:f6 28.  
♛e3 ♜b7 29. ♜d6 ♜d5 30. ♛d4 ♜f4 31. ♜g4 ♜g6  
32. ♜d7 ♜c7 33. ♜c7 ♜c7 34. ♜f1 ♜c8 35. ♜h5  
♜b8 36. ♜d5 ♜e6 37. ♜c4 ♜b2 38. ♜c8+ ♜h7  
39. ♜f7 ♜b1+ 40. ♛g1 ♜e7 41. ♜e7 ♜e7 42.  
♜a6 e3 43. ♜e2 ♜f5 44. ♜g4? (საჭირო იყო, 44.  
a4, თანაბარი შანსებით. „ფრიცი 12“: 44. ... ♜e4

45. a5 £h4 46. £d3 e2 47. £:f5+ £h8 48. £c8+  
ყაიძი მუდმივი ქიშით) **44.** ... ☉h4 **45.** h3 £e4+  
**46.** £h2 ☉f3+ **47.** £h1 ☉h4+ **48.** £h2 ☉f3+ **49.**  
£h1 ☉d2+ **50.** £h2 ☉f3+ =



## არის შაშათი?

პირველ დიაგრამაზე აღბეჭდილი პოზიცია 1963 წელს გადმოვიხატე უბის წიგნაკში გაზეთ „შახმატნაია მოსკვას“ იმავე წლის მე-10 ნომრი-დან. ეს გახლავთ დაბოლოება აპარცევ-ი. ზაიცევის პარტიისა (მოსკოვი, 1963), რომელიც გაზეთში ი. კოგანის კომენტარებით იყო დაბეჭდილი. ჩემი ყურადღება მან შემდეგი გარემოების გამო მიიპყრო: აქ იგორ ზაიცევმა (იმ დროს ოსტატმა, 1976 წლიდან – დიდოსტატმა) ორ სვლაში დააშამათა მოწინააღმდეგე ეტლის შეწირვით:



16. ... ♗g1++ 17. ♖:g1 ♜f3x

ეტლის ეს შენირვა, რომელსაც ი. კოგანი ძახილის ნიშანს უსვამს, მართლაც ლამაზი იქნებოდა, მის გარდა რომ არ არსებობდეს... შამათი ერთ სვლაში!

დიახ, დიაგრამაზე წარმოდგენილ პოზიციაში ასცილდით შავი ეტლით მესამე ჰორიზონტალს და... შამათია! არა გჯერათ? აბა კარგად დააკვირდით!

ხომ უცნაურია, არა? ერთ სვლაში შამათი ვერ შენიშნეს ვერც ოსტატმა იგორ ზაიცევმა, ვერც მისმა მეტოქემ (ამ უკანასკნელს რომ მაინც შეენიშნა, პარტიის დამთავრების შემდეგ აუცილებლად ეტყოდა პარტნიორს), ვერც კომენტატორმა...

მაგრამ ამ საჭადრაკო „სიბრმავის“ ამბავი ამით არ დამთავრებულა. 1978 წელს მინსკში გამოიცა აბრამ როიზმანის წიგნი „საჭადრაკო მინიატურები“. ამ წიგნში დაწვრილებით არის გარჩეული აპარცევ-ი. ზაიცევის ეს პარტიაც („ორი მხედრის დაცვა“) და შავების მე-16 სვლას აქაც ძახილის ნიშანი უზის. მერე ამ წიგნის გერმანული თარგმანი ბერლინშიც დაისტამპა 1980 წელს. ეტლის შენირვა იქაც ძახილის ნიშნით არის შემკობილი.

უნიკალური შემთხვევაა! ამდენი ოსტატი, ამდენი პროფესიონალი, ამდენი ხანია აანალიზებს ამ პარტიას და ვერცერთი მათგანი

## ვერ ხედავს შამათს სულ რაღაც ერთ სვლა-ში!\*

იქნებ ეს შამათი ასე ძნელი შესამჩნევი იმიტომ შეიქნა, რომ თითქმის **სუფთა შამათია** (ამავდრო-ულად ეკონომიურიც არის: მეფისა და პაიკების გარდა დაფაზე არსებული ყველა, ოთხივე, ფიგუ-რა მონაწილეობს სამამათო ქსელის შექმნაში; ხო-ლო სუფთა და ეკონომიური შამათის შერწყმას **სწორ შამათს** უწოდებენ. ეს ტერმინები – **სუფთა შამათი, ეკონომიური შამათი და სწორი შამათი** – საჭადრაკო კომპოზიტორების შემოღებულია). „თითქმის“ იმიტომ, რომ სულ ცოტალა აკლია ნამდვილ სუფთა შამათამდე, იმდენად ცოტა, რომ ეს „ნაკლი“ ამჯერად შეიძლება უგულებელვყოთ: **g2** უჯრაზე თეთრი მეფე ორი მიზეზით ვერ მიდის – მოწინააღმდეგის ეტლიც უშლის ხელს და კუც (სუფთა შამათი მოითხოვს, რომ მეფეს მეზობელ უჯრებზე გაქცევაში მხოლოდ თითო მიზეზი უშ-ლიდეს ხელს). პრობლემისტთა (ამოცანების შემ-დგენელთა) ჩეხური სკოლის წარმომადგენელნი სწორედ იმიტომ „ეტრფოდნენ“ ასე სუფთა შა-მათს, რომ იგი, გარდა იმისა, რომ ლამაზია, ამავე დროს ძნელი დასანახიც არის.

მაგრამ ის შამათიც რომ თითქმის სუფთა შამათია, რომელიც პარტიაში განხორციელდა?

\* ასეთივე ვითარებაა ინტერნეტში განთავსებულ სტა-ტიაში, რომელიც დიდოსტატ იგორ ზაიცევის დაბადებიდან 75 წელს ეძღვნება და რომლის ავტორია საერთაშორისო ოს-ტატი ვლადიმირ ბარსკი.

<http://sportbusters.ru/chess/analitik-ot-boga/>

(„თითქმის“ იმიტომ, რომ h2 უჯრაზე მეფე ორი მიზეზით ვერ მიდის – თავისი პაიკიც უშლის ხელს და მონინააღმდეგის მხედარიც).

მაგრამ ერთ სვლაში შამათი აქ იმით განსხვავდება ორ სვლაში შამათისაგან, რომ პირველი მათგანი ამავდროულად ე. წ. **სარკისებრი შამათიც** არის. ეს ტერმინიც საჭადრაკო კომპოზიტორების მოფიქრებულია და ისეთ შამათს ნიშნავს, როცა დაშამათებული მეფის ირგვლივ ყველა უჯრა თავისუფალია – მათზე არც საკუთარი ფიგურა დგას და არც მეტოქისა (ის შამათი, რომელიც ეტლის შენირვას მოჰყვა, ცხადია, არ არის სარკისებრი, ვინაიდან თეთრი მეფის მეზობელ უჯრებზე ორი წარმომადგენელი დგას ამავე გვირგვინოსნის ბანაკიდან – ეტლი და პაიკი).

ამ ორი ფაქტორის – სუფთა და სარკისებრი შამათის – შერწყმა ძალიან ძნელად აღსაქმელს ხდის საშამათო პოზიციას. ეს კარგად მოეხსენება მას, ვინც საჭადრაკო ამოცანებით არის დაინტერესებული.

როგორც ჩანს, შამათი (თვით სუფთაც კი) უფრო ადვილად დასანახია მაშინ, როცა დასაშამათებელი მეფის გვერდით თუნდაც ერთი ფიგურა ან პაიკი მაინც დგას, საკუთარი ან მეტოქისა. ეტყობა, უშუალოდ მეფის გვერდით მდგარი ფიგურა ერთგვარ „საყრდენს“ წარმოადგენს შამათის მაძიებელი თვალისოვის („თვალში“ აქ „გონების თვალსაც“ ვგულისხმობ), სარკისებრი შამათის დროს კი ასეთი „საყრდენი“ არ მოიპოვება.

ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საშამათო პოზიციების შემჩნევა-ვერშემჩნევის საქმეში.

მაგრამ მე როგორდა შევამჩნიე ეს შამათი, როცა ამდენმა ოსტატმა ვერ დაინახა ის?! როგორ და... სწორედ იმ ხანებში ინტენსიურად ვხსნიდი საჭადრაკო ამოცანებს (განსაკუთრებით სწორედ ჩეხური სკოლის ამოცანები მიტაცებდა) და მზერა გავარჯიშებული მქონდა სუფთა და სარკისებრი შამათების დასანახავად (ამოცანებში სუფთა და სარკისებრი შამათი უმეტესად შუა დაფაზე კეთდება, რაც კიდევ უფრო ძნელი დასანახია, ვიდრე ამგვარივე შამათი დაფის კიდეზე, როგორც ეს ჩვენს მაგალითშია).

მაგონდება ასეთი შემთხვევა: სწორედ 1963 წელს, რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე ზემოთ განხილულ პოზიციას ვნახავდი, მოსწავლეთა XV რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ვთამაშობდი. ერთ პარტიაში, რომელშიც შავებით ვიყავი, ამგვარი პოზიცია შეიქმნა:



ჩემმა მეტოქემ სუსტად გაითამაშა დებიუტი (აქაც „ორი მხედრის დაცვა“ იყო, მაგრამ სულ სხვა ვარიანტი) და მალე წასაგები მდგომარეობა მიიღო. დიაგრამაზე გამოსახულ პოზიციაში გამარჯვებისკენ მიმავალი უმოკლესი გზა არის ორ სვლაში შამათი ლაზიერის შენირვით: ლაზიერით ვიყვან თეთრ მხედარს ქიშით (**18. ... E:f3+!**), პაიკი კლავს ჩემს ლაზიერს (**19. gf**), რის შემდეგაც კუთი ვაცხადებ შამათს (**20. ♦h3x**). (საინტერესოა, რომ თეთრი მეფე და მისი დამშამათებელი კუ აქაც იმავე უჯრებზე დგანან, რომლებზეც აპარცევ-ი. ზაიცევის პარტიაში). როგორც ვხედავთ, სუფთა და სარკისებრი შამათის შერწყმა გვაქვს. როცა ლაზიერის შენირვის შემდეგ ვთქვი, მომდევნო სვლაზე შამათია-მეთქი, პარტიიორმა ეჭვის თვალით შემომხედა და კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ჩემი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდებოდა.

ნუ განვსჯით მკაცრად ნორჩ მოჭადრაკეს: როგორც ვნახეთ, როცა სუფთა და სარკისებრი შამათის შერწყმა ხდება, ზოგჯერ ოსტატებსაც უჭირთ მისი შემჩნევა. და არამარტო ოსტატებს – (მომავალ) დიდოსტატებსაც!

მომდევნო დიაგრამაზე გამოსახული პოზიცია შეიქმნა სალშტობადენში 1948 წელს ნათა-მაშებ გლიგორიჩ-ბეკის პარტიაში (ამ დროს სვეტოზარ გლიგორიჩი უკვე იუგოსლავიის ჩემპიონია, ხოლო სამი წლის შემდეგ საერთაშორისო დიდოსტატიც გახდა და დიდ ხანს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტიც იყო).



სალო ფლორის მონათხრობის მიხედვით (უკრ-ნალი „Шахматы“, 1962, №7, გვ. 21), გლიგორიჩმა აქ კარგა ხნის ფიქრის მერე  $|d1+$  ითამაშა და მრავალი სვლის შემდეგ გაიმარჯვა. არადა, კუთი  $f6$  უჯრიდან „სუფთად“ და ამავდროულად „სარკი-სებურად“ აშამათებდა მონინააღმდეგის მეფეს!

ბოლოს ვნახოთ პოზიცია, რომელიც მსოფლიოს ორი ყოფილი ჩემპიონის პარტიაში შეიქმნა 1964 წელს, სსრ კავშირის გუნდურ ჩემპიონატზე (მოსკოვი). თეთრებით მიხაილ ბოტვინიკი თამაშობს, შავებით – ვასილი სმისლოვი:



აქ სმისლოვმა **43. ... c7-c5** ითამაშა და **44.**

ყ**d4-f6!**-ის შემდეგ გარდაუვალი შამათის გამო დანებდა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა, იმ დროსაც მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა დიდოსტატმა, ორ სვლაში შამათი ვერ დაინახა! თანაც გაითვალისწინეთ, რომ ეს გადადებულ პარტიაში მოხდა, ანუ ორ სვლაში შამათი მან საშინაო ანალიზის დროსაც ვერ შენიშნა. მომდევნო სვლაზე ეტლით **h4** უჯრიდან გამოცხადებული სუფთა (თან ეკონომიურთან შერწყმული ანუ სწორი!) შამათი, მართალია, მთლად სარკისებრი ვერ არის, ვინაიდან ეტლი მიხუტებულია შავ მეფეს, მაგრამ ეს შემთხვევა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ჭირს საშამათო პოზიციის შემჩნევა, როცა დასაშამათებელი მეფე „ტრიალ მინდოოზე“ იმყოფება – გვერდით არც თავისი ფიგურა უდგას და არც მეტოქისა.

და ბოლოს ცოტაოდენი დიდაქტიკა: ამოხსენით საჭადრაკო ამოცანები! განსაკუთრებით ჩეხი პრობლემისტების მ. ჰაველის, ფ. მატოუშეკის, ზ. მახისა და მათ მიმდევრთა ამოცანების ამოხსნას გირჩევთ; ეს დიდად დაგეხმარებათ პრაქტიკული თამაშისას არატიპური საშამათო პოზიცების შემჩნევაში.

1991-2012



## ლაზიარის შეცირვით

ჩემი მოწაფეობისას ტყიბულის უძლიერესი მოჭადრაკე სერგო ნაცვალაძე იყო, ცნობილი მუსიკოსი (ვირტუოზულად უკრავს გიტარაზე) და პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე. მისი სახით საჭადრაკო ხელოვნებას მეშახტეთა ქალაქში თავდადებული მსახური და პროპაგანდისტი ჰყავდა (ამჟამად იგი თბილისში მოღვანეობს). მის ძალასა და თამაშის მანერაზე გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით ქვემოთ მოყვანილი მინიატურა, რომელშიც ბატონმა სერგომ 19 სვლაში გამანადგურა.

ესპანური პარტია  
**ნაცვალაძე – ბრეგაძე**  
(ტყიბული, 1966)

**1. e4 e5 2. ♜f3 ♜c6 3. ♖b5 a6 4. ♖a4 d6 5. 0-0 ♖g4 6. c3 f5 7. ef ♖:f5 8. d4 b5 9. ♖b3 e4 10. d5 ♜a5 11. ♖c2 ♜f6 12. ♜e1 ♖e7 13. ♜d4 ♖g4 14. f3 ef 15. gf ♖d7 16. ♜e2 ♜:d5 17. ♖e4 c6 18. ♖:d5 cd 19. ♖g5**

აქ შევწყვიტე წინააღმდეგობა. დღემდე არ ვიცი სად მომივიდა გადამწყვეტი შეცდომა, სა-

ერთოდ, რა დავაშავე ამ პარტიაში ისეთი, რომ  
ასე სასტიკად დავისაჯე!

ბატონი სერგო ოსტატურად იყენებდა მე-  
ტოქის მცირე პოზიციურ შეცდომებსაც კი, ჩი-  
ნებულად გრძნობდა პოზიციას.

ეს პარტიაც და ისიც, რომლის დაბოლოებას  
ქვემოთ გთავაზობთ, სატურნირო პარტიები არ  
არის, მაგრამ მათ ვერც „მსუბუქ“ პარტიებს ვუ-  
ნოდებ: ბატონ სერგოსთან მსუბუქად თამაში  
შეუძლებელი იყო. ყოველ პარტიას უაღრესად  
სერიოზულად ეკიდებოდა, მუდამ ძალების მთე-  
ლი დაძაბვით თამაშობდა. მასთან მოგებას მხო-  
ლოდ ძალზე შენიდბული მახებითა და კომბი-  
ნაციებით ვახერხებდი.

შემომრჩა სერგო ნაცვალაძესთან ნათამაშები  
კიდევ ერთი პარტიის ჩანაწერი, რომელიც ლაზი-  
ერის შენირვით მოვიგე. ისიც ტყვიბულში ვითამა-  
შეთ, 1972 წელს, ამჯერად თეთრებით მე ვარ:\*



\* ეს ნოველა პირველად გაზეთ „მშობლიური კერის“ 1993  
წლის №1(49)-ში გამოქვეყნდა. იქ დიაგრამაზე შეცდომით  
თეთრი კუს ნაცვლად d2-ზე თეთრი მხედარი დგას.

**24. ♫g5 E:f2?** (საჭირო იყო 24. ... Ed7, თანა-ბარი თამაშით) **25. |:e8?** (იოლად იგებდა 25. ♪e4 E:h2 26. |:e8 |:e8 27. ♪d6+) **25. ... E:d2+**

**26. ♭b1 E:g5 27. E:e6+ ♭b8 28. |d1**

ახლა იმუქრება 29. Ed7, აგრეთვე 29. Eg6.

**28. ... a6?**

გასაქცევს უხსნის მეფეს. თუ ახლა 29. Ed7, მაშინ 29. ... |:e8 30. E:e8+ ♭a7. მაგრამ შავების 28-ე სვლის შემდეგ მოგების ახალი გზა ჩნდება:

**29. E:c6! bc 30. | 1:d8+ ♭b7 31. | b8+**

და თეთრი ეტლები აშამათებენ „სარკოფაგ-ში“ მოქცეულ შავ მეფეს.

შავებს რომ 28. ... a6-ის ნაცვლად 28. ... a5 ეთამაშათ, მათ მეფეს ახლა გასაქცევი ექნებოდა, მაგრამ ამის მიხვედრა ოთხი სვლის წინ ადვილი არ გახლდათ, ვინაიდან ლაზიერის შენირვით მოგების შესაძლებლობა მხოლოდ მცდარი 28. ... a6-ის შემდეგ წარმოიშვა.

მაშ ასე: „ბუნებრივი“ 28. ... a6-ის ნაცვლად საჭირო ყოფილა „ნაკლებ ბუნებრივი“ 28. ... a5, რასაც შემდეგ ალბათ მოჰყვებოდა 29. Eg8 E:g8 30. | 1:d8+ ♪:d8 31. |:g8 ♭c8 32. | h8 თანა-ბარი შანსებით.

1993

**P.S.** ამ კომპინაციის შემდგომი თავგადასავალი იხილეთ მომდევნო ნოველაში „მე ვიცნობ „ფრიცს“.“



## მე ვიცხობ „ფრიცს“!

გაზეთი „ახალი ეპოქა“ წლევანდელ (2003 წ.) 18-24 ივლისის ნომერში გვაუწყებდა, რომ „პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკე გარი კას-პაროვი ნოემბერში მესამედ შეებრძოლება კომპიუტერულ პროგრამას და ეცდება, ამჯერად მაინც გაიმარჯვოს (ადრე მან კომპიუტერთან ერთი მატჩი წააგო და ერთიც ფრედ დაამთავრა. – ლ. ბ.). მისი მონინააღმდეგე იქნება კიდევ უფრო დახვეწილი და „ჭკვიანი“ მანქანა X3d Fritz“.

მე ვიცხობ „ფრიცს“, ადამიანის გონიერის ამ სასწაულებრივ ნაყოფს – რამდენიმე თვეა, რაც გავიცანი, ეს გახლავთ „ფრიცი 7“, 2001 წლის ვერსია. ჩვენი ურთიერთობა ასე დაიწყო:

როცა ჩემი კომპიუტერის მონიტორის ეკრანზე ჭადრაკის დაფის გამოსახულება გამოჩნდა, „ფრიცის“ ძალის შესამოწმებლად ერთი ჩემი ჭაბუკობისდროინდელი კომბინაცია დავაწყვე – ლაზიერის შენირვა, რომელიც 90-იანი წლების დამდეგს გაზეთ „მშობლიურ კერაშიც“ გამოვაქვეყნე:



მე თეთრებით ვარ. შავებს ორი მსუბუქი ფიგურა აქვთ ეტლში, რაც საგრძნობი მატერიალური უპირატესობაა. აქ საშამათო კომბინაცია შევნიშნე ლაზიერის შენირვით და თამაში ასე გაგრძელდა:

**1. E:c6 bc 2. |1:d8+ ♜b7 3. |b8+**

და თეთრი ეტლები აშამათებენ „სარკოფაგ-ში“ მოქცეულ შავ მეფეს.

მოკლედ, დავუწყვე ეს პოზიცია „ფრიცს“ და გადავეცი თეთრებით სვლის გაკეთების უფლება. 19 წამი იფიქრა და მოულოდნელად **1. h4** ითამაშა. პაიკის ამ შენირვის აზრი სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა ჩემთვის. მივიღე ძლვენი – სხვა გზა არ არის: **1. ... E:h4.** მხოლოდ ამის შემდეგ შენირა ლაზიერი „ფრიცმა“ **c6-ზე: 2. E:c6.**

რატომ თავიდანვე არ მოიმოქმედა ეს? რა საჭირო იყო ასეთი უვერტიურა – ჯერ **h4-ზე** პაიკის შენირვა?

ამის გასარკვევად დაფა შევატრიალე, თეთრები ისევ მე დავიბრუნე, **1. E:c6** ვითამაშე და „ფრიცის“ საპასუხო სვლას დაველოდე. წუთი და თორმეტი წამი იფიქრა და **1. ... ♫a7** ითამაშა. ეს წყნარი სვლა ამ დაძაბულ პოზიციაში საუკეთესო თავდაცვა გამოდგა. ახლა **2. ♪1:d8** აღარ შეიძლება, ვინაიდან ქიში აღარ არის და ლაზიერი **g1** უჯრიდან ქიშის შემდეგ ორ სვლაში დამაშამათებს. არადა, თეთრების სამივე ფიგურა – ლაზიერი და ეტლები – დარტყმის ქვეშ არიან. ერთადერთი გამოსავალი ეს არის: **2. E:b6+ ♫:b6 3. ♪e:d8.** თეთრებს ლაზიერის სანაცვლოდ ორი ეტლი აქვთ. ეს ძალთა უკეთესი შეფარდებაა, ვიდრე ლაზიერის შენირვამდე მქონდა – ორი ეტლი ცოტათი სჯობს ლაზიერს, მაგრამ პოზიცია იმდენად გამარტივებულია, რომ პარტია ალბათ ყაიმით დამთავრდება. ასეთი შედეგი კი „ფრიცს“ არ აკმაყოფილებს. მას მოეწონა ეტლებით მერვე პორიზანტალიდან შავი მეფის დაშამათების იდეა, მაგრამ ისიც დაინახა, რომ **1. ... ♫a7**-ის შემდეგ ეს აღარ გამოდის **Eg1+-ის** გამო. ამიტომ „ფრიცმა“ პაიკის შენირვით შავი ლაზიერი აიძულა **h4**-ზე გადაბარგებულიყო, რის შემდეგ თეთრებს პირველ პორიზონტალზე შამათი აღარ ემუქრებათ, ვინაიდან **h1** უჯრას დასაღუპავად განწირული თეთრი ლაზიერი ჯერ კიდევ აკონტროლებს, ხოლო **e1** უჯრას კი, საიდანაც შავ ლაზიერს

ასევე შეეძლო გადამწყვეტი ქიშის გამოცხადება, ეტლი დარაჯობს. შავები იძულებულნი არიან 2. E:c6-ის შემდეგ 2. ... 1:e8 ითამაშონ, რასაც 3. E:e8+ მოჰყვება – თეთრებს ზედმეტი ხარისხი აქვთ პაიკში და ზუსტი თამაშით უნდა გაიმარჯვონ (თვითონ „ფრიცმა“ ეს დაბოლოება თავის თავს თეთრებით ადვილად მოუგო).

ჩემი მარტივი კომბინაციიდან „ფრიცმა“ რამდენიმე წამში მშვენიერი ნაწარმოები შექმნა – პრაქტიკულ პარტიაში საჭადრაკო ეტიუდის ელემენტები შეიტანა.

ამის შემდეგ საავედრას ცნობილი ეტიუდი დავუწყვე, სადაც თეთრები ეტლის გაცოცხლებით იგებენ (ლაზიერის გაცოცხლებას პატი მოსდევს). წუთსა და ათ წამში იპოვა თეთრების-თვის სწორი სვლები. პაიკმა რომ მერვე ჰორიზონტალს მიაღწია და მის ნაცვლად დაფაზე ეტლი გაჩნდა, მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე.

საჭადრაკო დაფის თავისებური გეომეტრიაც ჩინებულად ესმის, რისი დასტურიც ის გახლავთ, რომ ძალიან იოლად ამოხსნა რ. რეტისა (1921) და ო. მაიზელისის (1921) ცნობილი მინიატურები (პაიკების ენდშპილი).

ა. კარპოვისა და ე. გიკის ერთობლივ წიგნში „ამოუწურავი ჭადრაკი“ (1991) ერთი თავი 80-იანი წლების საჭადრაკო კომპიუტერულ პროგრამებს ეძლვნება. იქიდან ვგებულობთ, რომ მაშინდელი სათამაშო პროგრამები კარგად ხსნიდ-

ნენ საჭადრაკო ამოცანებს (ამოცანებში, მოგეხ-სენებათ, შამათი სვლების განსაზღვრულ რაო-დენობაში უნდა გაკეთდეს), ეტიუდების ამოხსნა კი უჭირდათ. კერძოდ, წიგნში ვკითხულობთ: „ეტიუდების ამოხსნაში, სადაც სვლების რაოდე-ნობა შეუზღუდავია, კომპიუტერთა წარმატება გაცილებით მოკრძალებულია. თუმცა, თუკი ეტიუდში თამაში კომპინაციური, ფორსირებუ-ლი ხასიათისაა, სათამაშო პროგრამა ხშირად ძლევს მის წინაშე მდგარ ამოცანას“ (გვ. 363).

„ფრიცი“ კი კარგად ართმევს თავს ისეთ ეტიუდებსაც, სადაც ტაქტიკურ ოსტატობაზე მეტად სტრატეგიული გეგმის დასახვა და მისი განხორციელებაა საჭირო. მაგალითად, მსოფ-ლიოს მეორე ოფიციალური ჩემპიონის ემანუ-ელ ლასკერის მიერ 1892 წელს შექმნილი ეტიუ-დი-შედევრი, ეტლების ენდშპილი, სადაც მოგე-ბა ორივე ფერის ფიგურათა მთელი ჯგუფის ხანგრძლივი სისტემატური მოძრაობის შედე-გად მიიღწევა, „ფრიცმა“ 16 წუთში ამოხსნა, როცა თეთრებითაც და შავებითაც თვითონ თა-მაშობდა.

ასევე ადვილად (13 წუთში, აქაც ორივე ფე-რის ფიგურებით თვითონ თამაშობდა) დასძლია ლეონიდ კუბელის ეტიუდი (მოგება), რომელიც ი. ვლადიმიროვისა და ი. ფოკინის წიგნში „ლეო-ნიდ კუბელი“ (მ., 1984) 519-ე ნომრით არის შე-სული. არც ამ ეტიუდშია ტაქტიკურ-კომპინა-ციური შეხლა-შემოხლა, პოზიციური ბრძოლა

მიმდინარეობს, გამოკვეთილად ფორსირებული თამაში აქ არ არის – ყველა მთავარი ვარიანტი პაიკების არცთუ ადვილად მოსაგები ენდშპილით მთავრდება.

ამავე წიგნიდან 597-ე ეტიუდის ამოხსნისას 3 წუთსა და 27 წამში იპოვა თეთრებით სწორი სვლები, ხოლო 598-ე ნომრის ამოხსნისას – 4 წუთსა და 53 წამში.

იოლად ამოხსნა გია ნადარეიშვილის „მხედრული“ (III პრიზი ჟურნალ „Thèmes-64“-ის კონკურსზე, 1958), სწრაფად იპოვა ბრწყინვალე სვლა 5. ყf3. მაგრამ ამავე კომპოზიტორის ერთ-ერთ ადრეულ ეტიუდს (1946), სადაც 23-ე სვლაზე კეთდება შამათი, მას შემდეგ, რაც თეთრი ლაზიერი ორჯერ აივლის და ერთხელ ჩამოივლის გრძელ „კიბეს“, ვერაფერი მოუხერხა (თავიდანვე მუდმივი ქიშით ყაიმს დასჯერდა). ეს ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ, ჯერ ერთი, აქ არ გვაქვს კომპინაცია, ანუ ფორსირებული ვარიანტი შეწირვით, და, გარდა ამისა, შამათამდე ძალიან ბევრი (ოცდასამი!) სვლაა გასაკეთებელი, – ეს კი, ეტყობა, „ფრიცისთვისაც“ მეტისმეტია.

80-იანი წლების პროგრამები, როგორც ა. კარპოვისა და ე. გიკის წიგნიდან ვგებულობთ, პოზიციურ თამაშში მოისუსტებდნენ. „ფრიცი“ აქაც ძლიერია. არ მოსდის ის პოზიციური შეცდომები, რომლებზეც ამ წიგნში საუბრობენ ავტორები კომპიუტერების მიერ ნათამაშები პარ-

ტიების ანალიზისას – იმ პოზიციებში „ფრი-ცი 7“ უკეთეს სვლებს პოულობს.

იმავე წიგნში ვკითხულობთ, რომ 80-იანი წლების თაობის კომპიუტერს ვერ მოუნახავს მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონის ვილჰელმ შტაინიცის მიერ კ. ბარდელებენთან ნათამაშებ პარტიაში (ჰასტინგსი, 1895) განხორციელებული კომბინაცია-შედევრი, – მანქანას მოგების სხვა, ბევრად უფრო გრძელი გზა აურჩევია – **22.** ♞:h7 – მარტივი ტაქტიკური ოპერაციის შედეგად თეთრებს ზედმეტი პაიკი რჩებათ და დიდი ბრძოლის შემდეგ იმარჯვებენ. „ფრიცმა“ კი ვ. შტაინიცის კომბინაციის პირველი სვლა – **22.** ♠:e7+ – 45 წამში იპოვა, ხოლო მთელი კომბინაციის განხორციელებას 5 წუთი მოანდომა.

მოკლედ, „ფრიცი“ არაჩვეულებრივი ტაქტიკოსია და ამ სფეროში მასთან გაჯიბრებას აზრი არა აქვს.

სვლა **25. ♦g5-f6**, უკვდავი კომბინაციის შესავალი, რომლითაც ტორემ ლაზიერის შენირვით ემანუელ ლასკერს ცნობილი „წისქვილი“ მოუწყო (მოსკოვი, 1925) „ფრიცმა“ 39 წამში მონახა.

ხოლო იმავე ტორესთან ადამსის მიერ განხორციელებულ კომბინაციას, სადაც ზედიზედ რამდენჯერმე ინირება ლაზიერი (ნიუ-ორლეანი, 1925) სულ 2 წუთი და 18 წამი მოანდომა.

ლაზიერის შენირვა **h7** უჯრაზე ედუარდ ლასკერ-ტომასის პარტიაში (ლონდონი, 1911) 32 წამში იპოვა.

ნონა გაფრინდაშვილის ბრნყინვალე კომბინაციის პირველი სვლა სერვატისთან მოგებულ პარტიაში – **14. ♦:g7** – (დორტმუნდი, 1974) 46 წამში მოძებნა.

მიხაილ ტალმა რომ შტუტგარტში 1958 წელს ერთდროული თამაშის სეანსში უნიკალური კომბინაცია განახორციელა ეტლისა და ლაზიერის შენირვით (პაიკის „სლალომი“), „ფრიცმა“ თვალის დახამხამებაში გაიმეორა – კომბინაციის პირველ სვლაზე (**16. gf**) წამზე მეტი არ უფიქრია.

მერე დავინუეთ თამაში.

ასეთ პარტნიორთან მე, გასული საუკუნის 60-იანი წლების პირველთანრიგოსანს, ვისაც რამდენიმე ათეული წელია, აღარ მითამაშია, რა უნდა გამეწყო! უამრავი პარტია წავაგე. ვიხსენებდი ჭადრაკის თამაშს და თან ვტკბებოდი „ფრიცის“ მახვილგონიერებით, ტაქტიკური ოსტატობით, არაჩვეულებრივი ტექნიკით.

„ფრიცი“ ფლობს უფართოეს სადებიუტო რეპერტუარს და თეორიულ ვარიანტებს ელვის სისწრაფით თამაშობს, მაგრამ თუ გატკეპნილ გზას გადაუხვევ, ფიქრს იწყებს.

ერთხელ, როცა ლაზიერი დამითმო სამ მსუბუქ ფიგურაში და კარგი პოზიციაც მიიღო, ყასიდად ყაიმი შევთავაზე. ძალზე თავაზიანად

მითხრა უარი: „პარტია საინტერესო ჩანს და, ძალიან გთხოვ, განვაგრძოთ თამაშიო“ (ასეთ დროს შუა ეკრანზე გამოხტება წარწერა, სადაც „ფრიცის“ პასუხი წერია). რამდენიმე სვლის შემდეგ იგივე შეთავაზება გავიმეორე. ამჯერად უარი ასეთი სახალისო ფრაზით განმიცხადა: „ჩვენ ახლა ჭადრაკის ისტორიას ვწერთ (ანუ – ისტორიულ პარტიას ვთამაშობთ. – ლ. ბ.) და რა დროს ყაიმიაო“. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ განვაახლე საზავო მოლაპარაკება და უკვე მკვახე პასუხი მივიღე: „არავითარ შემთხვევაში!“. ხოლო როცა მეოთხეჯერაც იგივე მოვიმოქმედე, გაბრაზებულმა მომახალა: „შენ მაგით ნერვები გინდა მომიშალოო!“.

შემრცხვა.

ერთხელ ასეთი პოზიცია მივიღეთ:



მე შავებით ვარ. თეთრებს პოზიციური უპირატესობა აქვთ: ფლობენ ნახევრად ღია C ვერტიკალს, სუსტია და გამუდმებულ დაცვას საჭი-

როებს შავების **c7** პაიკი, თეთრი პაიკი **d5** უჯ-  
რიდან აკონტროლებს **c6** და **e6** პუნქტებს, **c6**  
უჯრედი კარგი პლაცდარმია თეთრი ეტლისთ-  
ვის. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ შავე-  
ბის პოზიცია დაუცველია. ჩემი გეგმა ასეთია:  
კუ უნდა გადავიყვანო **d6**-ზე, რითაც ძნელად  
ასაღებ სიმაგრეს ავაგებ. აქ „ფრიცმა“ **21.** | **c6**  
ითამაშა, რასაც მე **21.** ... **Eb4**-ით ვუპასუხე.  
ლაზიერების გაცვლა ჩემთვის სასარგებლო იქ-  
ნებოდა, ამიტომ „ფრიცი **7**“ **22.** **Ec2**-ს თამა-  
შობს. **22.** ... **Ff8** – ეს გახლავთ პირველი ნაბიჯი  
იმ გეგმის განხორციელების გზაზე, რაც კუს **d6**  
უჯრაზე გადასროლას ითვალისწინებს. აქ ჩემი  
მეტოქე პაიკით დაემუქრა ჩემს ლაზიერს: **23.**  
**a3.** მე **23.** ... **Eb5** ვითამაშე, რაც მძიმე შეცდომა  
გამოდგა (სწორი იყო **23.** ... **Ee7**). **24. a4** – პაიკი  
კვლავაც დაემუქრა ჩემს ლაზიერს. მერე რა, –  
ვიფიქრე, – დავაბრუნებ იქვე, სადაც წელან იდ-  
გა: **24.** ... **Eb4**. ჩემს ამ სვლას მყისვე მოაყოლა  
„ფრიცმა“ **25. d6**. პაიკის ამ შეწირვით „სათაგუ-  
რის“ კარი ჩაიკეტა: გინდ კუთი აგიყვანია ახლა  
ეს პაიკი, გინდ პაიკითვე, გინდა სულაც ნუ  
ახლებ ხელს – **25.** | **c4**-ის შემდეგ შავი ლაზიერი  
დაჭრილია („შამათი“ აქვს გამოცხადებული!).  
სეირი ის გახლავთ, რომ **24.** ... **Eb4**-ის ნაცვლად  
**24.** ... **Ea6** რომ მეთამაშა (მეტი წასასვლელი  
ჩემს ლაზიერს არსად აქვს), „ფრიცი“ მაინც **25.**

d6-ს ითამაშებდა და თუ 25. ... ♠:d6 (უკეთესი არაფერი ჩანს), მაშინ უკვე ხარისხსაც შემომწირავდა: 26. ♠d:d6 cd 27. ♠:b6 და იგივე ეტლი აქაც დაიჭერდა ჩემს ლაზიერს. ეს ვარიანტი „ფრიცმა“ თვითონვე მაჩვენა მას შემდეგ, რაც ფარ-ხმალი დავყარე და ერთად გავაანალიზეთ პარტია.

მოსდის თუ არა „ფრიც 7“-ს შეცდომები? მოსდის, მაგრამ მისი შეცდომა ყოველთვის არაჩვეულებრივად საინტერესოა. ჯერჯერობით სამჯერ მივაღწიე მასთან ყაიმს. ერთის შესახებ მინდა გიამბოთ. dველინდურ დაცვაში, სადაც შავებით მე ვთამაშობდი, ასეთი პოზიცია შეიქმნა:



ერთი შეხედვითვე ჩანს, რომ შავების მდგომარეობა მძიმეა. აქ **30. ... ♠d7** ვითამაშე, რადგან b7 პაიკის დაცვა ადრე თუ გვიან მაინც მომინევდა. რამდენიმე წამის შემდეგ ეკრანზე ასეთი ტექსტი გამოხტა: „ფრიცს უხარია, ეგ

სვლა რომ გააკეთე, შენ კი, ლევან, მალე სასიხა-  
რულოდ აღარ გექნება საქმე“ („ფრიცი 7“ ხან  
ფამილიარულად სახელით მომმართავს, ხან  
ოფიციალურად – გვარით).

ორიოდე სიტყვა „ფრიცის“ ამ კომენტარის  
გამო.

პროგრამა იძლევა საშუალებას, თუკი მოი-  
სურვებ, „ფრიცმა“ მიგანიშნოს, რომ შეცდი.  
ასეთ დროს შენს მცდარ სვლას მოჰყვება მისი  
რეპლიკა, სხვადასხვა ვარიაციით, ხშირად სა-  
ხალისო ფორმით გამოთქმული, რაც გაუწყებს,  
რომ სვლა, რომელიც გააკეთე, არ ვარგა. თანაც  
გთავაზობს, თუ გინდა, უკეთესი გაგრძელება  
მონახეო. თუკი სვლის დაბრუნება არ გსურს,  
არ მჯერა-თქო, უნდა უპასუხო (პასუხის ეს ვა-  
რიანტი იქვე, მისი რეპლიკის ქვემოთ არის მო-  
ცემული) და თამაში გაგრძელდება.

წავიკითხე თუ არა მისი რეპლიკა ჩემს ბოლო  
სვლაზე, მაშინვე მივხვდი, რასაც გულისხმობ-  
და: მარტივი ტაქტიკური ოპერაციით პაიკს  
იგებს და, რაც მთავარია, საშიშ გამსვლელ პა-  
იკს ღებულობს. განაგრძე-მეთქი, ვუთხარი  
(სვლებს არ ვიბრუნებ, როცა „ოფიციალურ“  
პარტიას ვეთამაშები). **31. | :b7 | :b7 32. E:c8.**

და აქ... უფრო ვიგრძენი, ვიდრე დავინახე,  
რომ პარტიის გადარჩენის შანსი არსებობდა,  
თუკი მძიმე ფიგურებით მოწინააღმდეგის „არ-  
მისის“ ზურგში შევიჭრებოდი, რაც, როგორც მა-  
ლე ვნახავთ, ადვილი განსახორციელებელია.

ჯერ ცოტა რამ ამ „უფრო ვიგრძენი, ვიდრე დავინახე“-ს გამო. პროფესიონალ მოჭადრაკე-თათვის კარგად არის ცნობილი ეს განცდა, რაც ცოდნასა და გამოცდილებაზე დამყარებულ ალლოს, ანუ ინტუიციას უკავშირდება. ანატო-ლი კარპოვი გარი კასპაროვთან პირველი მატ-ჩის 27-ე პარტიის ანალიზისას ზემოთ დასახე-ლებულ წიგნში წერს: რატომ ვითამაშე მე-17 სვლაზე ეტლით ასე, „საბოლოოდ მხოლოდ ექვ-სი სვლის შემდეგ გახდება ნათელი, მაგრამ, ვა-ლიარებ, მე უფრო ვიგრძენი, ვიდრე დავინახე, როგორ უნდა განმეღაებინა ფიგურები“. ეს განცდა, წმინდად ადამიანური მოვლენა, „ფრიცი 7“-სთვის უცხოა (ამ საკითხს ქვემოთ კიდევ დავუბრუდებით). ზუსტად ასეთი განცდა დამეუფლა იმ პოზიციაში, რომელზედაც ზე-მოთ მოგახსენებდით.

აღარ დავაყოვნე და ჯერ ეტლით ქიში გამო-ვაცხადე – **32. ... | b1+ 33. ♦h2** – და მერე უმალ-ვე მივაშურე ლაზიერით მეორე ჰორიზონტალს: **33. ... E:a2.** ამით ძალიან სახიფათო მუქარები შევქმენი – **E:f2** – ერთ სვლაში შამათის პერს-პექტივით **g3** უჯრიდან; **E:a1-იც** მეტად უსია-მოვნო რამ არის თეთრებისთვის.

**f2** პაიკის ლაზიერით აყვანას თეთრები ხელს ვერ შეუშლიან (თუ მუდმივი ქიშით ყაიმს არ დაჰყაბულდნენ, – მაგრამ „ფრიცთან“ ყაიმი ჩე-მი გამარჯვებაა, მით უფრო, რომ გამტყუნდება

მისი წინასწარმეტყველება, ცოტა ხნის წინ რომ დამექადნა, მალე ცუდად გექნება საქმეო!). მაგრამ თეთრი პაიკი უპრობლემოდ გადის ლაზიერად, თანაც ქიშით და იმ მომენტში თეთრებს ზედმეტი ლაზიერი, ანუ უზარმაზარი მატერიალური უპირატესობა ექნებათ. ეტყობა, ამის იმედად იყო „ფრიცი“ – იფიქრა, როგორ ვერ დავიძვრენ თავს საშამათო ქსელიდან ისე, მოგებისთვის საკმარისი რესურსიც დამრჩესო! თამაში ასე გაგრძელდა:

**34. Ec7+ Cf8 35. d7 Ef:f2 36. d8E+ ♜f8**

ახლა ირკვევა, რომ თეთრებმა ახალგამომცხვარი ლაზიერი უნდა გაიმეტონ, რათა შამათისგან დაიხსნან თავი:

**37. Ef8+ Cf:f8 38. Ed6+ (თუ 38. Ec8+ და შემდეგ 39. Eg4, მაშინ 39. ... Ef1) 38. ... Cf7!** (ერთადერთი სვლა, რომელიც არ აგებს! 38. ... Cf7-ს მოჰყვება 39. ♜:e5+ სწრაფი შამათით; ხოლო თუ 38. ... Cf8 ან 38. ... Ce8, მაშინ თეთრი ლაზიერი ბოლოს და ბოლოს მოახერხებს ჯერ h6 და მერე g5 პაიკების ქიშით აყვანას, რის შემდეგ თეთრები დააღწევენ თავს საშამათო ქსელს და ზედმეტი ფიგურაც დარჩებათ.

**39. E:e5+ Cf8 40. Ef6+ Cg7 41. Ed7+ Cf8**

**42. Ed8+ Ch7** (არ შეიძლება 42. ... Cf7 43. Ed4+-ის გამო) **43. Ec7+ Cf8 44. Ec8+ Cg7 45. Eg4 Ef1 46. Ed7+ Cf8 47. Ec8+ Cg7 48. Ec7+**

**¢g8 49. E d8+ ¢h7** (არც ახლა შეიძლება 49. ... ¢g7 იმავე 50. E d4+-ის და შემდეგ 51. E g1-ის გამო) **50. ¢:g5+** („ფრიცი“ ცდილობს მხედრის ამ არაფრისმომცემი შეწირვით დამაბნიოს, რადგან მიხვდა, რომ მოგების შანსი არ აქვს)

### **50. ... hg 51. E d7+ ¢g8**

აქ ფრიცმა თვითონ შემომთავაზა ყაიმი, რო-  
მელიც, რასაკვირველია, მივიღე.

ამგვარად, „ფრიცის“ ნინასწარმეტყველება ჩემი 30-ე სვლის გამო, როცა ჩემდაუნებურად პაიკი შევწირე, გამტყუნდა. არადა, ვინ იფიქ-  
რებდა იმ დროს, რომ შავები დამარცხებას თავს დაალწევდნენ! ამის მიხვედრა „ფრიც 7“-საც“ არ ხელეწიფება. ოდონდ ერთი კია: მომდევნო  
დღეებში კვლავ რამდენჯერმე დავუწყვე პოზი-  
ცია ჩემი 30-ე სვლის შემდეგ და 31. |:b7 არც  
ერთხელ აღარ გაიმეორა, ანუ პაიკის მოგებაზე  
აღარ მიდის, ხან 31. | b6-ს თამაშობს, ხან 31.  
| cb3-ს. მაგრამ, როცა ჩემკენ შემოვაბრუნებ  
თეთრ ფიგურებს და მე თვითონ ვითამაშებ 31.  
|:b7-ს, ვერც ყაიმისკენ მიმავალ იმ გზას პოუ-  
ლობს, რომელსაც მე დავადექი პარტიაში, და  
თამაშს ასე განაგრძობს: 32. ... |:b7 33. E:c8, მე-  
რე აქ 32. ... | b1+-ის ნაცვლად 32. ... E d7-ს ირ-  
ჩევს და მალე ნასაგებ პოზიციას ღებულობს.

და აი აქ მივადექით „ფრიც 7“-ის სუსტ მხა-  
რეს. იგი მეტად უსუსურია, როცა საქმე პოზი-

**ციურ შენირვას** ეხება, ანუ როცა მატერიალური მსხვერპლის გაღების შემდეგ ხანგრძლივი არაფორსირებული თამაშის შედეგად მიიღწევა წარმატება (ასეთ შენირვას შპილმანი რეალურ შენირვას უწოდებდა). „ფრიცი“ ვერ პოულობს, მაგალითად, 30. ყავ სვლას ბოტვინიკ-კაპაბლანკას პარტიაში (ავრო-ტურნირი, 1938), კუს პოზიციურ შენირვას, რითაც ბოტვინიკმა ბრწყინვალედ მოუგო მრისხანე მეტოქეს; ვერ პოულობს ვერც ლილიენტალის მიერ განხორციელებულ ლაზიერის პოზიციურ შენირვას იმავე კაპაბლანკასთან (ჰასტინგსი, 1934); ვერც მაია ჩიბურდანიძის არაჩვეულებრივ სადებიუტო სიურპრიზს სიცილიური დაცვის კარგად ცნობილ ვარიანტში, ზედიზედ ორი მხედრის ფანტასტიკურ შენირვას დაფის ცენტრში, რომელიც ქართველმა მოჭადრაკემ ს. დვოირის-თან შეხვედრაში განახორციელა მე-12 და მე-13 სვლებზე, რის შემდეგაც თამაში კიდევ 16 სვლა გრძელდებოდა (ტალინი, 1980).

ვიმეორებ: არცერთ ამ პარტიაში მატერიალური მსხვერპლის გაღების შემდეგ თამაში არ ატარებს ფორსირებულ ხასიათს და მოჭადრაკე ამ დროს შენირვისას მხოლოდ თავის ალლოს (ინტუიციას) ეყრდნობა.

ასეთი სვლების მოძებნა „ფრიც 7“-ს არ ხელენიფება და აქ უნდა ეძიოს ადამიანმა-მოჭადრაკემ მასთან თამაშისას წარმატების შანსი. ნეტა თუ მოხერხდება ოდესმე ალლოს გათვალის-

წინება საჭადრაკო ალგორიტმში? (ჩემი ქალიშვილის მოსწრებული თქმით, მაშინ ის **ალგორიტმი** კი არა – **ალღორიტმი** იქნება!). მაგრამ რას მოგვცემს ეს? ალღორიტმი „ზოგჯერ ხომ უნდა გვიღალატოს! ამ ღალატის „გარანტი“ რეალური ცხოვრებისა და მისი ჩინებული მოდელის – საჭადრაკო პარტიის – ამოუწურავი შესაძლებლობები გახლავთ. ტყუილად როდი უწოდეს კარპოვმა და გიკმა ზემოთ ნახსენებ თავიანთ წიგნს „ამოუწურავი ჭადრაკი“!

2003

**P.S.** გავიდა ხანი და ახალი, გაუმჯობესებული „ფრიცები“ გამოჩნდა. „ფრიცი 12“, 2009 წლის ვერსია, უკვე პოულობს იმ პოზიციურ შენირვებსაც, რომელთა მიგნება „ფრიც 7“-ს არ შეეძლო და რომელთა შესახებ ზემოთ ვიღაპარაკეთ (ბოტვინიკისა და ლილიენტალის პოზიციური შენირვები კაპაბლანკასთან, მაია ჩიბურდანიძის სადებიუტო კომბინაცია, ორი მხედრის შენირვა, ს. დვოირისთან ნათამაშებ პარტიაში). „ფრიცი 7“, როგორც ვთქვით, ვერ ხსნიდა გია ნადარეიშვილის ეტიუდს „კიბის“ თემაზე (1946), „ფრიცი 12“ კი ხსნის.

რაც შეეხება „ფრიც 7“-სა და ჩემ შორის ყაიმით დამთავრებულ პარტიას, ზემოთ დაწვრილებით განხილულს, „ფრიც 12“-მა იქაც იპოვა გამარჯვებისკენ მიმავალი გზა. 34. Ec7+-ის

ნაცვლად **34. £d7+!** ითამაშა, ანუ, თუ „ფრიცი 7“  
ვერ მოერია სურვილს მეორე თავისი ლაზიერი  
ეხილა დაფაზე, რაც არასწორი გამოდგა,  
„ფრიც 12“-მა დასძლია სიხარბე, ხელი აიღო  
დიდი მატერიალური უპირატესობის მოპოვე-  
ბის მცდელობაზე და ლაზიერის გაცოცხლების  
გარეშე გაიმარჯვა:

**34. ... ♜g8 35. £e8+ ♜g7 36. ♜:e5 ♜:e5 37.  
£:e5+ ♜f7 38. £e7+ ♜g6 39. h4! £:f2 40. h5+!  
£:h5 41. £f7+ ♜g4 42. £e6+ ♜h5 43. ♜h3+ და**  
თეთრები იგებენ.

2014



## ანდერსენის სტილით

კარო-კანის დაცვა  
**პრეგაძე – ფარლალავა**  
ჭაბუკ მოჭადრაკეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი  
(თბილისი, 1965)

### 1. e4 c6 2. d3

ამ სვლამ (მომდევნო 3. ♘d2-თურთ) წარმატება მოუტანა მიხაილ ტალს ვასილი სმისლოვთან პარტიაში, იუგოსლავიაში გამართულ პრეტენდენტთა ტურნირის მეორე წრეში 1959 წელს. თეთრების მეორე სვლას მ. ტალის მწვრთნელი ალექსანდრ კობლენცი წიგნში „საჭადრაკო ბრძოლების გზებით“ (1963 წ.) ასეთ კომენტარს ურთავს: „ჩვენ გვსურდა ეს მოკრძალებული სვლა ბოტვინიკის წინააღმდეგ გამოგვეყნებინა სსრკ ხალხთა II სპარტაკიადაზე, მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგა. სვლის მიზანი ცნობილი თეორიული გაგრძელებებისთვის თავის არიდებაა“.

### 2. ... d5 3. ♘d2 g6

ვ. სმისლოვმა მ. ტალთან ზემოთ ნახსენებ პარტიაში აქ 3. ... e5 ითამაშა.

**4. ♜gf3 ♖g7 5. d4 ♖g4 6. e5 e6 7. h3 ♖:f3 8.  
¤:f3 ♜e7 9. ♖d3 0-0 10. ♖e3 ♖b6 11. h4 h5 12.  
g4 hg 13. h5 | c8**

ეს პარტია ჩემპიონატის შემაჯამებელ სტატიიაში ბატონმა თენგიზ გიორგაძემ გამოაქვეყნა გაზეთ „ლელოში“ (10.03.1965, №48, გვ. 3) თავისი კომენტარებით. იქ შავების მეცამეტე სვლა ამ სახით არის წარმოდგენილი: 13. ... | ac8, რაც შეცდომაა; უნდა იყოს 13. ... | c8, ვინაიდან f8-ზე მყოფი ეტლი გადავიდა c8 უჯრაზე. a8-ზე მდგარი ეტლი c8-ზე ვერ მიდის, მხედარი b8 უშლის ხელს (ეს ეტლი და მხედარი ბოლომდე ფეხმოუცვლელად დარჩნენ საწყის პოზიციაზე). ეტყობა, ბატონმა თენგიზმა ანალიზისას b8 მხედრით გააკეთა სვლა და მერე მისი უკანვე დაბრუნება დაავიწყდა. ამ შეცდომით არის გამოწვეული ის კრიტიკული შენიშვნა, რომელიც ჩემი მე-15 სვლის გამო გამოთქვა ბატონმა თენგიზმა, რასაც ქვემოთ ვნახავთ.

#### **14. h6 ♖h8 15. ♜g5**

ამ სვლის გამო თენგიზ გიორგაძე შენიშნავს: „რატომ არა 15. h7+ ♜g7 16. ♖h6+ ♖:h7 17. ♖:f8+ [კუ კლავს (:)] f8-სო, წერს ბატონი თენგიზი, და აქედანაც ჩანს, რომ მას შავი ეტლი ისევ f8-ზე ჰვინია. – ღ. ბ.] 17. ... ♜g8 18. ♖:e7 gf 19. ♖:f3? ბრეგაძემ გვითხრა, რომ მას გულში ჰქონდა ორი ეტლის შენირვა და ამიტომ არც განუხილავს მოგების ეს მარტივი გზა“.

მოგების ეს გზა იმაზე მარტივი არ არის, რო-  
მელიც მე ავირჩიე, რადგან, რაკი ეტლი წასუ-  
ლია f8 უჯრიდან (როგორც ვთქვით, კომენტა-  
ტორს იგი ისევ f8-ზე ჰგონია!), ამიტომ შავები  
15. ... ♜g7-ის ნაცვლად 15. ... ♖f8-ს ითამაშებენ  
და, თუმცა უპირატესობას ვინარჩუნებ, მაგრამ  
ფორსირებული მოგება არ ჩანს. ჩემ მიერ არჩე-  
ული გაგრძელება (15. ♘g5) უფრო საინტერესო  
თამაშს გვპირდება.

### **15. ... ♘f5 16. ♕:g4 ♖:b2 17. ♦:f5 ef**

თუ 17. ... ♕:a1+ 18. ♖d2 ♕:h1 19. ♦:e6 თეთ-  
რები იგებენ. უკეთესია 18. ... ef 19. ♕h3 ♖b2 20.  
h7+ ♖f8 21. ♕h6+ ♕e7 22. ♘:f7! რთული თამა-  
შით, რომელშიც თეთრები ინიციატივას ინარ-  
ჩუნებენ.

მაგრამ ჩემმა პარტნიორმა მშვიდი გაგრძე-  
ლება აირჩია, ძლვნად მირთმეულ ორ ეტლზე  
უარი თქვა, სანუკვარი შენირვა „კულისებში“  
დარჩა.

გრანდიოზული მატერიალური მსხვერპლის  
გაღება – ორივე ეტლის შენირვა საკუთარი ბანა-  
კის ზურგში, პირველ (მერვე) ჰორიზონტალზე,  
რაც იერიშისთვის ტემპების მოგებას და ზოგ-  
ჯერ ამავდროულად მოწინააღმდეგის ლაზიერის  
პერიფერიაში გატყუებას ემსახურება, ნარუშ-  
ლელ შთაბეჭდილებას ახდენს ხოლმე. მრავალ-  
თაგან გავიხსენოთ ანდერსენის მიერ კიზერიც-

კისთვის მოგებული ე. ნ. „უკვდავი პარტია“ (ლონდონი, 1851), ფლაისიგ-შლეხტერის (ვენა, 1893. შლეხტერმა გაიმარჯვა), ალიოხინ-ლევენ-ფიშის (პეტერბურგი, 1912. ალიოხინმა გაიმარჯვა), რეტი-ეივეს (ჰოლანდიური დაცვა. ამსტერდამი, 1920. რეტიმ გაიმარჯვა), ეივე-რეტის (ორი მხედრის დაცვა. ამსტერდამი, 1920. რეტიმ გაიმარჯვა), ბერნშტეინ-ტარტაკოვერის (ფილიდორის დაცვა. პარიზი, 1937. ტარტაკოვერმა გაიმარჯვა), პიტლიაკოვსკ-მაკარჩიკის (ინგლისური დასაწყისი. ლოძი, 1947. მაკარჩიკმა გაიმარჯვა), გაფრინდაშვილ-სერვატის (დორტმუნდი, 1974. გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა), კოვაშევიჩ-ტიმანის (ბაგიო, 1984. ტიმანმა გაიმარჯვა), ბოდნარუკ-ჯავახიშვილის (ხანტი-მანსიისკი, 2012. ბოდნარუკმა გაიმარჯვა) ულამაზესი პარტიები.

## 18. **ძ1**

ამ ნოველას სათაურად „ანდერსენის სტილით“ კი დავარქვი, მაგრამ ეს უკანასკნელი სვლა ანდერსენისებური ვერ არის. მთლად ანდერსენისებური 18. ძ1 იქნებოდა, და თუ 18. ... ძ:a1+, მაშინ 19. ძ2 მოუგერიებელი შეტევით.

ახლა ვხვდები: მიუხედავად მწვავე კომბინაციური თამაშისადმი დიდი ლტოლვისა, ეს სტილი ჩემს ბუნებას არ შეესაბამებოდა. ამას მოწმობს მე-18 სვლაზე ლაზიერით ფრთხილი უკანდახევა. მწვავე იერიშებისთვის საჭირო უნარების მქონე ადამიანს ალღომ უნდა უკარნახოს,

რომ 18. E:d1 სტილიდან ამოვარდნილია. ამ დროს არის ჭკვიანი მწვრთნელი საჭირო, მან უნდა მიაგნებინოს თავისი ამპლუა ბავშვს, რომელიც აშკარად „სხვა ხმას მღერის“, მისთვის შეუფერებელს.

### **18. ... c5**

„ფრიცი-12“ ამჯობინებს 18. ... b6-ს.

### **19. 0-0**

ანდერსენისებური იქნებოდა 19. e6!

### **19. ... cd 20. ♠:d4**

კვლავაც შეიძლებოდა 20. e6!

### **20. ... E:c2 21. Ef3 | d8**

თენგიზ გიორგაძე შავების ამ სვლას კითხვის ნიშანს უსვამს და წერს: „აქ აუცილებელი იყო 21. ... ♠:e5 22. E:d5 Ec6 პერსპექტიული დაცვით“. რა პერსპექტიულ დაცვაზეა ლაპარაკი, როდესაც ორ სვლაში შამათია! (23. E:f7+ და 24. Eh7x). ამ კომენტარიდანაც კარგად ჩანს, რომ კომენტატორს შავი ეტლი ისევ f8-ზე ჰგონია, და, საერთოდაც, რაღაც სხვა პოზიციას აანალიზებს, რადგან, გინდაც ეტლი f8-ზე იდგეს, კომენტატორის მიერ შემოთავაზებულ 21. ... ♠:e5-ს, უბრალოდ, ამ კუს აყვანა მოჰყვება: 22. ♠:e5.

### **22. | ac1 E:d2 23. ♠e3 Ef3**

შავების მიზანია ლაზიერების გაცვლით გაამარტივონ თამაში 24. ... d4-ის მეშვეობით. თუ 23. ... E:a2, მაშინ 24. e6! fe 25. h7+ და 26. ♘e6+.

## **24. h7+ ♜g7 25. ♛e6+! ♜:h7**

თუ 25. ... fe, მაშინ 26. ♠h6+ და ლაზიერი იკარგება.

**26. ♜:d8 ♠:e5 27. ♞h1+ ♜g8 28. ♜c8** და შავები დანებდნენ.

\* \* \*

არა, არ იყო ანდერსენისა და ტალის სტილი საჩემო (არადა მომწონდა!). ამის სიმპტომი გახლდათ ისიც, რომ მეფის გამბიტს თეთრებით უმეტესად ვაგებდი, შავებით კი ხშირად მომიგია.

აი ერთი წაგებული მეფის გამბიტი:

**ლ. ბრეგაძე (ტყიბული) – თ. ფერაძე (რუსთავი)**  
მოსწავლეთა XV რესპუბლიკური სპარტაკიადა  
(თბილისი, 1963)

## **1. e4 e5 2. f4 ef 3. ♜f3 ♠e7**

მეფის გამბიტის კანინგემის ვარიანტი.

### **4. ♜c3**

აქ უფრო ხშირად 4. ♠c4-ს თამაშობენ, მაგრამ 4. ♜c3-ც სავსებით შესაძლებელია.

### **4. ... ♠h4+ 5. ♜e2 ♜h6?**

საჭირო იყო 5. ... ♜c6 6, a6 5. ... c6 6. d4 d5.

### **6. d4 f5**

ჯობდა 6. ... d6.

**7. e5 0-0 8. ♦f4 ♠f7?**

შავები მეტისმეტად ჩამორჩნენ ფიგურების განვითარებაში. აუცილებელი იყო 8. ... ♠c6.

**9. ♦d2 ♦g5 10. ♦:g5 ♠:g5 11. ♦c4+ ♦h8 12. h4 ♠e4+ 13. ♠:e4 fe 14. ♠g5.**



ღირსშესანიშნავი პოზიცია! თოთხმეტი სვლის შემდეგ e4 პაიკის გარდა არცერთი შავი ფიგურა და პაიკი არ არის გადმოცილებული მეშვიდე ჰორიზონტალს. შავების ლაზიერის ფრთა პირნმინდად ჯერ კიდევ საწყის პოზიციას ინარჩუნებს. თეთრების ერთადერთი სისუსტე უროქოდ ცენტრში დარჩენილი მეფეა, მაგრამ უშუალო საფრთხე მას ჯერ არ ემუქრება.

**14. ... ♕e8?**

საჭირო იყო 14. ... d5.

**15. ♕e2?**

ჩემი გეგმა a1 ეტლის მეფის ფრთაზე რაც შეიძლება სწრაფად გადასროლა და მეფის c1-

ზე გადაყვანა, ანუ ხელოვნური როქის გაკეთებაა, მაგრამ ამასობაში შავებიც ასწრებენ ფიგურების განვითარებას. შეტევისთვის დაბადებული აქ გააძლიერებდა დაწოლას f7 პუნქტზე: 15. ♖f1 g6 (თუ 15. ...d5, მაშინ 16. E:h5!) 16. h5 d5 17. hg იოლი მოგებით.

### **15. ... ♜c6?**

აქაც ჯობდა 14. ... d5.

### **16. ♖af1?**

დამატებითი ძალის ჩართვა იერიშში არ იყო საჭირო – ამ პოზიციაში ეს ტემპის დაკარგვაა. შეტევისთვის დაბადებული აქ უცბად დაამთავრებდა პარტიას თავის სასარგებლოდ: 16. E:e4 g6 17. h5 E:e7 18. hg E:g5+ 19. ♜c3 h6 20. ♖af1.

### **16. ... d5**

როგორც იქნა!

### **17. ♖:d5 ♜:d4?**

ჯობდა 17. ... ♖f5. 17. ... ♜:d4-ის შემდეგ თეთრებს სწრაფად შეეძლოთ მოგება, თუკი ლაზიერით e4 პაიკს აიყვანდნენ: 18. E:e4 ♖f5 19. E:c4.

მაგრამ მე უფრო „ეფექტური“ სვლა დავინახე, რაც შეცდომა გამოდგა:

### **18. E:h5?**

ლაზიერის შეწირვა! აქ სავსებით დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში: იმუქრება შამათი h7-ზე. შავი ლაზიერი ჩემს ლაზიერს ვერ მოკლავს მერვე

ჰორიზონტალურ შამათის გამო. მოკლედ, f7 და h7 პუნქტებზე ლაზიერით ერთდროული შეტევა, მინიმუმ, ხარისხის მოგების საშუალებას მაინც იძლევა. სინამდვილეში კი ამ ფსევდოეფექტური 18. Eh5 სვლით ინიციატივა ხელიდან გავუშვი.

### 18. ... ♫f5

„ფრიცმა“ აქ ასე გააგრძელა თამაში (ორივე მხრიდან თვითონ თამაშობდა): 18. ... e3+ 19. ♩c3 ♪f5 20. E:e8 ♫e2+ 21. ♩c4 |:e8 22. g4 b5+ 23. ♩:b5 ♫g3 24. gf |:e5 25. ♩c4 e2 26. |e1 ♫:h1 27. ♪:h1 |:f5 28. ♪g2 |f2 29. ♪e4 |f4 30. ♩d4 |e8 31. |:e2 h6 32. ♫f3 |e:e4+ 33. |:e4 |:f3 თეთრების მცირე უპირატესობით.

შავების მე-18 სვლის (♪f5) შემდეგ „ფრიცი“ ასე თამაშობს: 19. E:e8 |:e8 20. ♫f7+ |:f7 21. ♪:f7 |:e5 22. ♩e3 ♫:c2+ 23. ♩f4 |e7 24. ♩:f5 e3 25. ♪b3 e2 26. |e1 ♫e3+ 27. ♩f4 ♫g2+ 28. ♩f3 ♫:e1+ 29. |:e1 g6 30. ♪d5 c6 31. ♪e4 ♩g7 32. |:e2 და თეთრები მოიგებენ.

### 19. ♫f7+??

ამ სვლით ხარისხს კი ვიგებ, მაგრამ პარტიას ვაგებ.

### 19. ... |:f7 20. ♪:f7

თუ 20. E:f7, მაშინ 20. ... e3+ 21. ♩:e3 E:e5+ 22. ♩f2 ♪g6 23. |e1 E:d6 24. E:e7 E:d5 შავების უპირატესობით.

**20. ... e3+! 21. Cf1**

თუ 21. Cf:e3, მაშინ 21. ... Ef:e5+ 22. Cf2 |f8  
23. Eg5 Ec5 და შავების უპირატესობა აშკარაა.

**21. ... Ef c6 22. c3**

თუ 22. Ed1, მაშინ 22. ... e2, b3 22. Cb1-ს  
გუდაშამათი მოჰყვება ლაზიერის შენირვით:  
22. ... Ef:c2+ 23. Ca1 Ef:b1+! 24. |:b1 Ac2x.

**22. ... Ef e4** და თეთრებმა ფარ-ხმალი დაყა-  
რეს.

2012



## ჩემპიონი

1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონი გადამადგრავი ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ვაჟა ჩოჩია გახდა (ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი).\* მან 14 შესაძლებლობიდან 10 ქულით მესამე ადგილი დაიკავა კონკურსგარეშე მონაწილე ჭადრაკის სექციის მასწავლებლების გურამ მაჭავარიანისა (11,5 ქულა) და თამაზ კიკიანის (11 ქულა) შემდეგ.

მომხიბლავი იყო ჩემპიონის თამაშის მანერა – შემტევი, კომბინაციური სტილი, მახვილგონივრული იდეები, დაუცხრომელი სწრაფვა გამარჯვებისკენ.

მე, როგორც მომავალ უურნალისტს, უნივერსიტეტის გაზეთში ტურნირის მიმდინარეობის გაშუქება დამევალა. ამ დავალებას ვუმადლი, რომ დღემდე შემომრჩენია ჩემპიონატის სრული ცხრილი და რამდენიმე საინტერესო

---

\* ახლა ისტორიის მეცნიერებთა დოქტორი და გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორია.

პარტია – მათ შორის ვაჟა ჩოჩიას პარტიებიც რ. ენუქაშვილთან, ი. კიტაევიჩთან და ჩემთან მოგებული.

### ენუქაშვილი



ჩოჩია

აქ თეთრებით ვაჟა ჩოჩია თამაშობს, შავებით – რუბენ ენუქაშვილი (ამჟამად ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი).\*

**25. £g1 ♖h7**

26. ♞:h5 იმუქრებოდა.

**26. £e3 e6 27. ♘a2!**

მხედრის ეს გარეგნულად პასიური სვლა იგებს პარტიას. შავები დანებდნენ, რადგან ირკვევა, რომ მათი ლაზიერი „დაშამათებულია“! „ტრიალ მინდორზე“ ლაზიერის დაჭერის იშვი-

---

\* ახლა რუბენ ენუქაშვილი ისრაელში ცხოვრობს.

ათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ბოლო სამი სვლით თეთრებმა შეუმჩნევლად მოქსოვეს „სა-შამათო“ ბადე მეტოქის ლაზიერის გარშემო.

\* \* \*

### ბრეგაძე



### ჩოჩია

ეს კი გახლავთ პოზიცია ვაჟა ჩოჩიას მიერ ჩემთან მოგებული პარტიიდან. თეთრებით უნივერსიტეტის მომავალი ჩემპიონი თამაშობს.

აქ ასეთი კომბინაცია წამოვიწყე:

**23. ... ♜:d5 24. ♠:h6?**

ჯობდა 24. ed e4 25. ♞a2 ed 26. E:d3, მაგრამ თეთრებმა თამაშის გამწვავება გადაწყვიტეს.

ახლა რომ 24. ... ♜:b4 მეთამაშა, შევინარჩუნებდი ზედმეტ პაიკს და საიმედო პოზიციას. მაგრამ ამას არ დავჯერდი – ფიგურის მოგება განვიზრახე, რაც შეცდომა გამოდგა:

**24. ... ¥:h6 25. ed e4?**

საჭირო იყო 25. ... f5.

**26. ¥:e4 f5 27. ♜g3 fe 28. ♜:e4 ¥g7 29. |c1**

ამ პოზიციას ორივენი ვესწრაფოდით. მე მას ჩემ სასარგებლოდ ვაფასებდი (ბოლოს და ბოლოს, ზედმეტი ფიგურა მაქვს, თანაც ორი კუს უპირატესობა...), ხოლო თეთრები ფიქრობენ, რომ მათი პოზიცია უმჯობესია (შავი მეფის საფარი მორღვეულია, სუსტია შავი პაიკები, ლაზიერისა და მხედრის მოძრავუნარიანობა შეზღუდულია და ისინი ვერ ახერხებენ ეფექტურად ჩაებან მეფის ფრთის დაცვაში). ამ პოზიციის ჩემი პარტნიორისეული შეფასება უფრო სწორი აღმოჩნდა – შავი მეფე მალე უმძაფრესი შეტევის ქვეშ მოყვა და დავმარცხდი:

**29. ... ♜d8 30. £c2 ¥f5 31. |e1 |e7 32. g4**

**¥:e4 33. |:e4 ¥e5 34. |e3 £h7 35. h4 ♜f7?**

საჭირო იყო 35. ... |c7.

**36. h5! ♜h8 37. hg+ £g7 38. ♜h4 |e8 39. £f5  
£d8 40. £h5 |g8 41. £h7+ £f6 42. |f3+ ¥f4 43.  
|:f4+ £e5 44. g7 შავები დანებდნენ.**

\* \* \*

რევანში რამდენიმე კვირის შემდეგ ავიღე უნივერსიტეტის გუნდურ პირველობაზე. ვაჟა ჩოჩია ისტორიის ფაკულტეტის პირველ დაფაზე თამაშობდა, მე – ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველ დაფაზე.

## ჩოჩია



## ბრეგაძე

ამჯერად თეთრებით მე ვარ. შავებს ორი ზედმეტი ხარისხი აქვთ, მაგრამ დაბმული ეტ-ლის დაცვა დიდ საზრუნვას უჩენს მათ.

**39. ♜e4! ♕e6 40. c4 ♖c8**

შავებმა თავი დააღწიეს თეთრების შავუჯ-რედოვანი კუს მარნუხებს, მაგრამ ახლა თეთ-რუჯრედოვანი კუს თავის გამოჩენის ჯერი დგება:

**41. ♠g4! ♕:g4 42. ♜d6+**

შავები დანებდნენ, რადგან ვერ აიცილებენ დიდ მატერიალურ დანაკარგს.

\* \* \*

ბოლოს გთავაზობთ ვაჟა ჩოჩიას მიერ 1988 წელს მოგებული ერთი პარტიის საუცხოო ფი-

ნალს. ეს პარტია გათამაშდა ლიტვის ქალაქ შაულიაში გამართულ პირველ საკავშირო საჭადრაკო ფესტივალზე. თეთრებით არის ოსტატობის კანდიდატი დრუჟინინი.

### ჩოჩია



### დრუჟინინი

ამ უაღრესად მწვავე პოზიციაში თამაში ასე გაგრძელდა:

**42. b6 ef 43. ♠g5.**

თუ ახლა 43. ... f1E, მაშინ 44. ♡f7 h5 45. ♡g7! და ლაზიერი და კუ დააშამათებენ შავ მეფეს.

ამ ვარიანტზე ამყარებდნენ იმედს თეთრები, მაგრამ...

**43. ... ♡e1!!**

არაჩვეულებრივი სიძლიერის „წყნარი“ სვლა უკიდურესად დაძაბულ სიტუაციაში!

**44. ♡f7 f1¤+!!**

მხედრის გაცოცხლება პრაქტიკულ პარტიაში ძალიან იშვიათად გვხვდება და კიდევ უფრო იშვიათია, როცა ამას წინ ლაზიერის შენირვა უძღვის. თუ შავები მხედრის ნაცვლად ლაზიერს გააცოცხლებდნენ, ორ სვლაში დაშამათდებოდნენ.

#### **45. ♖g1 ♜g3+ 46. ♖f2 | f1x.**

ფინალური პოზიციაც მეტად ლამაზია! სუფთა შამათით დაგვირგვინებული მთელი შეტევა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ორმხრივი მწვავე თამაში (თეთრებსაც ჰქონდათ ლამაზი ჩანაფიქრი, როგორც ვნახეთ!) კიდევ უფრო აძლიერებს დიდებული ფინალით მოგვრილ ესთეტიკურ სიამოვნებას.

პარტიის სრული ტექსტი:

პირც-უფიმცევის დაცვა  
**დრუჟინინი – ჩოჩია**  
(შაულიაი, 1988)

- 1. e4 d6 2. d4 g6 3. ♜c3 ♕g7 4. ♔e3 a6 5. a4 ♜f6 6. ♔e2 d5 7. e5 ♜e4 8. ♜a2 (ერთობ პასიურია. ჯობდა 8. ♜:e4) 8. ... h6 9. h4 c5 10. c3 cd 11. cd ♜c6 12. ♕d3 ♜a5+ 13. ♖f1 ♜:e5?! (მწვავე პოზიციები ვაჟა ჩოჩიას სტიქიაა!) 14. de ♕:e5 15. b4 ♜c7 16. |c1 ♜b8 17. ♜e2 ♕g7 18. ♜:e4 de 19. ♕d4 e5 20. ♕c5 ♔e6 21. ♜ac3 b6 22.**

¥d6 £b7 23. £c2 | c8 24. b5 ab 25. ab f5 26.  
£a4 | a8 27. £b4 Cf7 28. Cg1 | hc8 29. Ch2 | c4  
**30.** £b1 f4 31. ☰a2? (აუცილებელი იყო 31. ☰:e4  
£:e4 32. |:c4 £:c4 33. |c1! თეთრების მცირე  
უპირატესობით) **31.** ... |:a2! 32. |:c4 ¥:c4 33.  
|c1 |:e2 34. |:c4 £d5 35. |c7+ Cg8 36. ¥c5  
£d8 37. £b3+ Ch7 38. ¥:b6 £:h4+ 39. £h3 £f6  
**40.** ¥c5 e3 41. ¥e7 £f7 42. b6 ef 43. ¥g5 |e1  
**44.** |:f7 f1 ☰+ 45. Cg1 ☰g3+ 46. Cf2 |f1x

1992



## ჭილიდორის სტილით

რაც უფრო ხანში შევდივარ,  
მით უფრო მეტად ვაფასებ პაიკებს.  
**პაულ კერესი**

ეს პოზიცია შეიქმნა თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის 1966 წლის ჩემპიონატზე გა-  
თამაშებულ პარტიაში. თეთრებით არის ფიზი-  
კის ფაკულტეტის სტუდენტი მიქაბერიძე, შავე-  
ბით – ამ სტრიქონების ავტორი.



ზედმეტი პაკი მაქვს, მაგრამ ჩემი გაორე-  
ბული პაიკები ცენტრში ძალიან სუსტნი არიან,  
განსაკუთრებით წინა, d4-ზე მდგარი.

## **1. b3**

ამ სვლით თეთრებმა, ჯერ ერთი, საიმედოდ დაიცვეს **a4** პაიკი. გარდა ამისა, შავ მხედარს წართვეს **c4** უჯრა და, რაც მთავარია, გზა გაუხსნეს თავის ეტლს **d2** პუნქტისაკენ, რის შემდეგაც თეთრები დაიბრუნებენ პაიკს და ინიციატივასაც დაეუფლებიან, რადგან **d6** იზოლირებული პაიკი შავების პოზიციის სერიოზულ სისუსტედ დარჩება.

### **1. ... d5! 2. e5**

სხვაგვარად შავები შეინარჩუნებენ ზედმეტ და, თანაც, გამსვლელ პაიკს ცენტრში.

### **2. ... d3!**

ერთი შეხედვით ეს სვლა უაზრო გეგონებათ, რადგან თითქოს ვერაფერს უპირისპირებს თეთრების გეგმას, რომელიც ეტლის **d** ვერტიკალზე გადასროლას გულისხმობს. მეტიც, ისე ჩანს, თითქოსდა შავები ამ სვლით უადვილებენ კიდეც მეტოქეს განზრახვის აღსრულებას – თეთრებისთვის უკეთესიც კია, ეს პაიკი მესამე პორიზონტალზე მოკლან, ვიდრე მეოთხეზე.

### **3. | d2 ♜c4!**

შავი მხედრის ამგვარ თავხედობას თეთრები ნამდვილად არ მოელოდნენ! მხედარმა იმ უჯრიდან წამოაგო „ჩანგალზე“ თეთრი ეტლი და **e5** პაიკი, რომელიც მისთვის მიუვალი ჩანდა: შავებმა მოსაკლავად დაუსვეს მეტოქის პაიკს თავისი მხედარი. ეს გახლავთ **პოზიციური შენირვა ფილიდორის სტილში**. თუ ახლა 4. bc,

მაშინ 4. ... dc და შავი პაიკები, რომლებიც აქამ-დე დაქსაქსულნი იყვნენ, უცბად მწყობრ და მრისხანე ფალანგას შექმნიან; პაიკების ამ ჯაჭვის ნინააღმდეგ თეთრები უძლურნი ხდებიან.

როგორც ცნობილია, პაიკების ასეთ ჯაჭვს (ფალანგას) აიდეალებდა დიდი ფრანგი მოჭადრაკე ფილიდორი (მე-18 საუკუნე) და მის შესაქმნელად თუ შესანარჩუნებლად მატერიალურ მსხვერპლსაც არ ერიდებოდა. პაიკს მან საჭადრაკო პარტიის სული და გული უწოდა.

თეთრებმა, ბუნებრივია, არ აიყვანეს შეთავაზებული მხედარი, მაგრამ სამაგიეროდ ჩაეფუშათ პაიკის დაბრუნების გეგმა:

#### **4. | :d3 ა:e5.**

შევინარჩუნე ზედმეტი, თანაც გამსვლელი, კარგად ზურგგამაგრებული პაიკი დაფის ცენტრში და მოვიგე.

1992



## ტრაგიკომედიები საჭადრაკო დაფაზე

პიესების არ იყოს, საჭადრაკო პარტიებიც შეიძლება უანრებად დავანაწილოთ: ზოგი მათ-განი დრამაა, ზოგი ტრაგედია, ზოგიც კომედია. გვხვდება ტრაგიკომედიებიც, თუმცა ისევე იშვიათად, როგორც დრამატურგიაში.

პარტია, რომელზედაც ახლა უნდა მოგითხოთ, სწორედ ტრაგიკომედიის უანრს განეკუთვნება. იგი გათამაშდა 1966 წლის 21 მარტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატის მეექვსე ტურში. თეთრებით ამ სტრიქონების ავტორი თამაშობდა, ფილოლოგის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი, შავებით – ლ. გახოკიძე, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

დებიუტიდანვე („სიცილიური დაცვა“) მძიმე პოზიცია მივიღე. ჩემი მეტოქე აღმავლობით, მახვილგონივრულად, ელეგანტურად თამაშობდა. მე-17 სვლაზე ხარისხი შემომწირა და მძლავრი შეტევა წამოიწყო ჩემს მეფეზე (გრძელი როქი მქონდა გაკეთებული). წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებო-

და ჩემი გვირგვინოსანი, თუკი იძულებული გახდა  
თავშესაფრის ძებნაში b1 უჯრიდან h2 უჯრამდე  
მისულიყო, თანაც შუა თამაშში! (ეს მოხდა მეცხ-  
რამეტე-ოცდამეთექვსმეტე სვლების შუალედში).  
კოშმარივით მახსოვს ჩემი მეფის ეს მარმრუტი.  
თეთრი ფიგურების სასიცოცხლო სივრცე თანდა-  
თან ვიწროვდებოდა. 31-ე სვლის შემდეგ შავები  
დაფის სამ მეოთხედზე ბატონობდნენ. მეფის  
ფრთაზე საცოდავად მიყუჟულ ჩემს ფიგურებს  
საძრაობა აღარ ჰქონდათ. ინერციითლა განვაგრ-  
ძობდი წინააღმდეგობას. აი ამ პარტიის ჩანაწერი:

სიცილიური დაცვა  
**ლ. ბრეგაძე – ლ. გახოვიძე**  
(თსუ ჩემპიონატი, 1966)

**1. e4 c5 2. ♜f3 d6 3. d4 cd 4. ♜:d4 ♜f6 5. ♜c3  
¤c6 6. ♜g5**

გათამაშდა სიცილიური დაცვის ის ვარიან-  
ტი, რომელსაც რაუზერის შეტევას უწოდებენ.

**6. ... e6 7. ♜d2 h6**

ბოტვინიკის სვლა.

**8. ♜e3**

აქ, ჩვეულებრივ, 8. ... ♜:f6-ს თამაშობენ. მე-8  
სვლით თეთრებმა თეორიას გადაუხვიეს.

**8. ... a6 9. f3 ♜e7 10. 0-0-0 ♜d7 11. g4 ♜:d4  
12. ♜:d4 c8 13. h4 ♜a5** (შავები სწორ სტრატე-  
გიას ირჩევენ: მეფის ფრთაზე თეთრების აქტი-

ურობას საწინააღმდეგო, ანუ ლაზიერის, ფრთაზე შეტევით უპასუხებენ, იმ შეგონების თანახმად, რომელიც გვარწმუნებს, საუკეთესო თავდაცვა შეტევა არისო) **14. ♦d3 e5 15. ♦e3 ♦e6 16. ♦f2?**

საჭირო იყო მეფის ფრთაზე შეტევის გაგრძელება 16. g5 სვლით.

**16. ... ♦d7 17. ♦b1 ♦:c3! 18. bc ♦:a2+ 19. ♦c1 ♦:c3 20. ♦dg1 d5 21. ♦d1 ♦c5 22. ♦e2 d4 23. ♦d2 ♦:d3?**

ჯობდა 23. ... ♦b2.

**24. cd ♦b2 25. ♦c1?**

უკეთესია 25. ♦e1 და, თუ 25. ... ♦d7, მაშინ 26. ♦a1.

**25. ... 0-0 26. ♦f1 ♦b1 27. ♦e2 ♦b3 28. ♦g2 ♦:d3 29. ♦f2 ♦a3 30. ♦cd1 ♦c2 31. ♦dg1 ♦c8 32. h5 b5 33. ♦h3 ♦e6 34. g5 hg 35. ♦:g5 ♦h7 36. ♦h2 d3 37. ♦g3**



შავებს ხარისხში უკვე სამი პაიკი აქვთ, სამი-ვე გამსვლელი. თეთრების პოზიცია უიმედოა. მართალია, თითქოს გამოჩნდა რაღაც შანსი დ-ვერტიკალზე, მაგრამ **¥f8** სვლით შავებს შეუძლიათ საიმედოდ დაცვან **g7** უჯრა – ერთადერთი სისუსტე მათ ბანაკში.

ჩემს მეტოქეს, რომელმაც შემართებით წარმართა აქამდე პარტია, ახლა სერიოზული შეცდომა მოუვიდა – **37. ... b4** ითამაშა. ამ სვლამ გზა გადაუკეტა კუს **f8** უჯრისაკენ, რაც შავებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. პარტია ასე გაგრძელდა:

### **38. ¥f4 | g8 39. ¥:e5 E:h6**

და

### **40. E:g6+!!**

ლაზიერის შენირვა!

აქ პარტნიორმა გაოცებით შემომხედა, მერე კარგა ხნით ჩაფიქრდა, ბოლოს მნარედ გაიცინა (რაც იმის ნიშანი იყო, რომ იგრძნო სიტუაციის ტრაგიკომიკურობა), ხელი გამომიწოდა და გამარჯვება მომილოცა.

მართლაც, შამათი გარდუვალია. თუ 40. ... E:g6, მაშინ 41. hgx. ხოლო, თუ 40. ... fg, მაშინ 41. hg+ Ch8. ამ სვლამ **g7** პაიკი დააბა! ამიტომ: 42. |:h6 და შამათია.

ზედმიწევნით სასწავლო პოზიციაა. დაბმა, ჩვეულებრივ, კომბინაციის მოტივია, აქ კი იგი კომბინაციის თემად, შინაარსად გვევლინება.

ორი წლის შემდეგ ამის მსგავსი შამათით დამთავრებულა **პარი-უაიტკორფტის** პარტია (პოლანდია, 1968):



**1. | h5! E:d7 2. ♔g5+ ♕h8 3. | :h6x.**

ეს დაბოლოება მოჰყავს ა. პიოცში 1986 წელს ბერლინში გამოცემულ წიგნში „კომბინაციური თამაშის ხალისი“ (გვ. 18). იგი შეგიძლიათ იხილოთ აგრეთვე წიგნში „შახმატი – შეოლე“ (მ., 1990, დიაგრამა 104), ოღონდ აქ მოთამაშეთა გვარები მითითებული არ არის.

\* \* \*

მსგავსადვე წარიმართა ჩემი პარტია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაკრების წევრ მუავანაძესთან 1968 წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა გუნდურ ჩემპიონატში (მე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში ვთამაშობდი დიდოსტატ ნანა ალექსანდრიასთან ერ-

თად). თეთრებით სუსტად გავითამაშე დებიუტი (“ფრანგული დაცვა”):

### ბრეგაძე – მუავანაძე

#### 1. e4 e6 2. d4 d5 3. ♜c3 ♛b4 4. ♛d2

მწვავე გამბიტური ვარიანტი ავირჩიე, თეორიაში კარგად ცნობილი (4. ... de 5. E:g4 E:d4 6. 0-0-0!), მაგრამ ერთობ მშვიდობიანად განწყობილმა ჩემმა მეტოქემ თეორიას გადაუხვია და წყნარი თამაში ირჩია:

#### 4. ... ♜e7 5. E:g4 ♜g6 6. ♛d3 ♛:c3 7. bc E:h4

შავები ლაზიერების გაცვლისა და მშვიდი თამაშისკენ ილტვიან, რასაც მე პრინციპულად არ ვთანხმდები, და ამისთვის ტემპსაც ვკარგავ:

#### 8. E:f3 c6 9. e5 c5 10. ♜h3 E:e7

არ შეიძლება 10. ... cd 11. ♛g5-ის გამო.

#### 11. 0-0 ♜c6 12. ♛e3 c4 13. ♛:g6 hg 14. ♜g5 f6! 15. ef?

ჯობდა 15. ♜h3.

#### 15. ... gf 16. ♜h3 g5 17. E:g3 E:h7 18. f4 g4!

#### 19. E:g4 | g8 20. E:f3 e5! 21. ♜f2?

საჭირო იყო 21. fe.

#### 21. ... e4 22. E:e2 ♜e7 23. |ab1 E:g6 24. g3 ¤f5 25. ♜h1 ♜h4 26. |f2?

უნდა მეთამაშა 26. f5, რაც ამოსუნთქვის საშუალებას მომცემდა, თორემ უკიდურესად შევინწროებული პოზიცია მივიღე. მარტო ჩემი ლა-

ზიერის ფრთის ეტლი აქტიურობს. შავი კუ თუ ჩაება ბრძოლაში, ვეღარაფერი მიხსნის. ძნელი წარმოსადგენია, რომ ხუთი სვლის შემდეგ შავები ფარ-ხმალს დაყრიან.

## 26. ... ♩h3?

აუცილებელი იყო 26. ... ♩g7 სვლით b7 პაიკის დაცვა, რის შემდეგ შავები უპირატესობას ინარჩუნებენ. მაგრამ ჩემი პარტნიორი ისეა გართული მეფის ფრთაზე მიმდინარე მოვლენებით, ავიწყდება საჭადრაკო დაფა 64 უჯრედი-საგან რომ შედგება. ლაზიერის ფრთის ერთა-დერთმა ეტლმა რა უნდა დააკლოს! მაგრამ 26. ... ♩h3 სხვა მხრივაც იმსახურებს შენიშვნას – ის, როგორც ვნახავთ, ტემპის დაკარგვაც გამოდგა. ამას პირდაპირ 26. ... ♩g4 სჯობდა.

## 27. | :b7 ♩g4 28. E f1 ♫f3+ 29. | :f3 ♩:f3??

ასე კუ მთლიანად მოწყდა ლაზიერის ფრთას. ჯობდა 29. ... ef.

## 30. E b1!

თეთრი ლაზიერის ენერგიული გაჭრა ლაზიერის ფრთისკენ და... შავებმა წასაგები პოზიცია მიიღეს.

## 30. ... | d8 31. E b5+ შავები დანებდნენ.

თუ 30. ... a6, მაშინ 31. E b6 f5 32. E c7 და თეთრები იგებენ.

რითი უნდა აიხსნას უხეში შეცდომა 26. ... ♩h3 მოჭადრაკისაგან, რომელმაც იქამდე მთე-

ლი პარტია ჩინებულად წარმართა? ერთადერთი მიზეზით, და ეს მიზეზი ფსიქოლოგიური ხასიათისაა. მიხაილ ტალი ერთ თავის სტატიაში წერს: „ძალიან ხშირად მოჭადრაკეები ახლომხედველნი ხდებიან. არაიმურაობად გახდებით იმის მოწმე, რომ ორივე პარტნიორი დაფის „თავის“ ნაწილს ჩაჰავირკიტებს, და ავიწყდებათ, რომ 64 უჯრიდან ყველა შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი“. ასეთი „ახლომხედველობის“ ნიმუშად მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ორი თავისი პარტია მოჰყავს: ერთი – სპასკისთან წაგებული, და მეორე – ბანიკთან მოგებული (უურნ. „შახმატი“, 1966, №3, გვ. 14-15). ჩვენი პარტიაც ამ „სენის“ გამოვლინების მაგალითია.

1991-2012



## ორი ყაიმი თამაზ პიკიანთან

თენგიზ გიორგაძის წიგნში „ჭადრაკის და-  
ფასთან“ („ნაკადული“, 1960) ვკითხულობთ:

„ოსტატობის კანდიდატი თამაზ კიკიანი (და-  
ბად. 1936 წ.) ზუგდიდიდან თბილისში ჩამოსვლის  
შემდეგ სწრაფად დაწინაურდა. მისი პირველი  
მონაწილეობა საქართველოს პირველობაში 1957  
წელს აღინიშნა მოულოდნელი წარმატებით. მან  
II ადგილი დაიკავა. იმავე წელს საბჭოთა კავში-  
რის XXV ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში თ.  
კიკიანმა შეასრულა ოსტატობის კანდიდატის  
ნორმა. 1960 წელს თ. კიკიანმა მოიპოვა თბილი-  
სის ჩემპიონის სახელი. თ. კიკიანი თბილისის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია“.

1964 წელს თამაზ კიკიანი ოსტატი გახდა.

ოსტატ თამაზ კიკიანს ორჯერ შევხვდი უნი-  
ვერსიტეტის ჩემპიონატებზე – 1966 და 1968  
წლებში. ორივე პარტია მძაფრი ბრძოლის შემ-  
დეგ ყაიმით დამთავრდა (თამაზ კიკიანი და ოს-  
ტატობის კანდიდატი გურამ მაჭავარიანი, იმ  
დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის მას-

წავლებლები, უნივერსიტეტის პირველობებზე  
კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ).

სიცილიური დაცვა  
**ბრეგაძე – კიკიანი**  
(თსუ ჩემპიონატი. თბილისი, 1966)

**1. e4 c5 2. ♜f3 ♜c6 3. d4 cd 4. ♜:d4.**

სიცილიური დაცვის ბოლესლავსკის სისტე-  
მა. აქ ჩვეულებრივ 4. ... ♜f6-ს თამაშობენ.

**4. ... g6**

ამ სვლის შემდეგ, რომელსაც სიმაგინის ვა-  
რიანტს უწოდებენ, ვ. პანოვის „დებიუტების  
კურსი“ (მ., 1958) იმ გაგრძელებას გვირჩევს,  
რომელიც მე ამირჩევია:

**5. c4 ♕g7 6. ♕e3 ♜f6 7. ♜c3 d6**

აქ შავებმა გადაუხვიეს თეორიას და არცთუ  
მართებულ გაგრძელებას მიმართეს. „დებიუ-  
ტების კურსი“ 7. ... ♜g4!-ს და შემდეგ ორ შესაძ-  
ლო ვარიანტს გვთავაზობს, რომელთა მეშვეო-  
ბით თეთრები მინიმალურ უპირატესობას აღ-  
ნევენ.

**8. ♕e2 0-0 9. 0-0 ♕d7 10. ♔d2 a6 11. ♔ac1 b5  
12. cb ♜:d4 13. ♕:d4 ab 14. b4 ♔b8 15. ♔h1 ♔c8  
16. f4 ♕e6 17. ♕f3 ♕c4 18. e5! de 19. ♕:e5  
£a7?**

საჭირო იყო 19. ... ♔d8.

**20. ♔fd1! ♔d8**

შავები იძულებულნი არიან ორი ეტლი გაცვალონ ლაზიერში, სხვაგვარად ხარისხს კარგავენ.

- 21.  $\text{E:d8+}$   $\text{:d8}$  22.  $\text{:d8+}$   $\text{\$f8}$  23.  $\text{:cd1}$   $\text{h5}$**   
**24.  $\text{:a8}$   $\text{Ee3}$  25.  $\text{h3}$**   
 ჯობდა 25.  $\text{xe4}$ .  
**25. ...  $\text{ah7}$  26.  $\text{xe4}$   $\text{f6}$  27.  $\text{\$c7}$   $\text{\$d5}$  28.  $\text{:d5}$   $\text{Ec1+}$  29.  $\text{d1}$   $\text{E:c7}$  30.  $\text{xc5}$   $\text{Ef4}$**



როგორ მოვიგოთ ახლა? 31.  $\text{e6}$  ვამჯობინოთ თუ 31.  $\text{\$d5+?}$  პირველი ვარჩიე, გამარჯვებისკენ მიმავალ უმოკლეს გზად ეს მივიჩნიე, მაგრამ შევცდი.

### **31. $\text{e6}$**

გადარჩენის შანსს აძლევს შავებს, რაც ოსტატმა კარგად გამოიყენა.

### **31. ... $\text{E:b4}$ 32. $\text{xf8?}$**

აქაც იგებდა 32.  $\text{\$d5}$ .

- 32. ...  $\text{xf8}$  33.  $\text{:dd8}$   $\text{h4!}$  34.  $\text{:f8+}$   $\text{cg7}$  35.  $\text{g8+}$   $\text{ch6}$  36.  $\text{h8+}$   $\text{cg5}$  და ყაიმია მუდმივი ქ-**

შით, რომელსაც ლაზიერი გამოაცხადებს e1 და e3 ან e5 უჯრებიდან.

ოსტატს მუდმივი ქიშის ფორსირება მაშინაც შეეძლო, თუ ჯერ 33. ... Ee1+-ს ითამაშებდა და შემდეგ 34. ... h4-ს, მაგრამ 33. ... h4 იმიტომ ითამაშა, რომ, თუ ვინიცობაა ეტლით უკან დავბრუნდებოდი პირველი ჰორიზონტალის დასაცავად (34. |d1), მოგების შანსი ეძლეოდა, ვინაიდან ლაზიერი და ორი პაიკი ორ ეტლში სერიოზული მატერიალური უპირატესობაა.

\* \* \*

ერთობ თავგადასავლიანი გამოდგა ჩემი მეორე შეხვედრაც თამაზ კიკიანთან.

ესპანური პარტია  
კიკიანი – ბრეგაძე  
(თსუ ჩემპიონატი. თბილისი, 1968)

**1. e4 e5 2. ♜f3 ♜c6 3. ♖b5 a6 4. ♖a4 ♜f6 5. ♖:c6.**

ამ გაგრძელების გამო ვ. პანოვის „დებიუტების კურსში“ ვკითხულობთ: „ტემპის ამ ერთი შეხედვით უცნაური დათმობის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ახლა შავებს აღარ აქვთ სვლა f7-f6, რაც უზრუნველყოფდა ფიგურათა ხელსაყრელ განვითარებას“.

**5. ... dc 6. d3 ♖c5 7. h3 0-0 8. 0-0 E:d6 9. ♜bd2 b5 10. b4.**

თეთრები პაიკს წირავენ, რათა ფიგურების განვითარებაში ჩამორჩენა დაძლიონ.

### **10. ... ♫:b4.**

კაპაბლანკა გვირჩევდა: „მიიღეთ ყოველგვა-რი შენირვა – პაიკისა თუ ფიგურისა, თუკი ვერ ხედავთ უშუალო საფრთხეს“.

- 11. ♫b2 | e8 12. a3 ♫:d2 13. ♪:d2 ♪d7 14. ♩h1 ♫h6 15. ♪f3 c5 16. ♪h2 ♪f6 17. ♫c1 ♫h5 18. ♫e1 a5 19. ♫c3 ♫:h3!?**

უფრო სახალისოა, ვიდრე „ფრიცის“ მიერ შე-მოთავაზებული და, პრინციპში, უკეთესი 19. ... c4.

- 20. gh ♫:h3 21. | g1 ♪:e4 22. ♫e1 ♪f6 23. ♩e3 | a6 24. ♫:c5 | c6 25. ♫e3 | :c2**

ჯობდა 25. ... ♫d7, რის შემდეგაც შავები მცირე უპირატესობას ინარჩუნებდნენ. c2 პაიკის აყვანის მერე თეთრებს თამაშის გათანაბ-რების შანსი ეძლეოდათ.

### **26. ♫:a5**

უკეთესი იყო 26. ♫b1 – თანაბარი თამაშით.

### **26. ... c6 27. ♫e1 ♪d5 28. | c1 ♪:e3**

ჯობდა 28. ... |:c1 29. ♫:c1 ♫e6 და შავები კვლავაც ინარჩუნებენ მცირე უპირატესო-ბას.

- 29. ♫:e3 ♫:e3 30. fe | d2 31. | gd1 |:d1 32. |:d1 | d8**

ჯობდა 32. ... | a8.

### **33. ♩g2 c5 34. ♩f3 f5 35. | c1 |:d3 36. |:c5 f4?**

საჭირო იყო 36. ... e4+ თანაბარი შანსებით. ტექსტში სვლის შემდეგ თეთრების მდგომარეობა უმჯობესდება.


შეიქმნა ორივე მხრიდან უაღრესად ძნელად სათამაშო პოზიცია, ამიტომ უზუსტობები, რომელთაც კიდევ შევხვდებით, ბუნებრივია.

**37. ♜e5 fe 38. ♜e3 ♜d4 39. ♜b3 ♜a4 40. ♜e3 ♜f7 41. ♜f3 ♜e6 42. ♜d3 ♜d6** (პარტიის გადადებისას ჩანერილი სვლა) **43. ♜d4 h5 44. ♜:b5+ ♜e5 45. ♜c3 ♜a5 46. a4 g5 47. ♜b8 ♜f4 48. ♜c4** („ფრიცი“: 48. ♜b4+!) **48. ... h4 49. ♜b4 ♜a7 50. ♜f8+ ♜g4 51. h8 ♜h3**

„ფრიცი“ აქ 51. ... h3-ს თამაშობს, რაც, მისი აზრით, თანაბარ თამაშს იძლეოდა.

**52. ♜b5 ♜b7** („ფრიცი“: 52. ... ♜e7=) **53. a5 g4** („ფრიცი“: 53. ... ♜g3) **54. a6 ♜d7 55. a7 ♜:a7 56. ♜:a7.**

ეს პოზიცია ნამდვილად იმსახურებს დიაგრამას ძალთა უჩვეულო თანაფარდობის გამო.



**56. ... g3 57. ♖b5 g2 58. ♕g8 ♖h2 59. ♖d4**

თეთრი მხედარი მიუახლოვდა „ცეცხლის ხაზს“. ახლა შავებს არ შეუძლიათ ლაზიერის გაცოცხლება მხედრით „ჩანგლის“ გამო.

**59. ... ♕g1 60. ♖e2+ ♕f1**

ყველა სხვა სვლა აგებდა. მაგალითად, თუ 60. ... ♕f2, მაშინ 61. ♖f4 და შავებს კვლავაც არ შეუძლიათ ლაზიერის გაცოცხლება ისევ „ჩანგლის“ გამო, ოღონდ ახლა სხვა მხრიდან.

**61. ♖f4 g1E 62. :g1+ ♕:g1** ყაიმი.

ამ პარტიისთვის გადმომეცა სპეციალური პრიზი „შეუპოვარი დაცვისათვის“ (როცა ეს ვუთხარი ბატონ შოთა ინნკირველს, გაიღიმა და თქვა, საკითხავია აქ თავს რომელი მხარე იცავდაო!), ეს პრიზი, ხისგან გამოთლილი ჯამი, ახლაც შენახული მაქვს. „სიურ-პრიზი“ კი „ფრიც-მა“ მომიწყო 46 წლის მერე – **56. ... g3**-ის შემდეგ თეთრებისთვის მოგების ასეთი გზა იპოვა (ორივე მხრიდან თვითონ ის ვათამაშე):

57. ♖c6 (ნაცვლად 57. ♖b5-ისა) 57. ... g2 58. ♕g8 ♖h2 59. ♖e5 ♕g1 60. ♖h8 ♕f2 61. ♖f8+ ♕e3 62. ♖g4+ ♖d4 63. ♖d8+ ♕e4 64. ♖f2+ ♖f3 65. ♖h3 ♕g3 (65. ... g4 66. ♖d3 ♕f5 67. ♖d4) 66. ♖d3+ ♖h2 67. ♕c3 და თეთრები იგებენ.

მოგება იპოვა **59. ... ♕g1**-ის შემდეგაც: 60. ♖f8! ნაცვლად **60. ♖e2+?-სა** (60. ... ♕h1 61. ♖f3 ♖h3 62. ♖h8; ან: 60. ... ♕h2 61. ♖e2 ♕h1 62. ♖h8 და თეთრები იგებენ).

2014



## გადავრჩენილვართ!

1967 წლის 25 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი დაამარცხა ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 14:11. ბრძოლა ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობდა 25 დაფაზზე (ახლადა ვხვდები, რომ დაფების რაოდენობა სიმბოლური ყოფილა – 25 თებერვალი საქართველოს გასაბჭოების დღე იყო და ეს ამხანაგური შეჯიბრიც მას ეძღვნებოდა). სტუდენტების გარდა ორივე უმაღლესი სასწავლებლის ღირსებას მასწავლებლებიც იცავდნენ, მათ შორის ფიზკულტურისა და სპორტის კათედრების ჭადრაკის მასწავლებლებიც – ოსტატი თამაზ კიკიანი და ოსტატობის კანდიდატი გურამ მაჭავარიანი (უნივერსიტეტი) და ოსტატი (შემდგომ დიდოსტატი) რომან ჯინჯიხაშვილი (პოლიტექნიკური). მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მე-4 დაფაზზე ვთამაშობდი, ჩემი მეტოქე მამურაშვილი იყო გვარად.

სამი მხედრის დებიუტი  
**მამუჩაშვილი – ბრეგაძე**  
(თბილისი, 1967)

**1. e4 e5 2. ♜f3 ♜c6 3. ♜c3**

მეტოქემ იშვიათი დებიუტი შემომთავაზა,  
რომელიც არასოდეს მეთამაშა.

**3. ... f5.**

მწვავე გაგრძელება ავირჩიე, რაც დიდად სა-  
რისკოა, როცა დებიუტს არ იცნობ.

**4. d4 fe 5. ♜:e5 ♜f6 6. ♜c4 d5 7. ♜:d5 ♜:d5**

**8. ♜:c6 bc 9. E:h5+**

ამ ქიშის გამო გაიმეტეს თეთრებმა ფიგურა.

**9. ... g6 10. E:e5+ ♜f7 11. ♜g5**

არ შეიძლება 11. E:h8 11. ... ♜b4+-ის გამო.

**11. ... ♜g7 12. E:f4+ ♜f6 13. ♜:f6 E:f6 14.**

**E:c7+ ♜e8 15. ♜:d5 cd**

მოვიგერიე შეტევა, ზედმეტი ფიგურა დამრ-  
ჩა ორ პაიკში და ადვილად მოვიგე.

ოქმი რომ გავაფორმეთ, რომან ჯინჯიხაშვი-  
ლი მეუბნება, 3. ... f5 არ ვარგოდა, უნდა წაგე-  
გოო. როგორ-მეთქი, დავინტერესდი. დაჯდა და  
სცადა მოგება, მაგრამ ამაოდ. მეორედ სცადა,  
მესამედაც... მერე მიყარ-მოყარა ფიგურები და  
წავიდა.

შინ რომ დავბრუნდი, ჩავიხედე ვ. პანოვის  
„დებიუტების კურსში“, რომელშიც „სამი მხედ-  
რის დებიუტს“ ერთ გვერდზე ნაკლები ეძღვნე-

ბა. მართლაც, 3. ... f5-ს იქ კითხვის ნიშანი უზის – არ ვარგაო, ვინაიდან 4. d4 fe 5. ♜e5 ♜f6 6. ♖c4 d5 7. ♜d5 და თეთრები მოუგერიებელ იერიშს დებულობენო. ეს არის და ეს.

მაგრამ მე რომ მოვიგე შავებით?!

მოგვიანებით მინიატურების (დასაწყისშივე მოგებული პარტიების) კრებულებში ვნახე ამ იშვიათი დებიუტის კიდევ უფრო იშვიათ (ჩემ მიერ გამოყენებულ) ვარიანტში (3. ... f5) თეთრებით მოგებული რამდენიმე პარტია.

ჩემი მეტოქის მხრივ შეცდომა იყო 8. ♜c6. სწორი ყოფილა 8. Eh5+ g6 9. ♜g6 hg (თუ 9. ... ♜f6 10. ♖f7+! [აი ეს სვლა ვერ მოძებნა თუ ვერ გაიხსენა რომან ჯინჯიხაშვილმა ანალიზისას] ♜:f7 11. ♜e5++ ორ სვლაში შამათით. ასე დამთავრებულა აისინ-მიხაილოვიჩისა [მოსკოვი, 1965] და ტაბორ-რაინას [ბუდაპეშტი, 1971] პარტიები. ესენი შეგიძლიათ იხილოთ ა. მაზუკევიჩის წიგნში „დაწყევლილი შეცდომები“) 10. E:g6+ ♜d7 11. ♖d5 Ee8 12. ♖f7 Ee7 13. ♖g5 ♜e5 14. E:f5+ და შავები დანებდნენ. ეს პარტია კი ვნახე უნგრელი ავტორის Emil Gelenszei-ის წიგნში „200 სადებიუტო მახე“.

გადავრჩენილვართ!

2014



## დედაქალაქის პრესტიჟი ვიზუალ!..

თბილისის ყოველწლიური ჩემპიონატები მეოთხედფინალით იწყებოდა, რომელიც ოქტომბერში ტარდებოდა შვეიცარიული სისტემით. მასში მონაწილეობა დედაქალაქში მუდმივად თუ დროებით მცხოვრებ საქართველოს სარესპუბლიკის ყველა პირველთანრიგოსანს შეეძლო.

1967 წელს ორგანიზატორებმა გამოგვიცხადეს, თბილისში სტუმრად მყოფ ერევნელ მოჭადრაკეს, გვარად მორგუსიანს, სურს მეოთხედფინალურ ტურნირში კონკურსგარეშე ითამაშოს, თუ თქვენი თანხმობაც იქნებაო. ამ შემოთავაზებას მონაწილეობა მხრივ წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

სტუმარი ძლიერი მოჭადრაკე გამოდგა – პირველი ოთხი პარტია მოიგო და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მე ამ დროს სამნახევარი ქულით მეორე ადგილზე ვიყავი და მეხუთე ტურში ერთმანეთს შევხვდით (მოგეხსენებათ, შვეიცარიული სისტემა თანაბარ- ან ერთმანეთთან მიახლოებულქულიანებს ახვედრებს).

ლიდერთა პაექრობა ყურადღების ცენტრში მოექცა: ყველას აინტერესებდა სტუმრის ტრიუმფული სვლა გაგრძელდებოდა თუ შეფერხდებოდა.

ესპანური პარტია  
ბრეგაძე – მორგუსიანი

(თბილისის პირველობის მეოთხედფინალი, 1967)

**1. e4 e5 2. ♜f3 ♜c6 3. ♖b5 a6 4. ♖a4 ♜f6 5. 0-0 ♜:e4**

ესპანური პარტიის ეგრეთ წოდებული ლია ვარიანტი.

**6. d4 d5 7. de b5 8. ♖b3 ♖e6 9. c3 ♖c5**

ვ. პანვის „დებიუტების კურსში“ (1958) შავების ამ სვლის გამო ვკითხულობთ, რომ მას „უკიდურესად მწვავე პოზიციებამდე მივყავართ, რომელთა გამო თეორიას საბოლოო სიტყვა არ უთქვამს“ (გვ. 135-6).

**10. ♜bd2 0-0 11. ♕e2 ♖f5 12. ♜:e4 de 13. ♜g5 e3?**

შავებმა ხარისხის მოსაგები ტაქტიკური ოპერაცია წამოიწყეს, მაგრამ ბოლომდე ვერ გათვალეს შესაძლო შედეგები. საჭირო იყო 13. ... ♜:e5, და თუ 14. ♜:e4, მაშინ 14. ... ♖g4 თანაბარი თამაშით.

**14. ♖:e3! ♖d3**



### 15. ♖:f7!

ილეთი „კონტრდარტყმა“ გახსნილი ქიშის პერსპექტივით – დასაწყისი მრავალსვლიანი და მრავალვარიანტიანი გაცვლითი კომბინაციისა, რომელიც თეთრებისთვის მოსაგები ენდშილით მთავრდება.

აქ ის არის საინტერესო, რომ შავების კონტრდარტყმას თეთრებმა კონტრდარტყმითვე უპასუხეს: თეთრები რომ კუთი შავების კუს დაეცნენ (14. ♦:e3), ამას შავებმა ლაზიერზე კონტრდარტყმა შეაგებეს (14. ... ♦d3), რასაც თეთრების კონტრდარტყმა მოჰყვა (15. ♖:f7), და ახლა ერთდღოულად იმყოფებიან მუქარის ქვეშ თეთრების ლაზიერი, შავების ლაზიერი და შავების კუ c5-ზე.

### 15. ... ♜:f7

სწრაფად აგებს 15. ... ♦:e2 16. ♖:d8+ ♜h8 17. ♖:c6 ♦:e3 18. fe ♜:f1+ 19. ♜f1 ♦:f1 20. ♜f1.

ხოლო თუ 15. ... E:d7, მაშინ 16. E:d1 ♜a5 17. e6 E:e8 18. E:f3+ და თეთრები იგებენ.

### 16. ♜f7+ ♜h8

თუ 16. ... ♜:f7, მაშინ 17. E:f3+ ♜g8 18. E:c6 ♜:f1 19. ♜g5 E:f8 20. ♜:f1 და თეთრებს ორი ზედ-მეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია აქვთ.

### 17. E:d2

17. E:e1-ის შემდეგ ორი ზედმეტი პაიკის შე-ნარჩუნებას მოვახერხებდი, მაგრამ ლაზიერე-ბიც რჩებოდნენ დაფაზე, რასაც ერთი ზედმეტი პაიკი და უფრო ადვილი სათამაშო ულაზიერო ენდშილი ვარჩიე.

17. ... ♜:f1 18. E:d8+ ♜:d8 19. ♜:c5 ♜:e5 20. ♜:f1 ♜:f7 21. ♜:e1!

პოზიცია გამარტივდა, დამრჩა ზედმეტი პა-იკი და აქტიური პოზიცია.

21. ... ♜g8 22. ♜:e7 c6 23. ♜:c7 ♜:e8 24. ♜:c6 ♜:e5 25. ♜:a6 ♜:c4 26. g3 ♜:b2 27. ♜:b6 ♜:a4 28. ♜:b5 ♜:c3 29. ♜:a5 ♜:e2 30. ♜d4 ♜:c2 31. ♜:a8+ ♜:f7 32. ♜:a7+ და შავები დანებდნენ.

ასე ვიხსენი დედაქალაქის პრესტიჟი თბი-ლისში ორი წლის წინ ტყიბულიდან გადმოსახ-ლებულმა სტუდენტმა!

2014



## ორლესული სვლები

დიაგრამაზე გამოსახული პოზიცია შეიქმნა პარტიის, რომელიც თბილისის პირველობის მეოთხედფინალში გათამაშდა 1965 წელს. თეთრებით არის ოსტატობის კანდიდატი გურამ კალატოზიშვილი, შავებით – ამ სტრიქონების ავტორი.



აქ თეთრებმა როქი გააკეთეს:

**15. 0-0**

რაც უნდა უცნაური მოგეჩვენოთ, ეს, ერთი შეხედვით, ბუნებრივი სვლა აგებს პარტიას. ახლა შავები იწყებენ ორ-ორი კონკრეტული მიზანდასახულობის მქონე სვლათა სერიას. ორი ან მეტი კონკრეტული მიზანდასახულობის

მქონე სვლა ჭადრაკში იშვიათი როდია, მაგრამ ზედიზედ ექვსი ამგვარი სვლა (როგორც ეს ამ პარტიაში მოხდა) მთლად ჩვეულებრივი მოვლენა არ გახლავთ.

### 15. ... ♠e2!

კუ ემუქრება ეტლს, აიძულებს მას ხელი აიღოს f2 პუნქტის დაცვაზე და ამავე დროს უთავისუფლებს შავ მხედარს h5 უჯრას.

### 16. |e1 ♘h5

მხედარი ემუქრება ლაზიერს, აიძულებს მას ხელი აიღოს h4 მხედრის დაცვაზე და ამავე დროს გზას უხსნის შავუჯრედოვან კუს ამ მხედრისაკენ.

### 17. £e3 ♠:h4

კუს აჟყავს მხედარი და ამავდროულად ემუქრება f2 პუნქტს.

### 18. |:e2 ♘f4

მხედარი თავს ესხმის ეტლს, აიძულებს მას განმეორებით აიღოს ხელი f2 პუნქტის დაცვაზე, და ამავე დროს მზერას აპარებს g2 პუნქტისაკენ (რა აქვს გუნებაში – მალე შევიტყობთ).

### 19. |e1 £f7

ლაზიერი „რენტგენულად“ უტევს f2 პუნქტს და ამავე დროს g6 უჯრაზე გადასვლასაც აპირებს (მაგალითად: 20. |f1 £g6 21. g4 h5 22. ¥d1 |f6 23. ♦h2 hg 24. ♠:g4 £h6 25. ♘f3 |g6 26. ♠f5 |g2+ მოუგერიებელი შეტევით).

აქ ვხედავდი f2-ზე კუს შენირვის შესაძლებლობას (19. ... ♦f2+) და იმასაც, რომ ლაზიერსა და სამ პაიკში ეტლისა და ორი კუს გაცვლის შემდეგ თეთრი მეფის პოზიცია მოშიშვლდებოდა (20. E:f2 ♫:h3+ 21. gh | :f2 22. ♦:f2 E:h3), მაგრამ მატერიალურ ძალთა უჩვეულო თანაფარდობამ დამაფრთხო: თუ თეთრი მეფე ლაზიერის ფრთაზე თავის შეფარებას მოასწრებდა, მოგება გაჭირდებოდა. ამის გასარკვევად კი მრავალსვლიანი ვარიანტების ზუსტად გათვლა იყო საჭირო, ამიტომ უფრო მშვიდი და საიმედო გაგრძელება ვარჩიე (19. ... Ef7). „ფრიცმა“ კი ერთ-ერთ მრავალსვლიან ვარიანტში ასე გაამარჯვებინა შავებს, როცა ორივე მხრიდან თვითონ თამაშობდა: 23. ♦e2 | f8 24. ♦d1 h5 25. ♦b3 h4 26. ♦d5 E:g2 27. ♦c4 | f2 28. ♦e3 | f1 29. ♦d2 | :e1+ 30. ♦:e1 h3 31. ♦f1 ♦e7 32. | d1 ♦:d5 33. ed h2 34. ♦:h2 E:h2 და შავებმა უნდა მოიგონ.

## 20. ♦h2

რათა ეტლით დაიცვან g2 პუნქტი, თუ ლაზიერი g6-ზე გადავა.

## 20. ... ♦:g2!

მხედარმა მოკლა პაიკი, რითაც გაარღვია თეთრი მეფის საფარი, ჩანგლისებურად დაემუქრა ლაზიერსა და ეტლს, და ამავე დროს გზა გაუხსნა შავების მძიმე ფიგურებს f2 პუნქტისაკენ.

## **21. ♭:g2 ♯:f2**

კუმ მოკლა პაიკი, რითაც მთლად მოუშალა თეთრ მეფეს თავშესაფარი და ამავე დროს „ჩანგალზე“ წამოაგო ლაზიერი და ეტლი (მხედ-რით „ჩანგალი“ წარმატებით ჩაანაცვლა კუთი „ჩანგალმა“!).

ჩამთავრდა ორლესული სვლების სერია (რომელთაგან ერთი, მე-20, სამლესული გა-მოდგა!). ახლა, როცა თეთრი მეფის პოზიცია მოშიშვლებულია, შავები გამარჯვებისთვის საკმარის მატერიალურ უპირატესობას მოი-პოვებენ.

## **22. E:f3**

შავების კომბინაცია იმაზეა დამყარებული, რომ ლაზიერი ვერ ახერხებს ეტლის დაცვას, რადგან, თუ 22. E:e2, მაშინ 22. ... E:g6+ 23. ♭:h1 E:g3 და ამ წყნარი სვლით შავები იგებენ.

**22. ... ♯:e1 23. E:f7 | :f7 24. ♭:f3 | :f3 25. ♭:f3  
♯:h4**

დამრჩა ორი ზედმეტი პაიკი, რაც ამ პოზი-ციაში, ბუნებრივია, საკმარისი აღმოჩნდა მო-გებისათვის. (პარტია გადაიდო. ორი ზედმეტი პაიკი ბოლომდე შევინარჩუნე და გავიმარჯ-ვე).

დიაგრამაზე აღბეჭდილ პოზიციამდე ასე მი-ვედით:

ესპანური პარტია  
კალატოზიშვილი – ბრეგაძე  
(თბილისის ჩემპიონატის მეოთხედფინალი, 1965)

**1. e4 e5 2. ♜f3 ♜c6 3. ♛b5 a6 4. ♛a4 d6 5. c3 f5 6. d3** (პასიური გაგრძელებაა. თეორია აქ გვირჩევს პაიკის აყვანას: 6. ef) 6. ... fe 7. de ♛g4 8. h3 ♛h5 9. ♜d3 ♛e7 10. ♜d5 ♜d7 11. ♜bd2 ♜f6 12. ♜d3 0-0 13. ♜h4 ♜h8 14. ♜g3 | ae8.

ჩემი პარტნიორის შესახებ თენგიზ გიორგაძის წიგნში „ჭადრაკის დაფასთან“ („ნაკადული“, 1960) ვკითხულობთ:

„გურამ კალატოზიშვილი (დაბ. 1938 წ.) თბილისის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტის აღზრდილია. იგი ოსტატობის კანდიდატია და წარმატებით მონაწილეობს თბილისისა და საქართველოს პირველობებში. მან თბილისის 1959 წლის პირველობაში ა. ბუსლაევთან I-II ადგილები გაიყო. გ. კალატოზიშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია“.

1992



## „როცა გგონია, რომ გაიმარჯვე, სწორედ მაშინ ხარ დამარცხებული“

ეს ვახტანგ ჯავახაძის ლექსის სტრიქონია და სრულ ჭეშმარიტებას ღალადებს. ლასკერს მიენერება აფორიზმი: „ჭადრაკში ყველაზე ძნელი მოგებული პოზიციის მოგებაა“. თუ მიიჩნიე, რომ ქულა უკვე ჯიბეში გიდევს, ყურადღება დუნდება, დუნდება საბედისწეროდ.

ეს „მოგებული“ პარტია სწორედ ამ მიზეზით წავაგე ციური კობაიძესთან 1966 წელს თბილისის ჩემპიონატის მეოთხედფინალში.

ოსტატი ციური კობაიძე 1968 წელს სსრკ ჩემპიონი გახდა გოგონებს შორის, ხოლო 1969 და 1974 წლებში ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

**კობაიძე – ბრეგაძე**  
(თბილისის ჩემპიონატის მეოთხედფინალი, 1966)

1. ♘f3 c5 2. g3 ♘f6 3. ♜g2 e6 4. d3 d5 5. ♖bd2 ♖c6 6. c3 ♜e7 7. ♕c2 b5 8. 0-0 ♜b7 9. e4 d4 10. h3 e5 11. ♖h2 0-0 12. ♘h4 g6 13. ♘df3

| c8 14. ♦h6 | e8 15. | ad1 | c7 16. ♦d2 ♦c8 17.

¤g5 ¤h5 18. f4?

ჯობდა 18. ♦f3.

**18. ... ¤:g3! 19. ♦:g3 ef+ 20. ♦:f4 f6 21. ♦g3 fg**

შენირული ფიგურა დავიბრუნე, პაიკი მოვი-  
გე, მეტოქის მეფის პოზიცია მორღვეულია, მო-  
ნინაალმდეგის მხედარი დარტყმის ქვეშ არის,  
h6-ზე მდგარი მისი კუ უკიდურესად შეზღუდუ-  
ლია. პარტიის შემდგომი მსვლელობა იმის კარ-  
გი ილუსტრაციაა, როგორ შეიძლება ნელ-ნელა  
გაუშვა ხელიდან მთელი ეს უზარმაზარი უპი-  
რატესობა იმის გამო, რომ თავი უკვე გამარჯ-  
ვებული გგონია და გულარხეინად თამაშობ.

**22. ¤f3 ♦d6+ 23. ♦f2 ♦f4 24. ♦c2 ♦f6?**

ადვილად იგებდა 24. ... ♦e3+ 25. ♦e2 g4 26.  
♦:e3 gf+ 27. |:f3 de.

**25. ♦g1 ¤e5?**

საჭირო იყო 25. ... ♦e3+ 26. ♦h1 ♦e7 27. |de1  
g4 შავების დიდი უპირატესობით.

**26. ¤:g5 ♦e3+ 27. ♦h1 ♦d8**

ჯობდა 27. ... ♦e7.

**28. cd ♦:g5 29. ♦:g5 ♦:g5 30. de ♦:e5**

არცთუ რთულ ტაქტიკურ შეხლა-შემოხლა-  
ში შავებმა დაკარგეს უპირატესობა. თამაში გა-  
თანაბრდა.

**31. |f3 a6 32. |df1 ♦e6 33. ♦f2 |cc8 34. b3  
♦g7 35. |f6 |cd8 36. |f3 ♦c3?**

შესაძლებლობას აძლევს თეთრების ლაზი-ერს შეიჭრას მონინააღმდეგის ბანაკში. საჭირო იყო 36. ... | e7.

**37. E g3 E d4 38. E c7+ E d7??**

ეს უხეში შეცდომა ცაიტნოტის და უფრო კი იმის ბრალია, რომ ნირწამხდარი ვიყავი, „მოგე-ბულ“ პარტიაში თავდასაცავად რომ გამიხდა საქმე. უნდა მეთამაშა 38. ... Cf8.

**39. E:c5 E d4 40. E c6 E a7 41. E c3+ | d4 42. | f6 E d7 43. | 1f3 | c8 44. E d2?**

საჭირო იყო 44. Eb2.

**44. ... ¥f5?**

არაკორექტული კომბინაცია – ხარისხს ვი-გებ, მაგრამ წაგებულ პოზიციას ვღებულობ. აუცილებელი იყო 44. ... | :e4 თანაბარი თამაშით.

**45. ef! Cf:f6 46. fg+ C:g6 47. | g3+ Cf7 48. E f2+ Ce6 49. E e3+ Cf5 50. | g5+ Cf6 51. E e5+**  
და შავები დანებდნენ.

2014



## ავთანდილ პირვალიძის მოსაგონარი

ძველი რვეულების თვალიერებისას ერთ ბლოკნოტში ჩემი ხელით ჩაწერილ საჭადრაკო პარტიას წავაწყდი: კარტაშიანი – კირვალიძე. „დინამოს“ პირველობა, 1965 წ. ამას აქ რა უნდა-და-მეთქი, გამიკვირდა, მაგრამ, როცა პარტია დაფაზე გავითამაშე, ყველაფერი გამახსენდა.

1965 წლის შემოდგომის ერთ საღამოს ბესიკის ქუჩაზე მდებარე „დინამოს“ საჭადრაკო კლუბში შევიხედე. სპორტსაზოგადოების ჩემ-პიონატი ტარდებოდა. ერთ მაგიდასთან ხალხი შეჯგუფებულიყო. თეთრებით კარტაშიანი თა-მაშობდა, შავებით – კირვალიძე. პარტია მეტად საინტერესო გამოდგა. კირვალიძემ ლაზიერის ორიგინალური შეწირვა განახორციელა და მოიგო. თამაშის დამთავრების შემდეგ მსაჯს ბლანკი გამოვართვი და პარტია გადავიწერე.

ვინც სამოციან წლებში თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიარებოდა, უთუ-ოდ ემახსოვრება ავთანდილ კირვალიძე – ხალისიანი, სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, სახელმწიფო ავტოინსპექციის ოფიცერი, რომე-

ლიც სრულიად ჭაბუკი ტრაგიკულად დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას (თუ არ ვცდები, ბანდიტური თავდასხმის მსხვერპლი გახდა).

არ მინდა ეს საინტერესო პარტია დაიკარგოს, ამიტომ გთავაზობთ მას, შესანიშნავი მოჭადრაკის ავთანდილ კირვალიძის მოსაგონებლად.

### კირვალიძე



### კარტაშიანი

#### 16. ♜:g4

თუ 16. E:g4, მაშინ 16. ... e3 17. ¥:e3 E:c2 18. Ee2 E:e2+ 19. F:e2 ♘g6 20. ♜g5 g6 21. ♜h1 ♜:h4 22. ♜:h4 ♘:h4 შავების საგრძნობი უპირატესობით.

მე-16 სვლით თეთრი ეტლი ერთდროულად დაემუქრა მეტოქის ლაზიერსა და პაიკს. თითქოს შავებმა პაიკი უნდა დაკარგონ, მაგრამ აქ კირვალიძემ მოულოდნელად ასეთი რამ ითამაშა:

## **16. ... ♫d4!?**

იგებდა 16. ... Ee6-ც, მაგრამ გაგრძელება, რომელიც კირვალიძემ აირჩია, „სანახაობრივად“ ერთობ საინტერესო გამოდგა: შავებმა ლაზიერი მუქარის ქვეშ დატოვეს. თეთრებმა უნდა აიყვანონ იგი, თორემ გაჩნდა მათვის მეტად უსიამოვნო მუქარა ♫:c2 (თეთრი ლაზიერი გადატვირთულია c2 პუნქტის და g4 ეტლის დაცვით). ამ მუქარის ძალა მთელი სისრულით ასეთ ვარიანტში ჩანს: 17. ♫:e4 ♫:c2+ 18. ♪f1 ♭f5! 19. |c1 ♫e3+!

## **17. | :g6 | :h4!**

ღირსშესანიშნავი პოზიციაა!

ახლა თეთრებს ზედმეტი ლაზიერი აქვთ და თანაც მათი სვლაა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი თავდაცვა საშინელი მუქარისაგან – ეტლით პირველ ჰორიზონტალზე შამათისაგან – არ ჩანს.

## **18. f3**

უკეთესი 18. ♪g5-ის შემდეგაც შავები აღადგენენ მატერიალურ წონასწორობას და ეუფლებიან ინიციატივას. ტექსტში წარმოდგენილი სვლის მერე კირვალიძემ ადვილად შეინარჩუნა ზედმეტი პაიკი და გაიმარჯვა. თამაში ენდშპილშიც საინტერესოდ წარიმართა:

**18. ... | h1+ 19. ♪f2 | :d1 20. | :d1 ♫:g6 21. ♫:e4 ♫:c2 22. |c1 ♫d4 23. ♪a5 ♫f4 24. |c7 ♫c6 25. | :c6 bc 26. ♪:d8 ♪:d8 27. ♫c5 ♪c7 28. g3 ♫d5 29.**

**¤:a6+?** (ჯობდა 29. ♦e2) **29.** ... ♦b6 **30.** ♣b8 ♣f6  
**31. g4 g5** და თეთრები მხედარს კარგავენ.

პარტიის ჩანაწერი:

სიცილიური დაცვა  
კარტაშიანი – კირვალიძე  
(თბილისი, 1965)

- 1. e4 c5 2. ♣f3 ♣c6 3. d4 cd 4. ♣:d4 e5** (ამ სვლით შავებმა თავი აარიდეს თეორიულ გაგრძელებებს)
- 5. ♣b5 a6 6. ♣d6+ ♦:d6 7. ♦:d6 ♦f6**
- 8. ♦d1 ♦g6 9. ♣c3 ♣ge7 10. h4 h5 11. ♦h3 d5 12. ♦g3 ♦g4 13. ♦e2** (ჯობდა 13. f3)
- 13. ... de 14. ♦:g4 ♦d8 15. ♦d2 hg 16. ♦:g4 ♣d4 17. ♦:g6 ♦h4 18. f3 ♦h1+ 19. ♦f2 ♦d1 20. ♦d1 ♣:g6 21. ♣:e4 ♣:c2 22. ♦c1 ♣d4 23. ♦a5 ♣f4 24. ♦c7 ♣c6 25. ♦:c6 bc 26. ♦:d8 ♦:d8 27. ♣c5 ♦c7 28. g3 ♣d5 29. ♣:a6+ ♦b6 30. ♣b8 ♣f6 31. g4 g5** და შავებმა მოიგეს.

1992



## სლალომი

1958 წელს შტუტგარტში ერთდღოული თამაშის სეანსში მიხაილ ტალმა საუცხოო კომბინაცია განახორციელა, რომელმაც მაშინვე შემოიარა მსოფლიოს საჭადრაკო პრესა და ახლაც ხშირად მოჰყავთ მოულოდნელი და არაჩვეულებრივად ლამაზი კომბინაციის ნიმუშად.



აქ მ. ტალმა **1. g5** ითამაშა.

პარტია ასე გაგრძელდა:

**1. ... hg 2. hg ♜:h1 3. gf! ♜:d1+ 4. ♜:d1!!  
£:d2 5. fg!!**

და შავები დანებდნენ. მათ ბანაკში ასე უცნაურად შეჭრილი პაიკი ლაზიერად გადაქცე-

ვით და ერთ სვლაში შამათით იმუქრება. ამ შა-  
მათის თავიდან აცილება მხოლოდ დიდი მატე-  
რიალური ზარალის ფასად შეიძლება.

ხომ ნახეთ რა მოხერხებულად აუარა გვერდი  
თეთრმა პაიკმა **ე6-ზე** მდგარ თავის კოლეგას!  
მისი მოძრაობა სანუკვარი მერვე ჰორიზონტა-  
ლისკენ არ გაგონებთ სლალომს? („სლალომი –  
შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშ-  
ვებაში მიხვეულ-მოხვეული მარშრუტით, რომე-  
ლიც აღნიშნულია საკონტროლო აღმებით“, –  
ვკითხულობთ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“).

ახლა ასეთი პოზიცია ვნახოთ:



ეს გახლავთ დაბოლოება პარტიისა, რომელ-  
შიც თეთრებით ამ სტრიქონების ავტორი თამა-  
შობდა, შავებით კი მხატვარი **თენგიზ მირზაშ-  
ვილი** (თბილისი, 1986). თეთრებმა ცოტა ხნის  
წინ მეფეზე შეტევისათვის ხარისხი შენირეს. შა-  
ვებმა მოახერხეს ლაზიერების გაცვლა და იმე-  
დოვნებდნენ, რომ ამის შემდეგ თეთრების შე-  
ტევა ჩაცხრებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა – ულა-

ზიეროდაც თეთრების იერიშს სიმწვავე არ დაკლებია. ახლა შეტევა გადამწყვეტ ფაზაში შედის: g2 პაიკი, რომელიც აქამდე გატრუნული იყო საწყის პოზიციაზე, ამოძრავდება, ოთხ სვლაში მიაღწევს g7 უჯრას და შავები დანებდებიან.

ერთი შეხედვით ეს დაუჯერებელი ჩანს, რადგან g ვერტიკალი ჩახერგილია თეთრი მხედრითა და შავი პაიკით, მაგრამ აქაც „სლალომი“ გვეხმარება:

### **1. g4 ♦e6 2. gh ♠:e7 3. hg+ ♣g8 4. g7**

შავები დანებდნენ.

ბოლო ოთხი სვლა თეთრებმა ერთი და იმავე პაიკით გააკეთეს, რაც შუა თამაშში ერთობ იშვიათი მოვლენაა.

წინა მაგალითისგან განსხვავებით „სლალომისტმა“ პაიკმა აქ შეუჩერებლად გაიარა მთელი დისტანცია, მიხაილ ტალის პაიკი კი „საკონტროლო ალამთან“ მცირე ხნით შეყოვნდა.

ვნახოთ შეყოვნებული სლალომის კიდევ ერთი ნიმუში.



ეს პოზიცია შეიქმნა ორ მნერალს შორის გა-  
თამაშებულ პარტიაში – თეთრებით არის **როს-  
ტომ ჩხეიძე**, შავებით – **ტარიელ ჭანტურია**  
(თბილისი, 1977).

შავი მხედარი მოწინააღმდეგის ეტლს ემუქრე-  
ბა, მაგრამ თეთრები არ ცდილობენ ამ ეტლის გა-  
დარჩენას – მათ სხვა გეგმა აქვთ. ახლა მოძრაო-  
ბას დაიწყებს f2 პაიკი, შვიდი სვლის შემდეგ იგი  
მიაღწევს f8 უჯრას და შავები შეწყვეტენ წინააღ-  
მდეგობას. ეს გეგმაც ფანტასტიკური და განუ-  
ხორციელებელი ჩანს, მაგრამ... მაგრამ ის, რომ  
ახლა კიდევ ერთ მშვენიერ სლალომს ვნახავთ:

**1. f4 ♜:a1 2. f5 ♜b3?** (საჭირო იყო 2. ... f6) **3.**  
**f6 ♜:c1 4. fe ♜e2+ 5. E:e2 hg 6. ♠h7+ ♠:h7 7.**  
**efE** და შავები დანებდნენ.

\* \* \*

ბოლოს კიდევ ერთი „სლალომი“, ამჯერად  
საჭადრაკო კომპოზიციის სფეროდან.



შამათი 7 სვლაში

ეს სახელგანთქმული საჭადრაკო კომპოზიტორის (ეტიუდებისა და ამოცანების შემდგენლის) **ლეონიდ კუბელის** (1891-1942) ამოცანაა და მისი მთავარი ვარიანტი ეს არის:

- 1. |g1 |g3 2. hg+ ♭g4 3. gh+ ♭h5 4. hg+ ♭g6 5. gh+ ♭h7 6. hg+ ♭g8 7. gh♭x**

**1992-2012**



## უკვდავი შეცდომა

უნგრელი მოჭადრაკე Emil Gelenszei წიგნში „200 სადებიუტო მახს“ წერს: „ამბობენ, ჭადრაკის ერთი ფანატიკოსი თავის ვაჟს მემკვიდრეობის უფლების წართმევით დაემუქრა, თუკი იგი ოდესმე ლაზიერით აიყვანდა b2 პაიკს“.

ამის შემდეგ ავტორს მოჰყავს ბოტვინიკ-შპილ-მანის ცნობილი პარტია (მოსკოვი, 1935), სადაც შპილმანმა მე-7 სვლაზე ლაზიერით მოკლა ზემოხსენებული პაიკი, ხოლო მე-12 სვლაზე დანებდა.

მართლაც, რამდენი მოჭადრაკე დახარბებია ამ „მონამლულ“ პაიკს და ამისათვის სასტიკადაც დასჯილა! მათ რიცხვში სახელოვანი ოსტატებიც არიან. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე კიზერიცკის მარცხი ანდერსენთან (ე. წ. „უკვდავი პარტია“, ლონდონი, 1851), ლევენფიშის წაგება ალიოხინთან (პეტერბურგი, 1912), მაქს ეივეს დამარცხება რიხარდ რეტისთან პარტიაში (როტერდამი, 1920) და სხვ.

აქაც მართლდება ერთი ბრძენის სკეპტიკური გამონათქვამი: „ისტორია მხოლოდ იმას გვასწავლის, რომ ისტორიისგან ჭკუის სწავლა შეუძლებელია“.

ამ მცირე შესავლის შემდეგ დავაკვირდეთ დიაგრამაზე გამოსახულ პოზიციას. იგი შეიქმნა შარშან (1991 წელს) ტილბურგის (ჰოლანდია) დიდ საერთაშორისო ტურნირზე გათამაშებულ პარტიაში. თეთრებით არის მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ვიშვანათან ანანდი, ხოლო შავებით – თავად მსოფლიოს ჩემპიონი გარი კასპაროვი. კასპაროვის ბოლო სვლა იყო **9. ... E**b6:b2**.**



თამაში ასე გაგრძელდა:

**10. ♜db5! ab 11. ♜:b5 |a5 12. |b1 |:b5.**

თუ 12. ... E:a2, მაშინ 13. ♜c3 E:a3 14. |b3 და ლაზიერი დაჭერილია.

**13. |:b2 |:b2 14. Ea1 |b6.**

უარესია 14. ... |b4 15. Ec3 -ის გამო.

**15. ♠:b6 ♜:b6 16. Ec3.**

შავები იძულებულნი შეიქნენ ლაზიერი დაეთმოთ სამ მსუბუქ ფიგურაში და ამავე დროს ძალი-

ან შევიწროებული პოზიციაც მიიღეს. მალე თეთრებმა იოლად მოიგეს კიდევ ორი პაიკი და ერთი ფიგურაც. 29-ე სვლაზე გარი კასპაროვი დანებდა.

თუკი დღევანდელი მსოფლიოს ჩემპიონიც ვერ უძლებს ცდუნებას ლაზიერით აიყვანოს ეს საბედისნერო b2 პაიკი, მაშინ ჭადრაკი მართლაც რომ უკვდავი თამაში ყოფილა!

\* \* \*

სხვა სხვის ომში ბრძენიაო და ახლა იმას გაჩვენებთ, რა დღეში ჩავვარდი, როცა სულმა წამდლია და ეს მონამლული პაიკი მოვკალი როსტომ ჩხეიძესთან პარტიაში – „სერიოზულ“ პარტიაში: დროის კონტროლით ვთამაშობდით (საათნახევარი 40 სვლაზე) და სვლებსაც ვიწერდით.

ძველინდური დაცვა  
როსტომ ჩხეიძე – ლევან ბრეგაძე  
(თბილისი, 1992)

**1.e4 d6 2. c4 g6 3. d4 ♜f6 4. ♜c3 ♜g7 5. f3**  
(ძველინდური დაცვის ზემიშის სისტემა, რომლის მიზანია ცენტრის გამაგრება და შემდგომ პაიკებით შეტევის წამოწყება მეფის ფრთაზე) **5.**  
**... 0-0 6. ♜g5** (ძირითად გაგრძელებად ითვლება 6. ♜e3, მაგრამ 6. ♜g5-საც ხშირად თამაშობენ)  
**6. ... ♜bd7 7. ♜ge2 c5 8. dc ♜:c5 9. ♜d2 ♜b6 10. h4 ♜:b2 11. ♜:b2 ♜d3+ 12. ♜d2 ♜:b2 13. ♜c1**  
(იმუქრება მხედრის მოგება 14. ♜b1 სვლით.

„ფრიცმა“ აქ 13. ♘f4 ითამაშა) **13. ... h6 14. ♦e3 ♘d7** („ფრიცი“: 14. ... ♘h5) **15. ♘d5 ♘:c4+?** („ფრიცი“: 15. ... ♘e5 16. ♜b1 ♘b:c4+. აქედან მოკიდებული ნელ-ნელა ვკარგავ უპირატესობას, რომლის შესანარჩუნებლად ძალიან ზუსტი თამაში იყო საჭირო, ვრცელი ვარიანტების დამღლელ გათვლებთან დაკავშირებული. უკვე ვნანობდი **b2** პაიკის აყვანას, რომლის მოგება და შემდეგ კი შენარჩუნება ამ ფასად ნამდვილად არ მიღირდა!) **16. ♦:c4 ♦:a1 17. ♦:h6** („ფრიცი“: 16. ♘d3) **17. ... ♦g7 18. ♘:e7+ ♖h7 19. ♦e3 ♘c5** („ფრიცი“: 19. ... ♘b6) **20. h5 g5 21. ♦:g5 ♦h6** („ფრიცი“: 21. ... ♦e6) **22. ♦:h6 ♖:h6 23. ♖e3** (თეთრებმა საშიში გამსვლელი პაიკი მიიღეს. აქედან მოკიდებული მათი უპირატესობა სულ უფრო აშკარა ხდება) **23. ... ♦e6 24. ♦:e6 ♘:e6** („ფრიცი“ აქ 24. ... fe-ს თამაშობს, მაგრამ ბევრს ვერაფერს აღწევს. მე კი პაიკით კუს აყვანაზე უარი იმიტომ ვთქვი, რომ ამის შედეგად თეთრები ორ გადაბმულ გამსვლელ პაიკს მიიღებდნენ) **25. g4 f6 26. f4 | ad8 27. ♘e2 | d7 28. ♘f5+ ♖h7 29. ♘ed4 ♘:d4 30. ♖:d4 | c8 31. ♖d5** („ფრიცი“: 31. g5) **31. ... b5 32. ♖e6 | b7 33. ♖:f6 b4 34. g5 | f8+ 35. ♖e6 | e8+ 36. ♖d5 | b5+ 37. ♖d4 a5 38. ♘:d6 | d8 39. e5 a4 40. ♖c4 | b6 41. ♖c5 | bb8 42. g6+ ♖g8 43. h6 b3 44. ab ab 45. f5 b2 46. f6 | d7 47. h7+ ♖h8 48. ♘f7+ | :f7 49. gf | f8 50. e6 b1£ 51. | :b1 და შავები დანებდნენ.**



## მხატვრები და ჭადრაკი

ყველა მხატვარი არ არის მოქადრაკე,  
მაგრამ ყველა მოქადრაკე მხატვარია.  
მარსელ დიუშანი

ჭადრაკით გატაცებულ მხატვრებს შორის ასახელებენ ვარვარა გოლოვინას (1766-1819), ილია რეპინს (1844-1930), ვასილი ვერეშჩაგინს (1842-1902)... მაგრამ სიძლიერით ვერცერთი მხატვარი ვერ შეეძრება ამ წერილის ეპიგრაფად გამოყენებული ფრაზის ავტორს, ფრანგ ავანგარდისტ ხელოვანს მარსელ დიუშანს (თუმცა რაღაც მარტო მხატვრები – ბარე ორი ხელოვნების დარგის წარმომადგენელი ვერ გაეჯიბრებოდა ჭადრაკის თამაში ამ არაჩვეულებრივ შემოქმედს! ბარე ორი-მეთქი, რადგან ხელოვნების ყველა დარგზე ამას ვერ ვიტყვით: პიანისტი მარკ ტაიმანოვი იყო მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი). მარსელ დიუშანს, მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ხელოვანს, სიურრეალიზმის

ერთ-ერთ საფუძველჩამყრელს, ჭადრაკის დი-დოსტატის წოდება ჰქონდა, მონაწილეობდა საფრანგეთის ჩემპიონატებში და საჭადრაკო ოლიმპიადებზე საფრანგეთის გუნდის შემად-გენლობაში გამოდიოდა.

ამჯერად ორ ქართველ მოჭადრაკე მხატ-ვარზე მოგითხობთ.

## თენგიზ მირზაშვილი

თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა) დიდებული შე-  
მოქმედი, უაღრესად თვითმყოფადი ფერმწერი და  
გრაფიკოსი, ჭადრაკით დიდად იყო გატაცებული.

ქალბატონი გიული ხაბეიშვილი, სულიკო ხა-  
ბეიშვილის მეუღლე, იგონებს:

„თენგიზი რომ ჭადრაკს ძალიან კარგად თა-  
მაშობდა, ცნობილია. სულიკო არ იყო თენგიზი-  
ვით ძლიერი მოჭადრაკე, მაგრამ მასთან ჭად-  
რაკის თამაშის სურვილი ყოველთვის ჰქონდა.  
სულიკო თამაშის დროს გამუდმებით ეწეოდა  
სიგარეტს. ჩუბჩიკა სიგარეტის ბოლს ვერ იტან-  
და. ერთხელ ეუბნება სულიკოს: მოდი, 20 პარ-  
ტია ვითამაშოთ. თუ ყველას მოგიგებ, სიგა-  
რეტს თავი უნდა დაანებო. სულიკო დაეთანხ-  
მა. დაიწყო თამაში. სულიკო ნერვიულობდა და  
ზედიზედ აგებდა. მე და თენგიზს გვიხაროდა.  
მეთხუთმეტე პარტია სულიკომ, როგორც იქნა,  
მოიგო. გახარებულმა შვებით ამოისუნთქა და  
გამარჯვებული იერით... სიგარეტი გააბოლა.  
ჩვენმა იმედმა სრული კრახი განიცადა“.

თენგიზთან მეც მითამაშია. მასთან მოგებუ-  
ლი ერთი პარტიის დაბოლოება გამოვიყენე კი-

დეც ერთ ჩემს საჭადრაკო ნოველაში, რომელ-  
საც „სლალომი“ ჰქვია (გაზეთ „მშობლიურ კე-  
რაში“ დაიბეჭდა 1992 წელს).

ამას ნინათ, ჩემი არქივის თვალიერებისას,  
შუაზე გაკეცილ დიდი ზომის კონვერტს წავაწყ-  
დი, რომელზედაც თენგიზის მიერ ჩემთვის მო-  
გებული პარტიის დაბოლოება ჩამინერია თარი-  
ლითურთ: 12.08.1991. თარილის ქვეშ არის მინა-  
ნერი: „კრიტიკა“, რაც ნიშნავს, რომ უურნალ  
„კრიტიკის“ რედაქციაში გვითამაშია (მაშინ იქ  
ვმუშაობდი, ანუ შეხვედრა „ჩემს“ მოედანზე  
მიმდინარეობდა).

პოზიცია დაფაზე გადავიტანე და პირველივე  
სვლების გაკეთებისთანავე ყველაფერი გამახ-  
სენდა. აქ თენგიზმა ლამაზი მომგებიანი სვლა  
გააკეთა პოზიციაში, რომელიც ჩემთვის უკეთე-  
სი მეგონა, და უცბად შეცვალა პარტიის ბედი  
თავის სასარგებლოდ. ის მომგებიანი სვლა იმ-  
დენად საინტერესო ჩანდა, რომ, ცხადია, ჩავი-  
ნერდი – ასეთ რამეს რას გავუშვებდი ხელიდან!



თეთრებით მე ვარ. აქ **1. ¥d4** ვითამაშე და ჩავიფიქრე გაცვლითი კომბინაცია, რომლის შედეგად პოზიცია მარტივდება და თითქოს (მაშინ ასე მომეჩვენა) პოზიციურ უპირატესობასაც ვლებულობ. თამაში ასე გაგრძელდა:

**1. ... |d8 2. ¥b6! |:d2 3. ¥:a5 |:d1 4. |:d1  
b6 5. |d8+ ¥f8 6. ¥b4 c5**

შავების ამ იძულებითი სვლის შემდეგ ახალი კომბინაცია წამოვიწყე:

**7. ¥:c5 bc 8. ¥a6**

თუ ახლა შავების კუ ჩემს კუს მოკლავს (8. ... ¥a6), მაშინ ჯერ ეტლით ავიყვან ეტლს, მერე კი კუთხის პაიკსაც და მოსაგებ პოზიციას მივიღებ. მაგრამ თენგიზმა მოულოდნელად ასე ითამაშა:

**8. ... ¥b7!!**

და აღმოჩნდა, რომ... ფიგურას ან ხარისხს ვკარგავ!

შავი კუ გრანდიოზულ მისიას ასრულებს ამ სვლით: ა) გზას უხსნის შავების ეტლს თეთრების ეტლისაკენ (ტაქტიკური ოპერაცია, რომელსაც ღია თავდახმას ან ხაზის გათავისუფლებას უწოდებენ), ბ) თან იცავს იმავე ეტლს, რომელსაც გზა გაუხსნა (ამ ორი მისიის შერწყმა – კუს სიმარჯვის დემონსტრირება – ერთობ მომხიბლავია!), გ) ამავდროულად ინარჩუნებს მუქარას თეთრი კუს მიმართ.

ეს სვლა კუთი ორი ტაქტიკური ილეთის შერწყმაა: ღია თავდასხმა რომ არის, ეს უკვე

ვთქვით, და შუალედური სვლაც გახლავთ ამავე დროს: შავი კუ თეთრ კუს ეგრევე როდი კლავს – ჯერ მხოლოდ ერთი უჯრით წაინევს მისკენ, ვინაიდან ეტლი ჰყავს დასაცავი, და თუ თეთრი ეტლი შავ ეტლს გამოერიდება (9. | d1), მაშინდა მოკლავს ჩემს კუს (9. ... ♠:a6) და შავებს ორი ზედმეტი ფიგურა რჩებათ.

შუალედური (თანაც წყნარი!) სვლა აქ იმავე ფიგურით კეთდება, რითაც მომდევნო სვლა უნდა გაკეთდეს, რაც პრაქტიკულ პარტიაში ერთობ იშვიათია.

ფიგურის დათმობას ხარისხის დათმობა ვამ-ჯობინე:

**9. | :f8+ ♠:f8 10. ♠:b7 | b8** და მალე ფარ-ხმალი დავყარე.

ამრიგად, ამ პარტიაში თენგიზმა ჩინებული ტაქტიკური ოპერაცია (კონტროპერაცია!) გა-ნახორციელა, რასაც, ვფიქრობ, სასწავლო ღი-რებულებაც აქვს.

ასე რომ, გამოქვეყნებული პარტიების მი-ხედვით, თენგიზ მირზაშვილსა და ჩემ შორის ანგარიში საყაიმოა – 1:1.

## კარლო ფაჩულია

„კარლო ფაჩულია იმ მხატვრებს მიეკუთვნება, წიგნს ჭეშმარიტი კრიტიკოსებივით რომ კითხულობენ და კარგად იციან თითოეული ნიუანსის ფასი... რატომ ვერიდებით ამ რანგის შემოქმედთ სიცოცხლეშივე ვუწოდოთ დიდი“, – წერს როსტომ ჩხეიძე შესანიშნავ გრაფიკოსზე, არაჩვეულებრივად კოლორიტულ პიროვნებასა და შემოქმედზე, ქართული ლიტერატურის, საზოგადოდ, ქართული წიგნის, გამორჩეულ ილუსტრატორსა და გამფორმებელზე, რომელიც ყველა ამ ღირსებასთან ერთად ჭადრაკის დიდი მოყვარულიც გახლავთ.

ჩვენს თხოვნაზე, მოეთხოო ჭადრაკთან თავისი დამოკიდებულების შესახებ, მხატვარმა გაიხსენა:

„ბიძაჩემმა, შოთა ქუთათელაძემ მიმიყვანა ქუთაისის პიონერთა სასახლის ჭადრაკის წრეში. მასწავლებელი იყო ცნობილი მწვრთნელი დავით ჩირაძე. დიდხანს არ მივლია. შევასრულე მეხუთე თანრიგის ნორმატივი, შემდეგ – მე-

ოთხე და მერე მესამე თანრიგისაც. პარალელურად დავდიოდი ტანვარჯიშზე (მასწავლებელი იყო ნინა იოსელიანი). ამ დროს ჩავირიცხე ქუთაისში ახალდაარსებულ სამხატვრო სკოლაში, რომელიც საშუალო სკოლასთან ერთად დავამთავრე.

1964 წელს მოვეწყვე თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ფიზკულტურის მასწავლებელი იყო ძველი ტანმოვარჯიშე ლევან გაჩავა. ერთ დილით ადრე მივედი აკადემიაში. ბატონი ლევანი ჩემთვის უცხო კაცს ეთამაშებოდა ჭადრაკს. ერთი სვლის გამო ბატონ ლევანს ვუთხარი, ევ არ უნდა გეთამაშათ-მეთქი. გაკვირვებულმა შემომხედა და მითხრა: შენ აქ დაჯდები და, რა მოჭადრაკეცა ხარ, გავიგებო. მოუგო იმ კაცს და დავჯექი სათამაშოდ. დავიწყეთ თამაში და ვუგებ. რა გვარისა ხარო, მეკითხება, – ვუპასუხე. სახელი რა გქვიაო, – ესეც ვუთხარი. იმ კარლო ფაჩულიასი რა ხარო (მამაჩემზე მეკითხება). შვილი-მეთქი. ნამოდგა, გადამეხვია, მაკოცა. მამაშენი და მეომის დროს ჯარში ერთ ნაწილში ვმსახურობდით, მანქანის ბორტზე ყირების გაჭიმვაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. მერე ის სხვაგან გადაიყვანეს. ამბავი მოვიდა, დაბომბვაში მოყვაო...

სამხატვრო აკადემიის ნაკრებს უნდა ეთამაშა კალინინის რაიონის პირველობაზე. ბატონმა ლევანმა აკადემიის ნაკრებში შემიყვანა, სადაც

ჩემ გარდა იყვნენ: თენგიზ (ჩუბჩიკა) მირზაშვილი, რენო თურქია, თეიმურაზ ყუბანეიშვილი და დათო გრიგოლია. პირველი ადგილი დავიკავეთ. დამაჯილდოვეს ბაკურიანის საგზურით და ასე მოვხვდი ჭადრაკის წყალობით პირველად ბაკურიანში.

მხატვართა კავშირის წევრი ვარ 1974 წლიდან, უურნალისტთა კავშირისა – 1982 წლიდან. დამირეკეს უურნალისტთა კავშირიდან, ბიჭვინთაში მივდივართ, ხომ არ წამოხვიდოდიო. წავედი. ჩატარდა უურნალისტთა პირველობა ჭადრაკში და მე გავიმარჯვე, პირველი ადგილი დავიკავე. ფინალში ცნობილი უურნალისტი და პოეტი პაატა ნაცვლიშვილი დავამარცხე. დამაჯილდოვეს ძალიან ლამაზი შუშის თასით.

ერთხელ გვეწვივნენ ჩემი ვაჟის, ირაკლის, ბიძაშვილები დედის მხრიდან: სოსო და გიგაზაალიშვილები. დაიწყეს დიდ ოთახში ფეხბურთის თამაში. ბურთი მოახვედრეს ჩემს თასს, რომელიც ისე დაიმსხვრა, რომ მისგან მხოლოდ მოგონებალა დამრჩა“.

\* \* \*

ჩემს არქივს კარლო ფაჩულიასთან ნათამაშები ორი პარტიის ფრაგმენტები შემოუნახავს. ერთი, რომელიც 1981 წლის ოქტომბრის თვით არის დათარიღებული, ეს გახლავთ:

## კარლო ფაჩულია



### ლევან ბრეგაძე

პაიკი მაკლია, თუმცა პოზიციური უპირატესობა ჩემ მხარეზეა. შეიძლებოდა, მაგალითად, 1. a4 სვლით შავების პოზიციაზე ზენოლის გაძლიერება. მაგრამ მე **1. ♜:c6** ვითამაშე. შორიდან მომეჩვენა, რომ ამ კომბინაციით მატერიალურ უპირატესობას მოვიპოვებდი.

**1. ... ♜:c6 2. ♠:c6+ bc 3. E:c6+ ♠e7**

ახლა რა ვქნა? თუ ეტლი მოვყალი (4. E:a8), მაშინ 4. ... E:c3+ და შავებს ზედმეტი ფიგურა რჩებათ. ამიტომ:

**4. E:b7+ ♠f6 5. E:f3+ ♠e7**

შავები ზუსტად იცავენ თავს. არ ვარგა 5. ... ♠f5 6. ♠f4 ♠d6 7. ♠:d6 | ♞d8 8. ♠e5+ ♠e7 9. g4 და თეთრები მოიგებენ. ხოლო თუ 5. ... E:f5, მაშინ უკვე შემიძლია ეტლის აყვანა ლაზიერით.

## **6. $\mathbb{E}b7+$ $\mathbb{C}f6$ 7. $\mathbb{E}f3+$**

და ყაიმია მუდმივი ქიშით.

\* \* \*

ეს პოზიცია კი 1982 წლის 26 ივნისს ნათამა-შები პარტიიდან არის:

### **ლევან ბრეგაძე**



### **კარლო ფაჩულია**

ჩემს კუს დაფის ცენტრში გაბატონებული მდგომარეობა უკავია, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ თეთრებს მისი თავიდან მოშორების სურვილი გაუჩინდათ:

#### **1. $\mathbb{F}b2$**

მე კი კუც დარტყმის ქვეშ დავტოვე და დამატებით ლაზიერიც დავუსვი თეთრების ეტლს ასაყვანად:

#### **1. ... $\mathbb{E}f2!$**

ამ სვლით ჩემი ლაზიერი მტრის ბანაკში მა-  
მაცურ რეიდს ახორციელებს!

ეს არის ილეთი, რომელსაც „კონტრდარტყ-  
მას“ ეძახიან.

რა უნდა ქნან ახლა თეთრებმა? თუ 2. | :f2, მა-  
შინ 2. ... ef 3. Ef3 | e1+ 4. Ch2 f1 ☺+ (ლაზიერის გა-  
ცოცხლებაც შეიძლება) 5. E:f1 | :f1 6. ♩:d4 | e8 7.  
c3 f4 და შავებმა უნდა მოიგონ. ჩემმა მეტოქემ  
ლაზიერის აყვანა ლაზიერით არჩია:

**2. E:f2 ef 3. ♩:d4 | e1+ 4. Ch2 f1 ☺+ 5. | :f1  
| :f1**

ზედმეტი ხარისხი დამრჩა პაიკში. პოზიციაც  
ისეთია, რომ შავებმა უნდა მოიგონ. ანუ ლაზიე-  
რის შენირვა კორექტული გამოდგა.

მინდა მკაფიოდ და დაბეჯითებით განვაცხა-  
დო ლაზიერის შენირვის კორექტულობის თაო-  
ბაზე, ვინაიდან... ეს პარტია წავაგე.

დააკვირდით: თეთრებს ლაზიერის ფრთაზე  
ორი ზედმეტი პაიკი დარჩიათ. ამ გარემოებით  
და ჩემი რამდენიმე არაზუსტი სვლით კარგად  
ისარგებლა მეტოქემ, ლაზიერის ფრთაზე გამს-  
ვლელი პაიკი შექმნა და მომიგო. (პარტიის  
ფრაგმენტის ჩემი ჩანაწერი 3. ♩:d4-ით მთავრ-  
დება. იქვე იმავე პასტით მიმინერია: „მოვიგე  
ხარისხი, მაგრამ შემდეგ პარტია წავაგე“).

ნუგეშად ეს ლამაზი წყნარი სვლა **1. ... Ef2!** –  
უძლიერესი ფიგურის უხმაუროდ (ქიშის ან ფი-  
გურის მოკვლის გარეშე) შენირვა დამრჩა, რაც  
(კიდევ უნდა გავიმეორო!) კორექტული გახლ-



თენგიზ მირზაშვილი, როსტომ ჩხეიძე, კარლო ფაჩულია  
ფოტო მურმან ჩაჩუასი



კარლო ფაჩულიას მიერ დახატული ლოგო გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რუბრიკისთვის „მწერალი და ჭადრაკი“, რომელსაც შოთა ინწკირველი და ლევან ბრეგაძე უძღვებოდნენ 1991 წელს.

დათ, – წაგებას მას ვერ დავაბრალებთ, – მარცხი მეტოქის შეუპოვარმა თამაშმა და ჩემმა დაუდევრობამ გამოიწვია.

\* \* \*

რაკიღა როსტომ ჩხეიძე და კარლო ფაჩულია მრავალი წელია ერთად მუშაობენ უურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში (როსტომი უურნალის მთავარი რედაქტორია, კარლო კი – მხატვრული რედაქტორი), ბუნებრივია ყველაზე ხშირად ერთმანეთთან უწევთ ჭადრაკის თამაში. არც ის არის მოულოდნელი, რომ ოსტატობის კანდიდატი როსტომ ჩხეიძე ამ ორთაბრძოლებიდან უფრო ხშირად გამოდის გამარჯვებული.

გთავაზობთ ორ საშამათო კომბინაციას, რომელებითაც როსტომ ჩხეიძემ დააგვირგვინა შეტევა კარლო ფაჩულიასთან ნათამაშებ პარტიებში.

### როსტომ ჩხეიძე



კარლო ფაჩულია

**1. ... de 2. E:e4 E:f2+! 3. I:f2 I:d1+**

და გარდუვალი შამათის გამო თეთრები დანებდნენ.

### როსტომ ჩხეიძე



### კარლო ფაჩულია

**1. ... ef! 2. I:e6 f2+! 3. Ch2 f1¤x!**

შამათი მხედრის გაცოცხლებისა და ორმაგი ქიშის მეშვეობით – ერთობ იშვიათი რამ პრაქტიკულ პარტიაში!

\* \* \*

კარლო ფაჩულიას პარტიიორთა შორის უნდა დავასახელოთ მხატვარი თენგიზ მირზაშვილი და პოეტი ტარიელ ჭანტურია. სხვაც მრავალი, მაგრამ ესენი დოკუმენტურად დადასტურებული მისი მეტოქეები არიან: კარლოს სათუთად შემოუნახავს მათთან ნათამაშებ მატჩა

ცხრილები, ორივე მოთამაშის მიერ ხელმოწერილი.

აი, მაგალითად, ტარიელ ჭანტურიასა და კარლო ფაჩულიას შორის 1996 წლის 12 ნოემბერს ნათამაშები მატჩის ცხრილი:

ლიტერატურული საქართველო						
საქართველოს სახალხო მთაწმინდის კავშირის განვითარების მინისტრი თბილისი, რესთავების პლაზ. № 7 ტელეფონი 99-67-10	„ЛИТЕРАТУРНЫЙ САКАРТВЕЛО“ ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ Тбилиси, проспект Руставели № 7 Телефон 99-67-10					
1996 წ.						
სისტემური	○	○	1	1	1	1
არასტრუკტურული	1	1	0	0	0	0
19. XII. 96						
<i>ქ. ჭანტურია S. გაგუა</i>						

ექვსი პარტიისაგან შემდგარი მატჩი კარლო ფაჩულიას მოუგია ანგარიშით ოთხით ორი.

ეს კი თენგიზ მირზაშვილთან ნათამაშები მატჩის ცხრილი გახლავთ, კარლო ფაჩულიას მიერ ანგარიშით სამით ორი მოგებული:

ა წ ე რ თ ი	1	0	0	1	0	
ს მ რ მ	0	1	1	0	1	
11	1	0	0	1	0	

11 ს მ რ მ

ცხრილებიდან ჩანს, რომ არცერთი პარტია ყაიმით არ დამთავრებულა, რაც ორთაბრძოლათა უკომპრომისობაზე მიგვანიშნებს.

\* \* \*

ქართველ მოჭადრაკე მხატვრებზე თხრობას როსტომ ჩხეიძის ერთი ჩანაწერით (ნაკვესით) დავამთავრებ, რომელიც უურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნდა:

„თენგიზ მირზაშვილი და კარლო ფაჩულია – თქვენს თვალში მხოლოდ ორიგინალური, გამორჩეული მხატვრები.

ახლობლებისათვის – ჭადრაკის თავგადაკლული მოტრფიალენიც.

პარტნიორის დანახვაზე (არადა, მათთვის ყველა პარტნიორია, ვინც ფიგურების გადაადგილება-გადმოადგილება იცის) ისეთი კანკალი აუტყდებათ ხოლმე, როგორც ლოთს ღვინიანი ხელადის დანახვისას.

ფუნჯსაც კი მაშინვე გვერდზე გადადებენ და საჭადრაკო ფიგურებს ამოალაგებენ.

ან გადადებენ და ან – არა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ასე ითქმის.

ერთხელაც თენგიზ მირზაშვილი პარიზში მიემგზავრება ექვსი თვით, იქ ელოდება შეხვედრები, გამოფენები, ხელოვნების მექაში ცხოვრების დაუვიწყარი ხანა.

ნინა დღეს გამომცემლობა „მერანში“ შეივლის და კარლო ფაჩულიასთან შერკინებისას მარცხს იწვნევს საჭადრაკო დაფაზე.

ის ექვსი თვეც გაივლის სისხლსავსე ცხოვრებითა და ამაღლვებელი შთაბეჭდილებებით, მისი გამოფენა დიდ ინტერესსა და მოწონებას გამოიწვევს ხელოვნების ჭეშმარიტ დამფასებელთა წრეებში და თენგიზ მირზაშვილი ისევ დაუბრუნდება თბილისს.

ჩამოსვლის მეორე დღესვე ქუჩაში გადაეყრება კარლო ფაჩულიას და ჯერ სალამიც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, შორიდანვე მია-დახებს:

– მაშინ შენ როქის გაკეთების უფლება არა გქონდაო.

– როგორ თუ არა მქონდაო.

– ახლავე გაჩვენებ, წამოდი, დაფა მოვნახოთო“.

2014



## „რაც ნინაპრებმა დაგითოვას მემკვიდრეობად...“

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ 1990 წლის 4 აგვისტოს ნომერში ბატონ თენგიზ გორგაძის წერილი დაიბეჭდა: „ერთი კონფლიქტის ისტორია ანუ რა შეუძლია უკეთურებას“, რომელიც ცნობილი ქართველი მიჭადრაკის ანდრია დადიანის (1850-1910) და რუსი ოსტატის მიხაილ ჩიგორინის (1850-1908) კონფლიქტზე მოგვითხრობს. ბატონ თენგიზს ამაზე ადრეც უსაუბრია ქართველ მკითხველთან, მაგრამ მისი განცხადებით, იგი ამ ისტორიას მთლიანად პირველად ახლა გვიამბობს.

დიახ, ჭირდა ადრე ამ კონფლიქტის ყველა პერიპეტიაზე პრესის ფურცლებიდან საუბარი, ჭირდა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართველი მოჭადრაკე „უბრნყინვალესი თავადი“ (светлейший князь) დადიანი-მინგრელსკი გახლდათ და ჩვენს დროში მას მარტო ეს ტიტულიც კი დანაშაულად ეთვლებოდა; ჭირდა კიდევ იმიტომ, რომ მას ეს კონფლიქტი რუს მოჭადრაკეებთან მოუხდა და ერთ-ერთი მათგანი დიდი ჩიგორინი იყო... მართლაც, ბატონი თენ-

გიზის ადრინდელ პუბლიკაციებს ამ თემაზე სიფრთხილე ატყვია; სიფრთხილე ატყვია ანდრია დადიანის საჭადრაკო ხელოვნების მისეულ შეფასებასაც. ახლა დრო ამ მხრივაც სასიკეთოდ შეიცვალა.

დიდი ამაგი დასდო ბატონმა თენგიზმა ანდრია დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლასა და პოპულარიზაციას. ძვირფასი მასალები მოიძია არქივებში. 1972 წელს „ლელოს“ ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული მისი წიგნი „თამაშობს ანდრია დადიანი“ შესანიშნავი საჩუქარი იყო ჭადრაკის მოყვარულთათვის. მასში ანდრია დადიანის ორ ათეულზე მეტი სრული პარტია და რამდენიმე დაბოლოებაა შესული.

ანდრიას პარტიათა 100 დაბოლოება მის სიცოცხლეშივე გამოიცა წიგნად 1903 წელს კიევში ფრანგულ ენაზე. ტირაჟი ერთი ბეწო იყო – სულ 50 ცალი! ამასაც თენგიზ გიორგაძის წიგნიდან ვგებულობთ.

და, აი, მივადექი იმ უმთავრეს სათქმელს, რამაც ახლა კალამი ამაღებინა ხელში.

ვიტყვი პირდაპირ: ქართულ ენაზე აუცილებლად უნდა გვქონდეს გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის პარტიების რაც შეიძლება სრული კრებული, რამეთუ მისი შემოქმედება ჩვენი კულტურის განუყოფელი და ძვირფასი ნაწილია.

ისე მოხდა, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი ერთბაშად იქცა მსოფლიოს სა-

ჭადრაკო ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრად, ძირითადად ქართველ მოჭადრაკე ქალთა არნა-ხული წარმატებებისა და ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორთა დიდი მიღწევების შედეგად. დავანებოთ თავი ყველასათვის აშკარა სპორტულ წარმატებებს, ამ სფეროში რომ გვაქვს, და ამჯერად საჭადრაკო ხელოვნების სხვა მხარეზე გავამახვილოთ ყურადღება: სულ მოკლე დროის მანძილზე ქართველი ადამიანის გონია ამ დარგში წარუვალი ესთეტიკური ღირებულებანი შექმნა. ქართველი მოჭადრაკეების მრავალი პარტია, ეტიუდი თუ ამოცანა შევიდა საჭადრაკო ხელოვნების „ოქროს ფონდში“... სულ მოკლე დროის განმავლობაში მოხდა ეს ყოველივე, რაც ძალიან უცნაური ჩანს: საჭადრაკო კულტურას ხომ ჩვენში მდიდარი ტრადიციები არა ჰქონია! მე-19 საუკუნეში ერთადერთი ანდრია დადიანი გვყავდა. ასეთ ვითარებაში მით უფრო მოსავლელია მისი ყოველი პარტია, ყოველი კომბინაცია, ყოველი იდეა.

ასე რომ, „ლელოს“ ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული მშვენიერი წიგნის შემდეგ, ვფიქრობ, უფლება გვაქვს ბატონ თენგიზს ვთხოვოთ ქართული ჭადრაკის ამ რაინდის შემოქმედებისადმი მიძღვნილი რაც შეიძლება სრული კრებულის მომზადებაც. მით უმეტეს, რომ უცხოურ საჭადრაკო ლიტერატურაში ანდრია დადიანის მშვენიერი კომბინაციებისადმი ინტერესი დღემდე არ გამქრალა და, ეტყობა, არც

აღარასოდეს გაქრება. ამის დასტურად ორიოდე მაგალითს მოვიყვან.

1986 წელს ბერლინში გამოიცა ალბინ პიოც-შის (Albin Pötzsch) საუცხოო წიგნი „კომბინაციური თამაშის ხალისი“ (უკეთ ვერ ვთარგმნე მისი სახელწოდება – „Spaß am Kombinieren“). ეს წიგნი განსაკუთრებულ ყურადღებას იმით იქცევს, რომ პარტიათა კომენტარები დიდი ლიტერატურული ოსტატობით, გონებამახვილობითა და დახვეწილი იუმორით გამოირჩევა, მოკლედ, მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებივით იკითხება.

წიგნის ერთ თავს „საყვარელი ძველი მელოდიები“ ეწოდება (გვ. 101). ამ თავის შესავალში ვკითხულობთ: „ან იქნებ ჯობდა „საყვარელი ძველი მელოდიების“ ნაცვლად „ძველი უჟმური სიმღერები“ (ჰაინრი სტრიქონია) გვეთქვა? ვგულისხმობთ კომბინაციებსა და მოტივებს, რომლებიც დროდადრო მეორდება ხოლმე საჭადრაკო პრაქტიკაში. „საყვარელი ძველი მელოდიებიო“ – მათზე ასე მხოლოდ გამარჯვებული იტყვის, ხოლო დამარცხებულის ყურს ისინი უსიამოვნო, მჭახე ბგერებად ჩაესმის. მაგრამ წარსულის კარი ხომ ყველასთვის ღიაა! ყველას შეუძლია მიიხედ-მოიხედოს, შთაბეჭდილებები დააგროვოს და მერე ისინი დღევანდელი დღისთვის გამოიყენოს!“.

ამ პარაგრაფის ერთ-ერთ ქვეთავს, სადაც ანდრია დადიანის (ფონ მინგრელიენის) კომბინა-

ცია გვხვდება, ასეთი სათაური აქვს: „მომღიმარი მემკვიდრეები“. იგი იხსნება დიაგრამით, რომელზედაც ნილსონ-ჰელმერცის (შვედეთი, 1976) პარტიის დაბოლოებაა გამოსახული. დიაგრამის შემდეგ მოყვანილია გოეთეს სტრიქონები „ფაუსტიდან“: „რაც წინაპრებმა დაგიტოვეს მემკვიდრეობად, გაითავისე, მიიღე და შენად აქციე“.

შავებით მოთამაშე ჰელმერცი ლამაზი კომბინაციით აშამათებს უროქოდ დარჩენილ თეთრ მეფეს: ლაზიერს წირავს, ამით მოწინააღმდეგის გვირგვინოსანს საჭირო უჯრაზე შეიტყუებს, მერე კუთი და ეტლით ორმაგ ქიშს უცხადებს მას, რასაც შემდეგ სვლაზე შამათი მოჰყვება.

კომენტარებში ვკითხულობთ: „როცა ამ კომბინაციას ახორციელებდა, ნეტა თუ იცოდა ახალგაზრდა შვედმა ოსტატმა, რომ გატკეპნილი ბილიკით მიეშურებოდა გამარჯვებისკენ? ლაზიერის შენირვით მეფის ამგვარი შეტყუება ჯერ კიდევ იმ პარტიაში გვხვდება, რომელიც გერმანელმა ოსტატმა ბერნარდ ჰორვიცმა მოუგო შულტენს ლონდონში 1846 წელს. მას შემდეგ ამ კომბინაციამ სხვა პარტიებშიც იჩინა თავი ნაირგვარი ვარიაციით“.

ამ სიტყვებს მოჰყვება ეს დიაგრამა, რომელზედაც გამოსახულია პოზიცია ანდრია დადიანის (ფონ მინგრელიენის) მიერ 1894 წელს ოდესაში უცნობ მეტოქესთან თეთრებით მოგებული პარტიიდან:



როგორც ვხედავთ, ანდრიას უკვე შეუწირავს მხედარი და პაიკი, ამის საფასურად დიდად გაუსწრია პარტნიორისთვის ფიგურების განვითარებაში და მოწინააღმდეგის მეფეც ცენტრში შეუყოვნებია.

დიაგრამის ქვეშ ვკითხულობთ:

„აი კიდევ ერთი პორვიცისებური შამათი. ჩვენთვის საინტერესო კომბინაციას რომ აქ წინ უვერტიურა უძლვის, ამის მიხვედრა ჩვენს მკითხველს არ გაუჭირდება. თეთრები 4 სვლაში აცხადებენ შამათს“.

„უვერტიურაში“ ავტორი შეტყუების კომბინაციამდე **c7-ზე** მხედრის შენირვას გულისხმობს (**1. ♖c7+!**). ეს „უვერტიურა“ აუცილებელია, ჯერ ერთი, **d** ვერტიკალის გასათავისუფლებლად და, მეორეც, იმიტომ, რომ შავების მიერ მხედრით მხედრის აყვანის შემდეგ (**1. ... ♗:c7**) მათ მეფეს **c7** უჯრაზე გასაქცევი ამოექოლოს.

მხედრის შენირვის მერე ლაზიერის შენირვის ჯერი დგება: **2. ♕d8+! ♖:d8 3. ♦g5++ ♖e8 4. ♔d8x.**

სხვისი არ ვიცი და მე ძალიან მიხარია (მეა-  
მაყება კიდეც!), რომ უცხოელი ავტორის წიგნ-  
ში, **გოეთესა და ჰაინეს** ციტატების გვერდით,  
ვხედავ ამ მშვენიერ „ციტატას“ ქართველი მო-  
ჭადრაკის პარტიიდან.

მე, როგორც ჭადრაკის ქართველ მოყვა-  
რულს, ძალიან მინდა ანდრია დადიანის ეს კომ-  
ბინაცია მისი პარტიების ქართულად გამოცე-  
მულ კრებულშიც ვიხილო!

ძალიან მინდა აგრეთვე, რომ, როცა ბატონი  
თენგიზი მის მიერ დაწერილ ჭადრაკის პირველ  
ქართულ ორიგინალურ სახელმძღვანელოს ხე-  
ლახლა გამოსცემს (იგი უკვე სამჯერ გამოიცა),  
იმ პარაგრაფში, სადაც შეტყუების ტაქტიკურ  
ხერხს განიხილავს, სანიმუშოდ ანდრია დადია-  
ნის ეს მშვენიერი კომბინაციაც მოიხმოს.

აი ჩემს ხელთაა ისევ ბერლინში 1980 წელს  
გამოცემული წიგნი „200 სადებიუტო მახე“,  
გერმანულად თარგმნილი უნგრულიდან, მეშ-  
ვიდე გამოცემა. მისი ავტორი გახლავთ დოქ-  
ტორი *Emil Gelenszei*. აქ, პირც-უფიმცევის  
დაცვისადმი მიძღვნილ თავში, მოყვანილია  
ექვსსვლიანი მინიატურა – მონოსონ-ფაკის  
(Monosson-Faque) პარტია (პარიზი, 1935), სა-  
დაც ძალზე ეფექტური, დიდებულად შენიღ-  
ბული მახე გვხდება: მეხუთე სვლაზე თეთრე-  
ბი მოულოდნელად პაიკში წირავენ კუს და შე-  
წირვის მიღების შემთხვევაში ორ სვლაში იჭე-  
რენ მხედრით შავების ლზიერს. მონოსინ-ფა-

კის ამ პარტიის გაანალიზების შემდეგ ავტორი წერს:

„სვლათა ეს თანამიმდევრობა, რომელიც პირველად დადიანი-დუბრავას (კიევი, 1896) პარტიაში განხორციელდა (**ხომ არ დაგვერქმია მისთვის დადიანის მახე?**), ხოლო 1902 წელს ჰამლიშმა გამოიყენა უცნობი მოჭადრაკის წინააღმდეგ, ჩვენ მიერ ახლახან დემონსტირებული პარიზული კატასტროფის შემდეგ, 1948 წელს დასავლეთ ბერლინში გათამაშებულ მანდელ-ჰალბაუერის პარტიაშიც განმეორდა“ (ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

ანდრია დადიანის ამ მინიატურას ვხვდებით ბერლინშივე 1986 წელს გამოცემულ წიგნშიც, რომელსაც „დაწყევლილი შეცდომები“ ჰქვია და რუსულიდან არის თარგმნილი. მისი ავტორია ანატოლი მაზუკევიჩი. ამ წიგნშიც სადებიუტო მახე-კომბინაციების მდიდარი კოლექციაა თავმოყრილი. აქაც არის განყოფილება „პირც-უფიმცევის დაცვა“, სადაც უკვე დადიანი-დუბრავას ზემოთ ნახსენები პარტიაა დაბეჭდილი ამ მახის საილუტრაციოდ. იქვე ვგებულობთ, რომ ეს კომბინაცია განმეორებულა აგრეთვე სანტასიერ-ბირნის (Santasiere-Byrne, ნიუ-იორკი, 1946) და ტალ-შტრაიხერის (რიგა, 1950) შეხვედრებში. ასე რომ, დადიანის მიერ მოგებული პარტია ყველა ამათზე უხნესია.

ანდრია დადიანი პირველობს ამ მახის გამოყენებით მოგებული პარტიების იმ სიაშიც, რომელიც ჟურნალ „Шахматы“-ის 1966 წლის 24-ე

ნომერშია წარმოდგენილი (გვ. 21. სათაური: „ვინ იქნება შემდეგი?..“): დადიანი-დუბრავას პარტიას მოსდევს ზემოთ დასახელებული ყველა პარტიის ჩამონათვალი, გარდა ტალ-შტრაინერის პარტიისა.

აი ეს ლამაზი მინიატურა:

**1. e4 d6 2. d4 ♜d7 3. ♠c4 g6 4. ♜f3 ♠g7 5. ♣:f7+! ♠:f7**

**6. ♜g5+** და შავები დანებდნენ, რადგან მეფის ნებისმიერ სვლას ან შამათი მოსდევს, ან ლაზიერის დაკარგვა.

მოკლედ, როგორც ვნახეთ, უცხოელი სპეციალისტები ლამის იხვეწებიან, მოდით, ამ მახეს დადიანის სახელი ვუწოდოთო!

ჰოდა, ვუწოდოთ!

ჯერ ჩვენ ვუწოდოთ. ცოტა რეკლამაც მივაშველოთ. მადლობა ღმერთს, თბილისი ამჟამად ის ქალაქია, საიდანაც საჭადრაკო მოდა მთელ მსოფლიოში ვრცელდება.

მე, როგორც ჭადრაკის ქართველ მოყვარულს, ძალიან მინდა ანდრია დადიანის პარტიების ქართულად გამოცემულ კრებულში მისი ეს პარტიაც ვიხილო.

ძალიან მინდა ისიც, რომ, როცა ბატონი თენ-გიზი ზემოთ ნახსენებ ჭადრაკის სახელმძღვანელოს ხელახლა გამოსცემს, პირც-უფიმცევის დაცვის განხილვისას ეს პარტიაც მოიყვანოს, მით უფრო, რომ, როცა იგი ამ დებიუტზე საუბრობს თავის წიგნში, იმასაც აღნიშნავს, მისი თაყვანისმცემელი იყო ანდრია დადიანიცო.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ გოეთეს ზემოთ  
ციტირებული შეგონება: „რაც წინაპრებმა და-  
გიტოვეს მემკვიდრეობად, გაითავისე, მიიღე  
და შენად აქციე“.

ანდრია დადიანმა ჩვენ საამაყო და სასარ-  
გებლო მემკვიდრეობა დაგვიტოვა...

**1990**



## პრიორიტეტი

ერთი გამორჩეული წიგნის მაღაზია იყო თბილისში, „მეგობრობა“ ერქვა (ბოლო დროს მელიქ აზარიანცის სახლის პირველ სართულზე ედო ბინა) – იქ საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში გამოცემული ლიტერატურა იყიდებოდა, ასეთ ქვეყანათა შორის კი ერთი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც იყო, მოგეხსენებათ. ჰოდა, გერმანულენოვანი კლასიკა და გერმანულად თარგმნილი მთელი მსოფლიო ლიტერატურა შემოდიოდა ამ გზით საბჭოთა კავშირში (ასეთი მაღაზია საბჭოეთის სხვა დიდ ქალაქებშიც არსებობდა) – წიგნები, უძვირფასესი თავისი შინაარსით და უიაფესი შესაძენად (ხელოვნურად ფასდაკლებული, როგორც იმუამინდელ „სოციალისტურ“ სისტემას შეეფერებოდა!). ეს იყო სამოთხე გერმანულის მცოდნე წიგნის მოყვარულთათვის!

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამ არხით შემოდინება დაიწყო გერმანულმა და გერმანულად თარგმნილმა საჭადრაკო ლიტერატურამ, რომლის თვალიერება და ზოგი წიგნის შეძენა პირადად ჩემთვის იმითიც იყო საინტერესო, რომ მათში ხშირად ნააწყდებოდით ქართველი

მოჭადრაკის, სამეგრელოს მთავრის დავით და-დიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ვა-ჟის, ანდრია დადიანის კომბინაციებს, რომელ-თათვისაც რუსულ საჭადრაკო ლიტერატურაში გზა დახსული იყო (მათ ავტორს უკხოური გა-მოცემები ხან სახელითა და გვარით იხსენიებდ-ნენ, ხანაც მარტო წოდებით – „ფონ მინგრელი-ენ“ ან „ფონ“-ის გარეშე – „მინგრელიენ“).

საქმე გვაქვს უიშვიათეს, შეიძლება უნიკა-ლურ, მოვლენასთან: იმის გამო, რომ ანდრია და-დიანს (1850-1910), მოჭადრაკესა და ჭადრაკის მეცენატს, კონფლიქტი მოუხდა გამოჩენილ რუს მოჭადრაკე მიხაილ ჩიგორინთან (1850-1908), არამარტო ტაბუ დაედო ქართველი მოჭადრაკის შემოქმედებას რუსეთში, არამედ ხმა დაუყარეს, ანდრია დადიანი პარტნიორებს ფულს უხდიდა და „ჩანყობილ“ კომბინაციებს ახორციელებდაო (როგორმე ხომ უნდა გაემართლებინათ დადია-ნის მომხიბლავი კომბინაციების უგულებელყო-ფა!). სამაგიეროდ ამ ტაბუს გასამართლებლად პერიოდულად ქვეყნდებოდა რუსი ოსტატების მიერ ხელმოწერილი დადიანის სალანძღვი სტა-ტიიები, ისეთი სიძულვილით აღსავსე, რომ გაოც-დები და ეჭვიც შეგეპარება მათი ავტორების გულწრფელობაში! (საბჭოთა ხანაში ანდრია და-დიანი მიუღებელი იმის გამოც შეიქნა, რომ ქარ-თველი მოჭადრაკე ამავდროულად „უბრწყინვა-ლესი თავადი“ (светлейший князь) დადიანი-მი-ნგრელსკი გახლდათ!).

დიდი გარღვევა იყო ამ თვალსაზრისით თენ-გიზ გიორგაძის წიგნის „თამაშობს ანდრია და-დიანი“ გამოცემა „ლელოს“ ბიბლიოთეკის სე-რიით 1972 წელს, რომელშიც ქართველი მოჭად-რაკის ოცი პარტია და რამდენიმე დაბოლოებაა შესული და მისი რეაბილიტაციის მოკრძალე-ბულ მცდელობასაც ნახავთ იქ (რამდენადაც, რა დოზითაც, ეს იმ დროს შესაძლებელი იყო, – ცხადია, მხოლოდ ქართულენოვან სივრცეში!).

იმ გერმანულ წიგნებში, მაღაზია „მეგობრო-ბაში“ რომ ვიძენდი, ანდრია დადიანის ისეთი კომბინაციებიც მინახავს, ჩინებულად კომენტი-რებული უცხოელი ავტორების მიერ, რომლებ-საც თენგიზ გიორგაძის წიგნში ვერ ვპოულობ-დი. გული მწყდებოდა: მე-19 საუკუნეში ერთა-დერთი გამოჩენილი მოჭადრაკე ეს გვყავდა, და საქართველოში, რომელიც მეოცე საუკუნის მე-ორე ნახევარში მსოფლიო საჭადრაკო ცხოვრე-ბის ერთ-ერთი უაქტიურესი მონაწილე და სა-ჭადრაკო „მოდის“ კანონმდებელიც კი გახდა, უცხოეთზე ნაკლებად რატომ უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართველი მოჭადრაკის შემოქმედება!

ამის შესახებ დავწერე კიდეც. მოთმინების ფიალა მაშინ ამევსო, როდესაც უნგრელი ავტო-რის, Emil Gelenszei-ის, წიგნის („200 სადებიუ-ტო მახე“) 1980 წლის მეშვიდე გერმანულ გამო-ცემაში ამოვიკითხე ლამის ხვეწნა იმის გამო, რომ, პირც-უფიმცევის დაცვაში შესაძლებელი ერთი მომხიბლავი კომბინაციისთვის „დადია-

ნის მახე“ გვეწოდებინა, ვინაიდან ამ მახეში პირ-ველად მან გააბა მონინააღმდეგე (ვ. დუბრავა) 1896 წელს კიევში ნათამაშებ პარტიაში (1. **e4 d6**

**2. d4 ♜d7 3. ♖c4 g6 4. ♜f3 ♖g7 5. ♖:f7+! ♖:f7 6.**

**¤g5+ ♖e8 7. ♜e6** და ლაზიერი დაჭერილია). მე-რე კი იგივე კომბინაცია სხვებმაც მრავალგზის გაიმეორეს, მათ შორის ყმანვილმა მიხაილ ტალ-მაც 1950 წელს. სამართლიანობა მოითხოვს ით-ქვას, რომ საბჭოთა ხანაში სწორედ მიხაილ ტა-ლის რედაქტორობით რიგაში გამომავალმა სა-ჭადრაკო უურნალმა („შახმატი“) 1966 წლის 24-ე ნომერში (გვ. 21) გაბედა და ყრუდ, მაგრამ მაინც აღიარა ანდრია დადიანის პრიორიტეტი: „მას-ტერ კურიოზოვის“ ფსევდონიმით გამოქვეყნე-ბულ სტატიაში „სადებიუტო თავგადასავლები“, ქვესათაურით „ვინ იქნება შემდეგი?“, ნარმოდ-გენილია სწორედ ეს მახე და ჩამოთვლილია მი-სი გამოყენებით მოგებული ხუთი პარტია, რო-მელთა შორის პირველი დადიანი-დუბრავაა. ამ პუბლიკაციიდან ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერ-თხელ გაბმულან ამავე მახეში შავები მინსკში 1968 წელს გათამაშებულ ლუზგინ-იოფეს პარ-ტიაში. ის შეგიძლიათ იხილოთ 1978 წელს სწო-რედ მინსკში აბრამ როიზმანის რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „საჭადრაკო მინიატურები“, ოლონდ აქ არც ა. დადიანი და არც სხვა წინა-მორბედნი ნახსენები არ არიან.

პრიორიტეტებს, როგორც ყველგან, ჭადრაკ-შიც დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ სასარგებლო,

დამახსოვრების ღირსი პრიორიტეტი დაფიქ-  
სირდა, მისი ავტორი უკვდავი ხდება, სხვა დამ-  
სახურება რომ არც არაფერი მოეპოვებოდეს ამ  
სფეროში. ვის ეცოდინებოდა დღეს ლეგალის  
სახელი, რომ არა პირველად მის მიერ განხორ-  
ციელებული სადებიუტო კომბინაცია, „ლეგა-  
ლის შამათის“ სახელწოდებით ცნობილი (ამ მო-  
ჭადრაკის სხვა პარტია არც შემორჩენილა).

ანდრია დადიანის პრიორიტეტი აქ სრული-  
ად უეჭველია, ამიტომ – „**დადიანის მახე ხომ**  
**არ გვეწოდებინა მისთვისო**“, – კითხულობს  
უნგრელი ავტორი.

ჰოდა, ვუწოდოთ-მეთქი, ვწერდი იმ სტატია-  
ში, რომელიც გაზეთ „მშობლიურ კერაში“ დაი-  
ბეჭდა 1990 წელს, და წერილს ასე ვამთავრებ-  
დი: „ჯერ ჩვენ ვუწოდოთ. ცოტა რეკლამაც მი-  
ვაშველოთ. მადლობა ღმერთს, თბილისი ამჟა-  
მად ის ქალაქია, საიდანაც საჭადრაკო მოდა  
მთელ მსოფლიოში ვრცელდება. მე, როგორც  
ჭადრაკის ქართველ მოყვარულს, ძალიან მინდა  
ანდრია დადიანის პარტიების ქართულად გამო-  
ცემულ კრებულში მისი ეს პარტიაც ვიხილო“.

და აი, შარშან, 2013 წელს, გამომცემლობა  
„საქართველოს მაცნემ“ დასტამბა დავით გურ-  
გენიძის დიდი (ა4) ფორმატის სამასზე მეტი  
გვერდის შემცველი, უხვად ილუსტირირებული  
წიგნი-ალბომი სათაურით „ანდრია დადიანი –  
ცილისწამებიდან ჭეშმარიტებამდე“, რომელშიც  
გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის 338 (სამას

ოცდათვრამეტი!) პარტია, პარტიის დაბოლოება და საჭადრაკო ამოცანაა შესული! უნიკალური მასალის მოგროვებაში ბატონ დავით გურგენიძეს, საერთაშორისო დიდოსტატს საჭადრაკო კომპოზიციაში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში, ჭადრაკის სამყაროში თავისი დიდი ავტორიტეტიც წაშველებია. იგი წერს: „...გადავწყვიტე ანდრიას ცხოვრებისა და საჭადრაკო მოღვაწეობის შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაცია შემეგროვებინა. ძალიან ბევრ კითხვაზე იყო საჭირო პასუხის გაცემა. დადიანის პიროვნებას რამდენიმე უცხოელი ისტორიკოსიც იკვლევდა. როდესაც მათ შეიტყვეს ჩემი განზრახვა, დახმარების ხელი გამომიწოდეს და სრულიად უანგაროდ გამომიგზავნეს უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა“.

ეს წიგნი დააინტერესებს და გამოადგება არამარტო მოქადრაკეებსა და ჭადრაკის მოყვარულებს, არამედ დიდ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებსაც, კულტუროლოგებსაც – იმდენი ძვირფასი ფაქტი და მოვლენა, ფოტო თუ ნახატია მასში წარმოდგენილ-გაანალიზებული, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი თუ უცნობი იმდენი ადამიანის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებია მოთხოვობილი, იმდენი პიროვნებათაშორისი კავშირურთიერთობაა შესწავლილ-გამოკვლეული და აღდგენილი, წინამორბედ მკვლევართა იმდენი ნებსითი თუ უნებლიერ შეცდომაა გასწორებული აქ!

მოძიებულია რამდენიმე მეტად საინტერესო პარალელი ანდრია დადიანის კომბინაციებსა და სხვა გამოჩენილი მოჭადრაკეების მიერ განხორციელებულ კომბინაციებს შორის, რაც საუკეთესოდ მეტყველებს ქართველი მოჭადრაკის ტალანტზე. აი, მაგალითად, ერთობ საგულისხმო პარალელი: რობერტ ფიშერს თავის წიგნში „ჩემი 60 სამახსოვრო პარტია“ რ. ბირნთან შავებით მოგებული პარტიის (აშშ ჩემპიონატი, 1963-64) ანალიზისას მოჰყავს მის მიერ ჩაფიქრებული ლამაზი კომბინაცია ორგზისი გატყუების თემაზე, რომელიც „კულისებს მიღმა დარჩა“ იმის გამო, რომ მონინააღმდეგე „დროულად“ დანებდა. ანდრია დადიანს ანალოგიური კომბინაცია 1902 წელს განუხორციელებია კოგანთან თეთრებით მოგებულ პარტიაში (სამსვლაში შამათი კუსა და ეტლის შენირვით).

1920 წელს მსოფლიოს მეორე ოფიციალურ-მა ჩემპიონმა, ემანუელ ლასკერმა, უცნობ მეტოქესთან ეფექტური კომბინაცია განახორციელა ეტლისა და ლაზიერის შენირვით, რასაც პაიკის სუსტ ფიგურად (მხედრად) გაცოცხლება მოჰყვა. დავით გურგენიძის სიტყვით, „შემდგომში ლასკერის ეს პოზიცია სამაგალითო გახდა. ითვლებოდა, რომ მან პირველმა მიაგნო ამ ლამაზ ჩანაფიქრს“. ანალოგიური კომბინაცია ანდრია დადიანს ლასკერზე ადრე, მე-20 საუკუნის დამდეგს განუხორციელებია: იგი შესულია ანდრია დადიანის კომბინაციათა კრებულ-

ში, რომელიც 1903 წელს კიევში გამოიცა ფრანგულ ენაზე. თუმცა დავით გურგენიძემ ა. დადიანისა და ე. ლასკერის ამ კომბინაციათა არქეტიპს მე-19 საუკუნის ამერიკული გაზეთის ფურცლებზე მიაკვლია: პირველად ამგვარი რამ ვინმე ოლივერ ლაბონეს „ჩაუდენია“.

ცოტა არ იყოს, სათუოა პარალელი რობერტ ფიშერის მიერ თეთრებით პალ ბენკოს წინააღმდეგ განხორციელებულ კომბინაციასა (აშშ ჩემპიონატი, 1963-64) და იმ კომბინაციას შორის, ანდრია დადიანის მიერ სოფ. აბასთუმანში უცნობ მოჭადრაკესთან მოგებულ პარტიაში რომ გვხვდება. მართალია, ა. დადიანის კომბინაციის პირველი წყნარი სვლა – ეტლის შენირვა (ეტლი f1-f6) – ზუსტად მეორდება ფიშერთანაც და მსგავსება თავიდან გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ეს კომბინაციები იდეის მხრივ ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ფიშერის კომბინაციის იდეა გატყუება და ბლოკირებაა, დადიანის კომბინაციისა კი – გატყუება და დაცვის განადგურება; ეტლის შენირვის მიღების შემთხვევაში ფიშერთან თეთრუჯრედოვანი კუებმება გადამწყვეტ იერიშში, დადიანთან – შავუჯრედოვანი კუ; გარდა ამისა, დადიანთან მოგების სხვა გზაც არსებობს.

(ეტლის ეს შენირვა ფიშერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სვლათაგანია. იგი შეამკეს ეპითეტით „ცეცხლოვანი“, „ნაპერნკლების მფრქვეველი“ (scintillating). პოზიცია, რომელშიც ეს

სვლა გაკეთდა, გამოსახულია ცენტრალური აფ-  
რიკის რესპუბლიკაში გამოშვებულ ერთ-ერთ  
საფოსტო მარკაზე. ერთ ვებგვერდზე\* კი, რომ-  
ლის სათაურია „ვაჭრობა ბირჟაზე – არასტან-  
დარტული ხედვა“ („Торговля на бирже – не-  
стандартный взгляд“), მარკეტინგის შემსწავ-  
ლელთ ფიშერის ამ კომპინაციის მეშვეობით გა-  
ნუმარტავენ მსხვილ ინვესტორთა ისეთი „სვლე-  
ბის“ არსს, რომლებიც თავიდან მათთვის თით-  
ქოსდა წამგებიანი ჩანს, მაგრამ „შემდეგ ირკვე-  
ვა, რომ [ამ „სვლის“ შედეგად] წვრილი და საშუ-  
ალო სპეციულანტების პოზიცია უიმედო ხდება“).

რაც შეეხება მიხაილ ჩიგორინსა და ანდრია  
დადიანს შორის კონფლიქტს, დავით გურგენი-  
ძე მათი ურთიერთობის ისტორიის დეტალუ-  
რად შესწავლის შემდეგ მიხაილ ჩიგორინის გა-  
ნაწყენების ორ მიზეზს ასახელებს. ერთი ეს  
გახლავთ: როგორც ჩანს, ჩიგორინი უკმაყოფი-  
ლო დარჩა იმით, რომ მონტე-კარლოს 1902  
წლის ტურნირში ლამაზი პარტიისთვის დაწესე-  
ბული პრიზი, 500 ფრანკი, ანდრია დადიანმა მე-  
ისონს გადასცა იანოვსკისთან მოგებული პარ-  
ტიისთვის და არა მას ტარაშთან გამარჯვების-  
თვის (ამ პარტიამ რუს ოსტატს მხოლოდ 100  
ფრანკი შესძინა როტშილდის პრიზებიდან).  
სხვა მიზეზი ჩიგორინის განაწყენებისა, რამაც  
ანდრია დადიანის მიმართ წამოწყებული მისი

---

\*<http://subscribe.ru/archive/economics.school.tsarikhin/200809/29190208.html>

პროვოკაციები გამოიწვია, წიგნის ავტორის აზ-რით, შტაინიცისადმი ქართველი მოჭადრაკის კეთილგანწყობა იყო, რაც დამაჯერებელი ჩანს.

ვილჰელმ შტაინიცმა (1836-1900), ჭადრაკში მსოფლიოს პირველმა ოფიციალურმა ჩემპიონმა და ერთ-ერთმა უგამოჩენილესმა თეორეტიკოსმა, რომელმაც რევოლუცია მოახდინა ჭადრაკის თეორიაში, მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ორჯერ დაამარცხა ჩიგორინი (1889 და 1892 წლებში). ბატონი დავითის ამ წიგნში შტაინიცისა და დადიანის ურთიერთპატივისცემის მრავალი ფაქტია წარმოდგენილი, მათ შორის შტაინიცის (აგრეთვე ემანუელ ლასკერის, მსოფლიოს მეორე ოფიციალური ჩემპიონის) წერილები ანდრიასადმი მიწერილი (მანამდე ქართული ჭადრაკის ისტორიისთვის უძვირფასესი ეს დოკუმენტები, ზუგდიდის მუზეუმში დაცული, თენგიზ გიორგაძემ გამოაქვეყნა თავის ზემოთ დასახელებულ წიგნში).

მსოფლიოს პირველი ჩემპიონისა და ანდრია დადიანის ურთიერთობის თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა ფაქტი, რომელსაც დავით გურგენიძემ მიაკვლია: იმ პირთა და ორგანიზაციათა ჩამონათვალში, რომელთათვისაც ვილჰელმ შტაინიცს პატივისცემის ნიშნად მიუძღვნია 1900 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გამოცემული თავისი ბროშურა „ჩემი პასუხი ანტისემიტებს ვენაში და ყველგან, სადაც ისინი არიან“, საპატიო ადგილი უჭირავს

ანდრია დადიანსაც (სია ბეჭდური სახით ერთ-ვის ბროშურას). ვილჰელმ შტაინიცი თავის საჭადრაკო უურნალში, რომელსაც ნიუ-იორკში გამოსცემდა, აგრეთვე ამერიკული და ევროპული უურნალ-გაზეთების საჭადრაკო განყოფილებებში თავისი კომენტარებით აქვეყნებდა ანდრიას პარტიებს (ავსტრიელი ებრაელი ვილჰელმ შტაინიცი 1883 წლიდან აშშ-ში ცხოვრობდა). აი ანდრია დადიანის ტალანტის მისეული შეფასებები, რომელთაც დავით გურგენიძის წიგნში ვეცნობით: „დადიანის თამაშში ჩვენ კვლავ ვხედავთ პირველი რანგის გაბედულ და მახვილ გენიას“, „ბრწყინვალე და ღრმა კომბინაციის დასაწყისი“ (ეს შტაინიცის კომენტარია ა. დადიანის მე-14 სვლაზე ა. სმიტენთან შავებით მოგებულ პარტიაში) და სხვ.

ეს შეფასებები მეტ წონას შეიძენს, თუ გვეცოდინება, რომ მათ ავტორს ასე ახასიათებენ: „მისი ჯიუტი და მბრძანებლური ხასიათი ვერავითარ კომპრომისს ვერ ეგუებოდა, მისი ავტორიტარული ფისიკა „კარგი ტონის“ ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა. რისი თქმაც სურდა, იმას ის მთელი ხმით ამბობდა, თავაზიანობის პროფესიული ნორმების უგულებელყოფით“ (ვ. ი. ლინდერი, ი. მ. ლინდერი, „ვილჰელმ შტაინიცი: ცხოვრება და თამაში“. მ., 2005, გვ. 255. რუს. ენაზე).

გერმანულ ვიკიპედიაში, სადაც ლირსეულად არის შექებული ანდრია დადიანი-მოჭადრაკე, ასეთი რამეც ამოვიკითხე: „არსებობს აზრი,

რომ მისი პარტიები მთლიანად ან ნაწილობრივ კონსტრუირებულია (ანუ შეთხზულია. – ლ. ბ.). იმასაც ამბობენ, რომ სახელოვან ოსტატებთან თამაშისას წინასწარ უთანხმებდა მათ პარტიების შედეგებს (ანუ სახელოვან ოსტატებთან „ჩაწყობილ“ პარტიებს გაითამაშებდა ხოლმე. – ლ. ბ.). მაგრამ ჯერ კიდევ მისი თანამედროვეების მიერ გამოთქმული ეს ბრალდებები დღემდე გამოუძიებელია“.

ეს ცილისმნამებლური ბრალდებები, რუსი მოჭადრაკეების ფ. დუბ-ხოტომირსკის, ვ. პანოვისა და სხვათა მიერ შეთხზული, დავით გურგენიძის ნაშრომში დამაჯერებლად არის გაქარწყლებული მრავალი არგუმენტით. შესავალშივე ვკითხულობთ:

„საინტერესოა, დადიანის ოპონენტები ვისკენ გაიშვერენ თითს, ვინ იღებდა ფულს, რომ ლამაზად წაეგო ა. დადიან-მინგრელსკისთან. შეიძლება ეს ყოფილიყო მოსკოვის პირველი ჩემპიონი, კონსერვატორიის პროფესორი ალექსანდრ სოლოვცოვი? ან მდიდარი უნგრელი ბანკირი, პარიზის 1867 წლის ტურნირის გამარჯვებული იგნაციო კოლიში? ან იქნებ ცნობილი იტალიელი მაესტრო სერაფინო დიუბუა? ილია შუმოვი უბრალოდ აღარ ვახსენე. არადა თითოეულ მათგანს დადიანთან ორი ან მეტი პარტია აქვს წაგებული. დადიანის მეტოქეთა შორის ვხვდებით რუსეთის იმპერიის უმაღლესი დონის ჩინოვნიკებს: საიმპერატორო კარის მინისტრს

ალექსანდრ ადელბერგს, განათლების მინისტრს ანდრეი საბუროვსა და სხვებს. [...] ყველზე ხელ-მოკლე მათ შორის, ვინც ანდრიასთან დამარცხ-და, იყო ფ. დუზ-ხოტომირსკი – პიროვნება, რო-მელმაც პანოვთან ერთად უკადრისი იკადრა, მაგრამ, მისი მტკიცებითაც კი, ის უფრო ხშირად იგებდა დადიანთან, ვიდრე აგებდა“.

მიხაილ ჩიგორინის გარდაცვალების მომ-დევნო (1909) წელს მისი ხსოვნისადმი მიძღვნი-ლი დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა სანკტ-პეტერბურგში. ანდრია დადიანს სილა-მაზის ორი პრიზი დაუწესებია მისი მონაწილეე-ბისთვის, ოლონდ (სრულიად გასაგები მიზეზის გამო) არაოფიციალურად, ტურნირის საორგა-ნიზაციო კომიტეტის გვერდის ავლით. კეთილ-შობილებისა და ღირსების იშვიათ ნიმუშს უწო-დებს დავით გურგენიძე ანდრია დადიანის ამ ჟესტს, მიხაილ ჩიგორინის დიდი ტალანტისად-მი პატივისცემის გამომხატველს, ჩიგორინისა, ვინაც, სარეცენზიონ წიგნის ავტორის სიტყვით, „აუგისა და ცილისნამების დიდი დოზა დახარ-ჯა დადიანზე“.

\* \* \*

და ისევ „დადიანის მახეს“ დავუბრუნდეთ.

ეტყობა, ბოლო დროს მაინც რაღაც შეიცვა-ლა ანდრია დადიანისადმი რუსების დამოკიდე-ბულებაში. უურნალი „64 – შახმატნოე ობოზრე-ნიე“ 2010 წელს მცირე პუბლიკაციით გამოხმა-

ურებია ქართველი მოჭადრაკის დაბადებიდან 160 წელს, უნოდებიათ მისთვის „რევოლუციამ-დელი რუსეთის დიდი საჭადრაკო მეცენატი“, დაუბეჭდავთ ვ. დუბრავასთან მოგებული ზე-მოთ მოყვანილი მისი პარტია, ულიარებიათ მი-სი პრიორიტეტი და იქვე სხვა ცხრა პარტიაც დაუსახელებიათ, რომლებშიც „დადიანის მახე“ გამეორებულა; მათგან უძველესი დადიანი-დუბრავას პარტიიდან სამი წლის შემდეგ არის ნათამაშები (1899 წელს), უახლესი კი – 94 წლის შემდეგ (1990 წელს). ამ ამბავს სარეცენზიო წიგნის ავტორისთვის ქართული ანდაზა გაუხ-სენებია: „ნყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშა-ნი დარჩებიანო“.

**P.S.** პირველ თავში ვკითხულობთ: „ანდრიას ჭადრაკის თამაში დედამ ასწავლა. 14 წლის ყმაწვილს **ჰამბურგში** ცნობილი ინგლისელი მოჭადრაკე თომას ბერნსი ამეცადინებდა“. ნაცვლად **ჰამბურგისა** (რომელიც ამ ნაშრომში ხშირად იხსენიება) უნდა იყოს **ჰომბურგი (ბად ჰომბურგი)** – რუსი არისტოკრატიის საყვარე-ლი კურორტი გერმანიაში, ჰესენის მხარეში. იქ ისვენებდა სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი ოჯახის წევრებთან ერთად.

2014

# დანართი

## **შოთა ინწკირველთან ერთად**

შოთა ინწკირველი (1929-1994), შესანიშნავი მოქადარაკე და საქართველოსა და სსრკ დამსახურებელი მწვრთნელი, დიდოსტატის ზურაბ აზმაიფარაშვილის, დავით გურგენიძის, რომან ჯინჯიხაშვილისა და სხვათა მასწავლებელი, პირადად 1991 წელს გავიცანი. ჩემი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „მშობლიურ კერაში“ რამდენიმე საჭადრაკო ნოველა რომ გამოვაქვეყნე, იგი რედაქციაში მოვიდა და თანამშრომლობა შემოგვთავაზა. სიხარულით დავთანხმდით და დავბეჭდეთ მისი წერილები, რომლებშიც ბატონი შოთა მოგვითხრობდა თავისი მშობლიური ქალაქის, მისი სიჭაბუკისდროინდელი ოზურგეთის, საჭადრაკო ცხოვრებაზე, ახალგაზრდა ქართველ მოქადრაკეთა წარმატებებზე... მერე ისე დავახლოვდით, რომ გადავწყვიტეთ ერთობლივად დაგვეწერა წიგნი სათაურით „მწერალი და ჭადრაკი“, რომელშიც მკითხველს ქართველი მწერლების ჭადრაკით გატაცების შესახებ მოვუთხრობდით. დავწე-

რეთ კიდევაც სამი წერილი და წინასწარ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნეთ ბატონ სოსო სიგუას რედაქტორობისას. მეტი ვერ მოვასწარით, დროება აირია, სამოქალაქო ომი დაინყო, ჭადრაკისთვის აღარავის ეცალა... მალე ბატონი შოთაც გარდაიცვალა.

გთავაზოთ ერთობლივად დაწერილ და „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ჩვენს წერილებს. საგაზეთო პუბლიკაციებს ახლდა ლოგო, რომელიც მხატვარმა კარლო ფარულიამ დახატა, თვითონაც ჩინებულმა მოჭადრაკემ.

## ოთარ ჯინორია

ბევრმა ალბათ არც კი იცის, რომ ცნობილი ლიტერატორი, გერმანისტი, მთარგმნელი ოთარ ჯინორია ძლიერი მოჭადრაკეც იყო. მას ომამდე ისეთი დონის ტურნირებშიც კი უთამაშია, რომლებშიც გამოჩენილი მოჭადრაკე არჩილ ებრალიძე მონაწილეობდა. მისი რამდენიმე პარტია დაბეჭდილიც არის რესპუბლიკურ პრესაში.

ოთარ ჯინორია იყო ამავე დროს ნიჭიერი საჭადრაკო კომპოზიტორიც. 30-იან წლებში ხშირად ქვეყნდებოდა მის მიერ შედგენილი ამოცანები.

გთავაზობთ ოთარ ჯინორიას მიერ თბილის 1925 წლის ჩემპიონთან, ვართან ალამალიანთან, 1937 წელს მოგებული პარტიის ფინალურ პოზიციას. ალამალიანმა ადრე ფიგურა შენირა მეფეზე შეტევისათვის, ოთარ ჯინორიამ მოიგერია შეტევა და კონტრშეტევაზე გადავიდა.

## აღამალიანი



## ჯინორია

ამ პოზიციაში ვართან აღამალიანი დანებდა. ოთარ ჯინორიას უკანასკნელი სვლა იყო 50.  $Ee4:f5+$ ! (ლაზიერმა აიყვანა პაიკი). შავი ეტლი დაბმულია. საზოგადოდ, დაბმა მოტივია, ესე იგი, მიზეზი, აქ კი, შეიძლება ითქვას, რომ დაბმა თემად, ანუ ფინალური პოზიციის შინაარსად გვევლინება. გთავაზობთ აგრეთვე ოთარ ჯინორიას ერთ-ერთ საინტერესო ამოცანას.

## ოთარ ჯინორია (1931)



## შამათი 2 სვლაში

ამოცანა შესრულებულია ანგლო-ამერიკული სკოლის სტილში.

1991, ივლისი

## მამა-შვილი ჭადრაკის დაფასთან

გამოჩენილ პროზაიკოსს, დრამატურგს, მთარგმნელს, ესეისტს ოთარ ჩხეიძეს, ვითარცა მწერალს, მკითხველთა წინაშე წარდგენა არ ესაჭიროება. მაგრამ ალბათ ბევრმა არაფერი იცის ჭადრაკით მისი დიდი გატაცების შესახებ. ბატონმა ოთარმა ჭადრაკის თამაში მოწაფეობისას ისწავლა. ჭადრაკის კომპლექტი მისთვის უჩუქებია ვანო ტატიშვილს, ყოფილი პოლიტკატორლელის, მწერლის, მთარგმნელის, პედაგოგის ერეკლე ტატიშვილის, ძმას. იმ დროს ოთარ ჩხეიძე ხშირად ეთამაშებოდა თავის უახლოეს მეგობარს მიხეილ კეკელიძეს (შემდგომ კალათბურთის ცნობილ მწვრთნელს). მოგვიანებით მისი პარტნიორები იყვნენ ლეო ქიაჩელი, დავით გაჩეჩილაძე, ვახტანგ ჭელიძე, გიორგი შატბერაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, ვახტანგ ბერუკელი, ლილი წეროძე... ჭადრაკის თემამ მწერლის მხატვრულ შემოქმედებაშიც იჩინა თავი. კერძოდ, ჭადრაკი-სადმი მიძღვნილი პასაუები გვხვდება მის რომანში „კვერნაქი“ და პიესაში „ძველი რომანსები“. ცნობილ მწვრთნელთან, ვახტანგ ქარსელაძეს-

თან, შეხვედრასა და საუბარს მიუძღვნა მწერალ-მა მშვენიერი ეტიუდი „იმ ერთ საღამოს“.

ჭადრაკის სიყვარული ბატონმა ოთარმა თავის ვაჟს, როსტომ ჩხეიძესაც, გადასდო. როსტომი, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, დღეს უკვე ცნობილი და დიდად ნაყოფიერი მწერალი გახლავთ – კრიტიკოსი, მთარგმნელი, ლიტერატურის მკვლევარი, ავტორი ბიოგრაფიული რომანისა „ბედი პავლე ინგოროვასი“.

დროდადრო მამა-შვილი ხანგრძლივ, 24 პარტიისაგან შემდგარ, მატჩებში ერკინებოდნენ ერთმანეთს. თავდაპირველად, ბუნებრივია, უპირატესობა მამის მხარეზე იყო.

გთავაზობთ მათ შორის 1973 წელს გათამა-შებული ერთ-ერთი პარტიის დასკვნით პოზიციას. შავებით ოთარ ჩხეიძე თამაშობს.



ფინალურ მდგომარეობას ეტყობა, რომ მამამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაძლია შვილის წინააღმდეგობა. აქ თეთრები დანებდნენ.

ამ დროს როსტომი უკვე სერიოზულად მე-ცადინეობდა ჭადრაკში და მამას სულ უფრო და უფრო უჭირდა მასთან თამაში. მომდევნო დი-აგრამაზე გამოსახული პოზიცია მამა-შვილს შორის 1974 წელს გათამაშებულ პარტიაში შე-იქმნა. თეთრებით თამაშობს როსტომი.



თვალში საცემია შავების მეფის ფრთის სი-სუსტე და, ზოგადად, ფიგურების განვითა-რებაში ჩამორჩენა, რაც ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე თეთრების რიცხობრივ უპირატესობას განაპირობებს. 15 ნლის ყმაწვილი მეფეზე კომ-ბინაციური შეტევით ახდენს ამ უპირატესობის რეალიზებას და ფორსირებულად იგებს:

**1. ♖e1 ♕c5 2. ♗e5!!**

ამ შეწირვით იხსნება ხაზი, ვერტიკალი f, რა-საც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეფეზე შეტევისთვის.

**2. ... fe 3. ♕h8+! ♔f7 4. ♖f1+ ♔g6 5. ♕g8+ ♔h5**

შავების მატერიალური უპირატესობის მიუხედავად, თეთრებს მეფის ფრთაზე (ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე) რიცხობრივი უპირატესობა აქვთ. შეგახსენებთ ნაპოლეონ ბონაპარტის უმნიშვნელოვანეს მიგნებას: „სამხედრო ხელოვნების საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ მონინააღმდეგეზე ძლიერი იყო საჭირო დროსა და ადგილზე“.

### **6. ♖f7 ♦g5 7. ♕h7+ ♦h6 8. ♖f5+!!**

ამ, ერთი შეხედვით, უცნაური შენირვის მიზანია დაასუსტოს თეთრი უჯრები საშამათო ოპერაციის განსახორციელებლად.

### **8. ... ♦:f5 9. ♕:f5+ ♦g5 10. ♕h7+ ♦h6 11. ♕f7+**

აյ თავს იჩენს კიდევ ერთი დეტალი – მხედრით მეფესა და ლაზიერზე ჩანგლის მუქარა, რაც ზღუდავს შავი მეფის მოძრავუნარიანობას. ჩანგლის ეს მუქარა ბოლომდე კულისებში რჩება, მაგრამ გადამწყვეტ გავლენას ახდენს პარტიის ბედზე. აი ასეთ როლს ასრულებს თითქოსდა ბრძოლის ასპარეზს დაშორებული, „უქმად“ მდგარი მხედარი.

### **11. ... ♜h4 12. ♜g3+ ♜g4 13. ♕e4+! ♦g5 14. h3+! ♜f3 15. ♕e4+ ♜:g3 16. ♕g4+**

და შავებმა ფარ-ხმალი დაყარეს, რადგან გარდუვალია ლაზიერის დაკარგვა.

იმავე 1974 წელს როსტომმა ჭაბუკთა შორის თბილისის პირველობის ნახევარფინალში პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. ამ ტურნირში მან საუცხოო პარტია მოუგო პირველი ექსპე-

რიმენტული სკოლის მოსწავლეს იგორ კუზმინს, „თეთრი ეტლის“ ორგზის საკავშირო ჩემპიონს გუნდურ პირველობაში, რომელიც 1977 წელს საქართველოს ჩემპიონიც გახდა ჭაბუკთა შორის.



თეთრებით როსტომ ჩხეიძე თამაშობს. დიაგრამაზე გამოსახულ პოზიციაში მისი ბოლო სვლა იყო **19. |f1–f6!!\***

შენირვათა მთელი ფოიერვერკით მოვედით ამ რთულ და ერთობ უჩვეულო პოზიციამდე. თეთრებმა მეფეზე შეტევისათვის უკვე შენირეს ეტლი და კუ. ახლა მეორე ეტლი იწირება. ეს ხდება **g5** პაიკის „კეთილდღეობისთვის“ – ეტლი „მკერდით გადაეფარა“ პაიკს, რომელსაც შავი კუ განადგურებით ემუქრებოდა, რადგან ეს პაიკი შავებს დიდ უსიამოვნებას უმზადებს (მუქარაა **Eh5, g6, Eh7x**).

---

\* შეადარეთ ანდრია დადიანისა და რობერტ ფიშერის ასეთსავე სვლებს, რომლებზეც საუბარი გვაქვს ამ წიგნის 164-ე გვერდზე.

გარდა ამისა, ეტლი საგრძნობლად აქვეითებს შავების თავდაცვითუნარიანობას (არ შეიძლება ეტლის კუთი აყვანა ორ სვლაში შამათის გამო).

თეთრები ამ პარტიაში ახორციელებენ არა კომბინაციას, არამედ რეალურ შეწირვას (შპილ-მანის ტერმინია), რომლის ბოლომდე გათვლა შეუძლებელია, ამიტომ იგი ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან. როსტომ ჩხეიძემ, ძველი რომანტიკოსი ოსტატების მსგავსად, დებიუტი-დანვე გამბიტურ სტილში წარმართა ბრძოლა. მისთვის საზოგადოდ დამახასიათებელია თამაშის ასეთი მანერა – ამ დროს იგი თავის სტიქია-ში გრძნობს თავს.

### 19. ... ♠c8 20. ♜d5! ; a7?

ჯობდა 20. ... ♣:e6, რთული, გაურკვეველი თამაშის ასეთი მანერა – ამ დროს იგი თავის სტიქია-ში გრძნობს თავს.

### 21. ♜f4! ♣:e6 22. ♜h5!! ♣:f6 23. ♜:f6+

შავები დანებდნენ მომდევნო სვლაზე შამათის გამო.

ფინალური პოზიციაც დიაგრამას იმსახურებს:



შთამბეჭდავია მე-20 სვლაზე მხედრის გა-  
დამწყვეტი ძალით ჩაბმა ბრძოლაში, რომლის  
ოთხსვლიანი რეიდი მეტოქის მეფის დაშამათე-  
ბით დაგვირგვინდა. მკითხველის ყურადღებას  
მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ თეთრებმა  
მხოლოდ და მხოლოდ შამათისთვის აუცილებე-  
ლი ორადორი ფიგურა დაიტოვეს, სხვა ყველა-  
ფერი გაწირეს. ამით ეს პარტია გენიალური  
ადოლფ ანდერსენის „უკვდავ პარტიას“ მოგვა-  
გონებს.

ამ პარტიის მოგებიდან ორი წლის შემდეგ  
როსტომ ჩხეიძე ოსტატობის კანდიდატი გახდა.

**1991, სექტემბერი**

## პოეტი – მოჭადრაკე

„ბევრი შეცდომა მქონდა ჭადრაკში, ვიყავი სწრაფი, მაკლდა სიდინჯე. მე რამდენჯერაც შამათს გადავრჩი, გადავარჩინე სხვებიც იმდენჯერ“ – ამბობს პოეტი და მოჭადრაკე ჯემალ ინჯია ლექსში „მცდარი სვლები“.

პირველთანრიგოსანი ჯემალ ინჯია სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკური მასშტაბის ტურნირებში. უთამაშია საქართველოს ჩემპიონატშიც (სოხუმი, 1969).

აშკარად გამოკვეთილი კომბინაციური სტილის მოჭადრაკეა, რომანტიკოსი. ჭადრაკში უპირველეს ყოვლისა ესთეტიკურ საწყისს აფასებს.

გთავაზობთ მისი საჭადრაკო შემოქმედებიდან ორ ლამაზ ფრაგმენტს.

1.

საქართველოს ჩემპიონატი. სოხუმი, 1969:

ინჯია



თოთლაძე

მეფეზე შეტევისათვის შავებმა მე-17 სვლაზე კუ შეწირეს და მოარღვიეს თეთრი მეფის საფარი. თეთრებს არ მიეცათ ფიგურათა ნორმალური მობილიზების საშუალება. მათი ძალები დაქსაქსულია და, ბუნებრივია, არ არიან კოორდინირებული, რასაც მშვენივრად იყენებს ჯემალ ინჯია და ლამაზი კომბინაციით აგვირგვინებს ბრძოლას.

**25. ... ♘:c2!**

ხორციელდება დაცვის მოსპობის იდეა. თუ ახლა 26. ♘:c2, მაშინ 26. ... ♕:a1+! (გათრევის იდეა) 27. ♘:a1 ♜b1x.

ეს ვარიანტი გახლავთ მხედრის შეწირვის საფუძველი, გნებავთ, გამართლება. მართა-

ლია, იგი კულისებში დარჩა, მაგრამ განაპირობა ბრძოლის მსვლელობა და ბედი. ამიტომ ეს განუხორციელებელი ვარიანტი ამ პარტიის სიმდიდრეა.

აქ მხედრისა და ლაზიერის შენირვის მიზანია გაიზრდოს კუს გავლენა b1 უჯრამდე, რომელზეც კუსა და ეტლის ჰარმონიული მოქმედებით შამათი ცხადდება. ფიგურებს შორის კოორდინაციის, ჰარმონიის დამყარება არის ჭადრაკის თამაშის საფუძველი, მისი ქვაკუთხედი.

**26. ♦c7 ♠:a1! 27. ♦:b6 ♠:a3+ 28. ♦d1 ♠:f3+**  
და შავებმა მოიგეს.

2.

საქართველოს პირველობის შესარჩევი ტურნირი. თბილისი, 1967:

ინჯია



მუკნიაშვილი

თეთრების ბანაკში სამი აშკარად კრიტიკული პუნქტია: ♕d1, ♘f3, ♖g2 (პუნქტი კრიტიკულია, როცა შეტევა და დაცვა ურთიერთს აწონასწორებს). გარდა ამისა, შენიდბულად კრიტიკულია f1 უჯრა, რომელსაც უტევს ლაზიერი და ეტლი (ეს უკანასკნელი გამჭოლად, რენტგენისებურად) და დაცულია ასევე ორჯერ. იგრძნობა პირველი ჰორიზონტალის სისუსტეც. ყოველივე ეს კომბინაციის მოტივია (მიზეზია, წინაპირობაა), ხოლო კომბინაციის თემა კი შამათი გახლავთ, რასაც შავები ოთხ სვლაში გამოაცხადებენ.

### **29. ... ♖h3!!**

ამ მოულოდნელი, მახვილგონივრული დარტყმით შავებმა ერთბაშად მოსინჯეს ოთხივე კრიტიკული პუნქტი. საინტერესოა, რომ ახლა ლაზიერის გარდა ყველა შავი ფიგურა მუქარის ქვეშაა.

### **30. ♘e1 ♖:g2+ 31. ♘:g2 ♖:f1+! 32. ♖:f1 ♖:f1x**

შამათი გამოცხადდა იმ უჯრაზე, რომელსაც ზემოთ „შენიდბულად კრიტიკული“ ვუწოდეთ.

30-ე სვლაზე სამ სვლაში შამათის სხვა გზაც არსებობს, რომლის მიგნება მკითხველისთვის მიგვინდვია.

*1991, ნოემბერი*

## შინაარსი

როგორ ვერ მომიგო ალიოხინმა .....	3
როგორ დავამარცხე ტალი .....	7
ეტიუდის დაბადება პრაქტიკული	
პარტიის სულიდან .....	24
არის შამათი? .....	36
ლაზიერის შენირვით .....	44
მე ვიცნობ „ფრიცს“!	47
ანდერსენის სტილით .....	65
ჩემპიონი .....	75
ფილიდორის სტილით .....	83
ტრაგიკომედიები საჭადრაკო დაფაზე .....	86
ორი ყაიმი თამაზ კივიანთან .....	94
გადავრჩენილვართ!	101
დედაქალაქის პრესტიული ვიხსენ!..	104
ორლესული სვლები .....	108
„როცა გგონია, რომ გაიმარჯვე, სწორედ მაშინ ხარ დამარცხებული“	113

ავთანდილ კირვალიძის მოსაგონარი .....	116
სლალომი .....	120
უკვდავი შეცდომა .....	125
მხატვრები და ჭადრაკი .....	129
თენგიზ მირზაშვილი .....	131
კარლო ფაჩულია .....	135
„რაც წინაპრებმა	
დაგიტოვეს მემკვიდრეობად...“ .....	147
პრიორიტეტი .....	157

## **დანართი**

შოთა ინწკირველთან ერთად .....	171
ოთარ ჯინორია .....	173
მამა-შვილი ჭადრაკის დაფასთან .....	175
პოეტი მოჭადრაკე .....	182

რედაქტორი  
როსტომ ჩხეიძე

მხატვარი  
კარლო ფაჩულია

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თენების რობიტაშვილი



ევგენი გურგულია — ფანატი 1947 წელს ტყიბულში, 1971 წელს დამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელმძიმის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რუსნალისტის სპეციალობით; ლიტერატურის კრიტიკის, მთარგმნელი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, გელათის მეცნიერებათა პარადემიის წევრი, ავტორი და თანაავტორი წიგნებისა: „მოთხოვძები ლიტერატურაზე“ (2008), „ლიტერატურული (გამო)ძიებანი“ (2011), „მოგზაურობა „კარაზინშე პოსტის“ ფურცლებზე“ (2010), „მოგზაურობა „დეკოდი ილიუსტრის“ ფურცლებზე“ (2013), „ქართული ფარგლენის ლექსიკონი“ (1999, 2005, 2013), „პოლემიკას რა უნდა“ (2001), „თარგმანი და ორიგინალი“ (2014), „ვიოთხულობრივი კლასიფიკაციას“ (2014) და სხვ.

მიღებული აქვს ლიტერატურული ჯილდოები: ვაკა-ფშაველას პრემია (1993), პრემია „საბა“ (2003, 2009, 2012), პრემია „საგურამო“ (2007), გივი გაჩერჩილაძის სახელმძიმის პრემია (2012).